პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

12 მარტი **შაბათი** 2011

№ 058 (13 355) ფასი 60 თეთრი

11



დღეს ვაკეში

საქართველო-რუმინეთი

## გორგოძე დაბრუნდა, დავიბრუნოთ ივერიელიც



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: www.fcdinamo.ge

2

## გუშინდელი 7:1 4 მატჩით გაგრძელდება

10



## ხურციძემ საქართველოს ქამარი უნდა შემოარტყას

6,8



## ვან გაალი ფანებთან გამომშვიდობებას ჰამბურგიდან იწყებს

იტალიაში კი რომაული დერბია

## იაშვილმა დუისბურგი გატეხა

4



## საქართველოს ჩემპიონატი XXIV ტური

11.03. რუსთავი. ფოლადი.
200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 7 |
| სამტრედია | 1 |

1:0 ელიჩი (3, კახელიშვილის პასით), 2:0 ხმალაძე (11), 3:0 ხუმარაშვილი (24. საკუთარ კარში), 4:0 ჯუისი (64. კოშკაძის პასით), 5:0 არზიანი (71, ხმალაძის პასით), 6:0 ხმალაძე (73, კოშკაძის პასით), 7:0 ჯუისი (74, კვეკვესკირის პასით), 7:1 გოგიშვილი (89, რუხაიას პასით)

| დინამო 4-4-2 | სამტრედია 4-4-2 |
|---|---|
| ლორია | კეკელიძე |
| ლონლაძე | ენდელაძე |
| კაკუბავა | ხუმარაშვილი |
| ჰომოლა | გოგია |
| ხმალაძე | კირთაძე |
| ჰაჯიბულიჩი | ჩხიკვაძე |
| არზიანი | ლომაშვილი |
| რობერტინიო | ნინუა |
| კოშკაძე | ბურჯანაძე |
| კახელიშვილი | იმედაძე |
| ელიჩი | ალავერდაშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| კ. კაჭარავა | ლ. ანჯაფარიძე |

**დინამო**

62. ელიჩი - **ტატანაშვილი**
62. კახელიშვილი - **ჯუისი**
70. რობერტინიო - **კვეკვესკირი**

*სათადარიგოები: ზარქუა, ციმაკურიძე, მაროვიჩი, ფირცხალავა*

**სამტრედია**

46. ჩხიკვაძე - **ხვადაგიანი**
46. იმედაძე - **რუხაია**
68. ალავერდაშვილი - **გოგიშვილი**

*სათადარიგოები: ბანძავა, თევზაძე, დვალიშვილი*

არბიტრი: ხ. გაგნიძე (გორი)

# რბევა საბრალოთა

...ამის მერე თბილისის „დინამო“, ალბათ, კიდევ არაერთხელ მოისურვებს საშინაო მატჩების... რუსთავში ჩატარებას: **კახა კაჭარავას** გუნდმა გუშინ სეზონის ყველაზე უხვგოლიან შეხვედრაში „სამტრედია“ დიდი ანგარიშით დაამარცხა. სეზონის დაწყებიდან ერთ მატჩში 8 გოლი გუშინ პირველად ვიხილეთ. თუმცა „დინამოს“ თავისუფლად შეეძლო ბევრად უფრო... დიდი სხვაობითაც დაემარცხებინა მართლაც ყველასაგან მიტოვებული და ბედის ანაბარა დარჩენილი მეტოქე. თავად განსაჯეთ: დინამოელებმა გუშინ, სულ მცირე, შვიდი-რვა ისეთი მომენტი ვერ გამოიყენეს, აი, საგოლეს რომ ვუწოდებთ ხოლმე. ეგ კი არა, „ფოლადის“ სტადიონზე შეკრებილ მცირერიცხოვან გულშემატკივარს, ერთი პერიოდი, ალბათ, ისიც „მოეჩვენა“, რომ დინამოელები უფულო და უყველაფრო მოწინააღმდეგის დანდობას აპირებდნენ — მეორე ტაიმის დასაწყისში ნომინალური მასპინძლები ხან უალრესად ხელსაყრელი პოზიციიდან აცილებდნენ ბურთს მიზანს, ხან სტუმართა მეკარე თამაშობდა თავგანწირვით. არადა, **დავით კეკელიძემ** უმაღლეს ლიგაში სადებიუტო მატჩი ისე ჩაატარა, ვერც ერთ გოლში რომ ვერავინ დაადანაშაულებდა და ამას გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთარი კარიც არაერთხელ იხსნა. თუმცა, მეორე ტაიმში სტუმართათვის მართლაც კოშმარულ ათწუთიან მონაკვეთში „დინამომ“ კვლავაც „აიწყვიტა“ და სრულიად დემორალიზებული მეტოქის კარში ოთხი გოლი გაიტანა. თუმცა, ეს ყველაფერი შეხვედრის მეორე ნახევარში იყო, რბევა კი მატჩის დასაწყისშივე დაიწყო: **ალექსანდრე კოშკაძისა** და **გიორგი კახელიშვილის** ეფექტური კომბინაცია **პეტარ ელიჩის** ზუსტი დარტყმით დამთავრდა. პირველი ტაიმის ბოლომდე კახელიშვილსა და **რობერტინიოს** თითქმის ასპროცენტიანი მომენტები შეექმნათ, მაგრამ კეკელიძეს ვერ აჯობეს; თუმცა, შესვენებამდე „დინამომ“ მაინც შეძლო თვალსაჩინო უპირატესობის ანგარიშში ასახვა და ორივე გოლში ლომის წილი გუნდის ახალწვეულმა **ზურაბ არზიანმა** შეიტანა. ახალგაზრდა ნახევარმცველის ჯარიმას მოჰყვა კიდეც **ლევან ხმალაძის** გოლი, შემდეგ კი არზიანის ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ სტუმართა ცენტრალურ მცველს **გიორგი ხუმარაშვილს** ბურთი საკუთარ კარში აეჭრა. პირველ ტაიმში სტუმრებმა მხოლოდ ერთადერთხელ შეძლეს „დინამოს“ კარში დარტყმა, მაგრამ **გიორგი ლორიამ** პოზიცია სწორად შეარჩია და **ვაჟა ლომაშვილს** გოლის გატანის შანსი მოუსპო.

მეორე ტაიმის დასაწყისი კი... ვარჯიშს უფრო წააგავდა, ვიდრე ოფიციალურ შეხვედრას: მასპინძლები უპრობლემოდ გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზეც და საერთოდაც, სტუმართა საჯარიმოშიც, რასაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ. ისე, მართლაც ძნელი სათქმელია, თუ როგორ ვერ შეძლო „დინამომ“ მეორე ტაიმის საწყის 19 წუთში უამრავი მომენტიდან თუნდაც ერთის გამოყენება — არადა, ელიჩსა (ორჯერ) და კახელიშვილს ამის ჩინებული შანსი ჰქონდათ, მაგრამ „სამტრედიას“ დებიუტანტი მეკარე კვლავაც ჩინებულად თამაშობდა. თუმცა, სულ მალე ის ზემოთ ნახსენები ათწუთიანი მონაკვეთის დროც დადგა, როცა „დინამომ“ გაილაღა და ამ შემთხვევაში, ალბათ, უადგილოც არის თითოეული გოლის ჩამოთვლა თუ აღწერა. უბრალოდ, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ „დუბლით“ გამოირჩა შეცვლაზე შემოსული **დონალდ ჯუისი**, ამ მატჩში, თავისი მეორე გოლი გაიტანა **ლევან ხმალაძემაც**, ხოლო ზურაბ არზიანი მხოლოდ ასისტენტობას არ დასჯერდა და საქართველოს ჩემპიონატში თავისი პირველი გოლიც გაიტანა. ისე, რახან ასისტენტები ვახსენეთ, **ალექსანდრე კოშკაძეზეც** უნდა ვთქვათ ერთი-ორი სიტყვა — „დინამოს“ კაპიტანს ამჯერად გოლი არ გაუტანია, სამაგიეროდ ტრადიციულად ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო ორივე გუნდის შემადგენლობაში და ამის გარდა, ორი საგოლე პასიც მიითვალა.

... უჩვეულოდ კორექტული შეხვედრა (მატჩის არბიტრ **ხვიჩა გაგნიძეს** არც ერთი ყვითელი ბარათი არ უჩვენებია ფეხბურთელებისათვის) დასასრულს უახლოვდებოდა, სტუმრებმა... პირველად რომ შეუტიეს „დინამოს“ კარს და ეს „გააქტიურებაც“ დაუფასდათ! სხვათა შორის, ჯუისის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა იყოჩალეს: 19 წლის **ტარიელ რუხაიას** პასით პრესტიჟის გოლი 18 წლის **მურად გოგიშვილმა** გაიტანა.

**გია ტუხაშვილი**

*P.S. როცა გუნდი ექვსბურთიანი სხვაობით მარცხდება და 90 წუთის განმავლობაში მეტოქის საჯარიმოში ერთადერთხელ (!) შეაღწევს, მართლაც ძნელია ამ გუნდის უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსებზე საუბარი. თანაც, დღესდღეობით „სამტრედია“ ასეთ მდგომარეობამდე ვინც მიიყვანა, გუნდის კატასტროფულად წარუმატებელ ასპარეზობაზე პასუხი იმათ უნდა მოეთხოვოთ, თორემ ყველასგან მიტოვებულ-მივიწყებულ ფეხბურთელებსა თუ მწვრთნელებზე ენა როგორ უნდა მოგვიბრუნდეს...*



ზურაბ არზიანი (მარჯვნივ) ფოტო: www.fcdinamo.ge

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 23 | 16 | 2 | 5 | 50 | 14 | 50 |
| 2 | ოლიმპი | 23 | 14 | 5 | 4 | 34 | 19 | 47 |
| 3 | დინამო | 23 | 12 | 7 | 4 | 33 | 12 | 43 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 23 | 10 | 2 | 11 | 25 | 28 | 32 |
| 5 | ბაია | 22 | 8 | 5 | 9 | 22 | 29 | 29 |
| 6 | ტორპედო | 23 | 7 | 8 | 8 | 12 | 13 | 29 |
| 7 | სიონი | 23 | 6 | 7 | 10 | 16 | 29 | 25 |
| 8 | სპარტაკი | 23 | 6 | 5 | 12 | 24 | 27 | 23 |
| 9 | კოლხეთი | 23 | 6 | 4 | 13 | 16 | 36 | 22 |
| 10 | სამტრედია | 24 | 5 | 5 | 14 | 20 | 45 | 20 |

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 12 |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 11 (1) |
| დვალი (ზესტაფონი) | 10 |
| მოდებაძე (ოლიმპი) | 10 (1) |

**დღეს**

**ოლიმპი-ბაია**
რუსთავი, ფოლადი. 15:00

**ზესტაფონი-კოლხეთი**
ზესტაფონი, დ. აბაშიძე. 15:00

**სპარტაკი-ვიტ ჯორჯია**
გორი, ქართლი. 15:00

**ტორპედო-სიონი**
ქუთაისი, ტორპედო. 17:00)

ლეგიონერი, უშველე იაპონიას



# მუჯირმა მიწისძვრა თბილისიდან გაიგო

გუშინ იაპონიაში ამ ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ძლიერი, 8.9 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მსხვერპლთა რაოდენობა, ცხადია, ჯერ დაუზუსტებელია.

იაპონელების მიმართ წმინდა ადამიანური თანაგრძნობის გარდა, იაპონიაში მცხოვრები და დასაქმებული ქართველების ბედი გვაღელვებდა.

ამბის შეტყობის შემდეგ საქართველოს ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ **დავით მუჯირთან** დაკავშირება ვცადეთ, რომელიც იაპონიის ჯეი ლიგის "სანფრენჩე ჰიროსიმაში" წლეულს გადავიდა. ბუნებრივია, იაპონიაში კავშირგაბმულობა ხარვეზებით მუშაობდა და მუჯირთან დალაპარაკება ძლივს შევძელით.

*"მიწისძვრის დროს ქალაქში ვიყავი და არაფერი გამიგია. სიმართლე გითხრათ, ეს ამბავი თბილისიდან შემატყობინეს. უცებ ატყდა ამბავი, უამრავმა ადამიანმა დამირეკა. ჰიროსიმაში მცირე ბიძგიც არ ყოფილა"* – გვითხრა მუჯირმა.

დათო კარგად არის და ჰიროსიმაში მიწისძვრის სიმძიმე არ უგრძვნია. მიწისძვრის ეპიცენტრი კუნძულ ჰონსიუს ჩრდილო-აღმოსავლეთით დაფიქსირდა, ჰიროსიმა კი ჰონსიუს სამხრეთ-დასავლეთში, კორეის მხარესაა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ვისი ან რისი იმედი ჰქონდეს იმედაშვილს?

## კაცი, რომელსაც ბედმა, ექიმმა და მწვრთნელმა უმტყუნეს, ისევ ბედის ანაბარაა

ძალიან განვალდა **დავით იმედაშვილი.** რუსთავის "ოლიმპში" საქართველოს ჩემპიონობა კაპიტნის რანგში მოიპოვა და აზერბაიჯანის უმდიდრეს კლუბ ლენქორანის "ხაზართან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. თუმცა მეზობელ ქვეყანაში გადასვლა მისთვის უიღბლო გამოდგა - დათო ჩემპიონატის პირველივე ტურში მძიმედ დაშავდა და მუხლის ოპერაცია დასჭირდა, რომელიც შემოდგომაზე სტამბოლში "ფენერბაჰჩეს" ექიმმა გაუკეთა.

დათომ რეაბილიტაციის შემდეგ "ხაზარში" ვარჯიში განაახლა, მაგრამ კვლავ ტკივილმა შეაწუხა. როგორც გაირკვა, ამ ყველაფრის მიზეზი ექიმის შეცდომა იყო, რომელმაც ვარჯიში ნაადრევად დააწყებინა და ოპერაცია მეორედ გაუკეთეს.

ახლა იმედაშვილი კვლავ სტამბოლშია და ისევ მკურნალობს, რადგან ოპერაცია ამჯერადაც უხარისხო გამოდგა. დათო, ცხადია, ძალიან ნერვიულობს – 26 წლის ფეხბურთელი მეშვიდე თვეა, ვარჯიშსა და თამაშს ვერ ახერხებს. ამ უსიამოვნებას ისიც დაერთო, რომ ლენქორანულ კლუბში მთავარ მწვრთნელად დანიშნულმა რუმინელმა **მირჩა რედნიკმა** ქართველი ნახევარმცველი ტრანსფერზე დააყენა. არადა, ტრავმირებულ მოთამაშეს ასე არ ექცევიან, ეს არა მხოლოდ საფეხბურთო ეთიკას ეწინააღმდეგება.



დავით იმედაშვილი

როდის დაუბრუნდება საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი მოედანს, ძნელი სათქმელია. ის ჩვეულებრივად დადის, მოძრაობს, ტკივილი აღარ აწუხებს, მაგრამ დატვირთვა და ვარჯიში აკრძალული აქვს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ილურიძემ დუბლები დუბლით დაიწყო

გუშინ რუსეთის პრემიერლიგის დუბლიორთა ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. მახაჩყალის "ანჟიმ" "კრასნოდარს" უმასპინძლა და 2:1 მოუგო.

დაღესტნურ კლუბში **გიორგი ილურიძე** გამოირჩეოდა, რომელმაც მატჩი შეუცვლელად ჩაატარა - "ანჟის" ორივე გოლი 18 წლის ქართველმა თავდამსხმელმა გაიტანა. გიორგიმ ანგარიში მე-12 წუთზე გახსნა, "კრასნოდარმა" სამ წუთში გაათანაბრა, მაგრამ ისევ სამ წუთში ილურიძემ სტუმართა კარი მეორედ აიღო, დუბლი შეასრულა და შეხვედრის საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა - 2:1.

*"მატჩის გმირი ილურიძე გახდა, რომელიც ჯერ მეკარესთან პირისპირ გავიდა და აჯობა, შემდეგ კი თანაგუნდელთა მრავალსვლიანი კომბინაცია დააგვირგვინა"* - წერს "ანჟის" ვებგვერდი.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებსა და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# არაბული მანჩესტერიდან დაბრუნდა

## საბურთალო ბიჭებს საბურთაოს უმზადებს

**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ბაჩანა არაბული თებერვლის ბოლოს ინგლისში „მანჩესტერ სიტის“ მიწვევით სინჯებზე გაემგზავრა. საფეხბურთო კლუბ "საბურთალოს" (რომელიც ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებებს ფლობს) გენერალურ დირექტორ კახა ჭუმბურიძეს მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით და სკოლის სხვა მოთამაშეებზეც ვესაუბრეთ.**



ბაჩანა არაბული

**- როგორც გავიგეთ, არაბული სინჯებიდან დაბრუნდა.**

- დიახ, ბაჩანა უკვე თბილისშია და ინგლისელთა პასუხს ველით.

**- ინგლისში სამუშაო ვიზის მიღება სრულწლოვან ქართველ ფეხბურთელებსაც უჭირთ და არასრულწლოვან არაბულს ამ პრობლემას მოუგვარებენ?**

- ამის შესახებ ინგლისელებს, ცხადია, თავად დავეკითხეთ, მაგრამ გვიპასუხეს, სამუშაო ვიზას ჩვენ მივხედავთო და ვნახოთ.

**- "მანჩესტერ სიტი" არაბულით როდის დაინტერესდა?**

- 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის მატჩს საქართველოსა და ინგლისის ნაკრებებს შორის მათი წარმომადგენელი დაესწრო და ბაჩანა ისე მოეწონა, "საბურთალოში" ოფიციალური მიწვევა გამოგვიგზავნა.

**- არაბული მანჩესტერელთა რომელ გუნდში ვარჯიშობდა?**

- ავარჯიშეს დუბლებშიც და 19-წლამდელებშიც.

**- მისით კიევის "დინამო" აღარ ინტერესდება?**

- საქმე სხვაგვარად არის. კიევიდან ახალი დაბრუნებული იყო და უკრაინელთა პასუხს ველოდით, როდესაც "მანჩესტერ სიტის" დაინტერესების თაობაზე შევიტყვეთ. თავს ვერ ვაპატიებდით, ბავშვისთვის ეს შანსი რომ არ მიგვეცა, თორემ კიეველებს მართლაც მოეწონათ. ერთადერთი, რაც აფიქრებთ, ჯერ კიდევ პატარააო, მაგრამ პირადად მე არაბულის შესაძლებლობებში ეჭვიც არ მეპარება.

**- "ვიტესში" გასინჯვიდან დაბრუნებული ვაკო ყაზაიშვილისა და დათა ხოჭოლავას საკითხიც კითხვებს აჩენს – ჰოლანდიელებს მათი აყვანა სურთ?**

- სეზონი დასრულდება და მერე ვნახოთ. მათ ჯერ 18 წელი არ შესრულებიათ, რაც ევროკავშირის ქვეყნებში ჩვენი ბიჭების მიწვევის საქმეს ართულებს.

**- ამ პრობლემის შესახებ ხომ წინასწარ იცოდით?**

- კი, მაგრამ მათ "ვიტესში" მშვენიერი მოსამზადებელი შეკრება გაიარეს, ჰოლანდიელებმა ახლოს გაიცნეს და მათ შესაძლებლობებში დარწმუნდნენ. მაისისთვის მათზე უკვე წარმოდგენა ექნებათ. ვიცი, რომ დაინტერესებულები არიან.

**- გიორგი ჭანტურია "ვიტესში" როდის ითამაშებს?**

- მაისიდან გუნდის სრულფასოვანი წევრი გახდება. სხვათა შორის, "ვიტესს" ესპანელი ფიზმომზადების მწვრთნელი ჰყავს და კაცი გაოცებულია გიორგის მონდომებითა და ფიზიკური მონაცემებით. ჭანტურიაზე დიდ იმედებს ამყარებენ. საერთოდ, "ვიტესთან" კარგი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა და თანამშრომლობას ვაგრძელებთ.

**- გავიგეთ, რომ "საბურთალო" სტადიონის აშენებას აპირებს.**

- ჩვენ სამედიცინო უნივერსიტეტის სტადიონის რეკონსტრუქცია გვსურს, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზეა. როგორც კი სამინისტროსთან ხელშეკრულებას გავაფორმებთ, მშენებლობას მაშინვე დავიწყებთ. პროექტის მიხედვით, დაიგება ხელოვნური საფარი, მოწესრიგდება გასახდელები, საშხაპეები, აშენდება 1000 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა.

ყოფილები

# სიძე შე...

## იქითურთა აქეთურ-იქითური



მილოშ კრშკო

მეტად თუ ნაკლებად, ჩვენს გულშემატკივარს იმათი ამბავიც აინტერესებს, ვისაც ჩვენს ჩემპიონატში უთამაშია ან ქართულ გუნდებში ისინჯებოდა.

მაგალითად, თბილისის "დინამოს" ყოფილი მცველი **მილოშ კრშკო** ბოლოს სლოვაკეთის პირველი ლიგის კლუბში თამაშობდა და ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ საქართველოში აღარ დაბრუნდებოდა. სხვათა შორის, კრშკო თბილისში ყოფნისას ქართველების სიძე გახდა.

ექსოლიმპელი **ალექს ფრაგა** გასასინჯად სამარის "კრილია სოვეტოვში" მიიწვიეს, თუმცა საბოლოოდ ფეხბურთელი, რომელიც ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იყო, რუსეთის პრემიერლიგის კლუბში არ დაიტოვეს. როგორც შევიტყვეთ, იანვარში ფრაგას საქართველოში დაბრუნებას ცდილობდნენ და მისი აყვანა თბილისის "დინამოს" შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს.

იანვარშივე თბილისის "დინამოში" გასინჯვაზე ახალი ზელანდიის ნაკრებში ნათამაშები **კრის ბრაიტი** ჩამოიყვანეს, მაგრამ კლუბმა მის სამსახურზე უარი თქვა.

საქართველოდან ახალზელანდიელმა ფორვარდმა უნგრეთის ცნობილ კლუბ "ჰონვედში" გადაინაცვლა, სადაც ორი კვირა აკვირდებოდნენ. ბრაიტმა თითქმის ყველა საკონტროლო შეხვედრაში გაიტანა გოლი და ორწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაუფორმეს. ინფორმაციას "ჰონვედის" ოფიციალურ ვებგვერდზე წავაწყდით.

ლეგიონერი



თორნიკე ოქრიაშვილი

# იარემჩენკოს ოქრო ვინ არის?

## ოქრიაშვილს მწვრთნელი უკრაინელებში არ არჩევს

მარიუპოლის "ილიჩივეცის" მთავარი მწვრთნელი **ვალერი იარემჩენკო** ამაყობს, რომ "ილიჩივეცში" უკრაინის ნაკრებისთვის ფეხბურთელებს ზრდის. გუნდის ერთადერთი ლეგიონერი კი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **თორნიკე ოქრიაშვილია.**

იარემჩენკო 18 წლის ქართველ ნახევარმცველს ლეგიონერად არც მიიჩნევს. ამ კაცს, რომელიც ქართველებისადმი სიმპათიით არ გამოირჩეოდა, ოქრიაშვილმა ჯერ კიდევ დონეცკის "შახტარის" დუბლშემადგენლობაში მოაწონა თავი და მას შემდეგ ლამის არის, შვილივით ზრდის, მარიუპოლშიც ამიტომ წაიყვანა.

კითხვაზე, რამ გამოიწვია, რომ მარიუპოლელთა შორის მხოლოდ ერთი ლეგიონერია, იარემჩენკომ ხუმრობით უპასუხა, თორნიკე ისეთივე ლეგიონერია, როგორიც მე - ბენდერელიო.

სხვათა შორის, ზაპოროჟიეს "მეტალურგთან" გასვლით შეხვედრაში, რომელიც "ილიჩივეცმა" 4:0 მოიგო, ოქრიაშვილი გამარჯვებულთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

*"ეს შეხვედრა თორნიკეს დიდხანს არ დაავიწყდება. ის კარგად მოქმედებდა შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე და ზოგჯერ ქართველებისთვის ჩვეული ტექნიკურობითაც გამოირჩეოდა. საუკეთესოდ ალექსეი ანტონოვი დასახელდა და არა ოქრიაშვილი, თუმცა ძნელია ამ შეხვედრის შემდეგ ვინმეს გამორჩევა"* – წერს "ილიჩივეცის" ვებგვერდი.

ეს მატჩი თორნიკესთვის უკრაინის უმაღლეს ლიგაში ჩატარებული სადებიუტო შეხვედრა იყო. ასე რომ, "ვიშალიგაში" ურიგოდ არ შეუბიჯებია.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი

# იბერიამ მწვრთნელი კარგ საქმეზე გაუშვა

ფუტსალში საქართველოს ჩემპიონატის ნახევარზე მეტი გაილია და ერთ კვირაში თასის გათამაშებაც დაიწყება. რეგლამენტის თანახმად, თასზე თამაშის უფლება სამოყვარულო გუნდებსაც აქვთ. გუშინ ფუტსალის ასოციაციაში წილისყრა გაიმართა და გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**სტუ - თელავი**
**იმპერიალ/ტოზაკო - ქუთაისი**
**შავნაბადა- დაცვის პოლიცია**
**გიგაბაიტი-თსუ**
**ლიბერთი ბანკი-სოკარი**
**საქ. უნივერსიტეტი-ბათუმი**

თასის გათამაშების პირველი ეტაპიდან განთავისუფლებულია ჩემპიონატის ორი საუკეთესო გუნდი – "იბერია" და "ალგო". ისინი ტურნირში მეოთხედფინალიდან ჩაებმებიან.

"იბერია" ვახსენეთ და ამ გუნდმა მთავარი მწვრთნელი, უკრაინელი **ოლეგ სოლოდოვნიკი** ბრაზილიაში მწვრთნელთა სემინარზე მიავლინა, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო კლუბმა, "სანტოსმა" მოაწყო. სემინარში მონაწილეობა 73-მა მწვრთნელმა მიიღო და აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ საქართველოს ჩემპიონის მწვრთნელი იყო მიწვეული.

ეროვნული ჩემპიონატი კი რაიმე მნიშვნელოვანი მოულოდნელობების გარეშე მიმდინარეობს. ძნელი წარმოსადგენია, "იბერიამ" ჩემპიონობა ხელიდან გაუშვას. გათამაშების ცხრილი დღეისთვის ასე გამოიყურება:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია | 11 | 11 | 0 | 0 | 108:24 | 33 |
| 2. ალგო | 14 | 11 | 0 | 3 | 83:28 | 33 |
| 3. თსუ | 12 | 8 | 0 | 4 | 57:34 | 24 |
| 4. ქუთაისი | 13 | 5 | 0 | 8 | 69:93 | 15 |
| 5. ბათუმი | 12 | 2 | 0 | 10 | 43:113 | 6 |
| 6. თელავი | 12 | 0 | 0 | 12 | 14:82 | 0 |

სადაურსა სად...

# იმგვარად თუ ამგვარად...

## გუგა ხვიჩია ბერძნულ ლაბირინთში

**უცხო ქვეყნების ნაკრებებში მიწვეულ ქართველთა შორის კიდევ ერთი ჩვენებური, 17 წლის გუგა ხვიჩია აღმოვაჩინეთ. გუგა ამჟამად საქართველოშია და გავესაუბრეთ.**

**- საბერძნეთში როგორ მოხვდი?**

- ქუთაისელი ვარ, 1993 წელს დავიბადე. საქართველოში გავიზარდე და ხონის "იმერეთის" საფეხბურთო სკოლაში ვთამაშობდი. ხუთი წელია, რაც საბერძნეთში ვარ. იქ მშობლებთან ერთად ჩავედი და ცხადია, ფეხბურთის თამაშზე ვფიქრობდი. გამიმართლა და ბერძენმა ახლობელმა "პანათინაიკოსის" საფეხბურთო აკადემიაში სინჯებზე მიმიყვანა. აკადემიის მფლობელი ყოფილი ფეხბურთელი ვასილის კარაფიალისია. ამ კაცმა პირველივე ვარჯიშზე შემამჩნია, კაბინეტში დამიბარა და მენეჯერობა შემომთავაზა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი, რადგან საბერძნეთში ალალბედზე წავედი, არავინ მიცნობდა და ასეთი თანამდგომი მჭირდებოდა.

აკადემიაში 2007 წელს ჩავირიცხე და ორი წელი ვვარჯიშობდი, საიდანაც კარაფიალისმა გადამიყვანა კლუბ "გლიკანერაში", სადაც ბოლოს ვთამაშობდი. ექვსი თვე ვითამაშე დუბლშემადგენლობაში, შემდეგ კი - ძირითად გუნდში.

გასული წლის ზაფხულში საბერძნეთის 18-წლამდელთა ნაკრებში პეტროს ციგულისმა მიმიწვია, 5 ამხანაგური შეხვედრაც ჩავატარე და ხუთივე ძირითადში: ორჯერ კვიპროსს შევხვდით, სამჯერ ბერძნულ გუნდებს. ახლა დროებით საქართველოში დავბრუნდი.

**- რატომ?**

- როდესაც ნაკრებში თამაშზე მიდგა საქმე, პრობლემები შეიქმნა. მითხრეს, გვარი გადაიკეთეო, მაგრამ ამას არ ვაპირებ, ქართველობას ფეხბურთის კი არა, არაფრის გამო არ დავთმობ. ჩემი მშობლებიც ასე ფიქრობენ. არადა, ამის გამო პრობლემები კლუბთანაც შემექმნა და დროებით საქართველოში დავბრუნდი. თუ საბერძნეთში ყველაფერი უმტკივნეულოდ მოგვარდება, ისევ წავალ, თუ არა - დავრჩები და ფორმას რამენაირად შევინარჩუნებ. ხონის "იმერეთში" ბიძაჩემი მუშაობს და ვივარჯიშებ.

**- გვარის შეუცვლელად საბერძნეთის ნაკრებში არ გათამაშებდნენ?**

- ოფიციალურ შეხვედრებში არ მათამაშებდნენ. შემოთავაზება ახლაც ძალაშია, მაგრამ თავს ვიკავებ. სხვა კლუბებიდანაც იყო შემოთავაზებები, მაგრამ გუნდთან პრობლემები ისეთ დროს შემექმნა, სატრანსფერო ფანჯარა დახურული იყო და ვერაფერი მოვახერხე.

**- საბერძნეთის მოქალაქე ხარ?**

- მოქალაქე არ ვარ, მაგრამ მაქვს საბუთი, რომელიც ნებისმიერ დროს ჩასვლის და თამაშის უფლებას მაძლევს.

**- საქართველოში არ გიცნობენ. აქაურ ნაკრებში თამაში არ გსურს?**

- როგორც ყველა ქართველისთვის, ჩემთვისაც ოცნებაა ჩვენს ნაკრებში თამაში. ცნობით გულშემატკივარი არ მიცნობს, მაგრამ სპეციალისტებს ემახსოვრებათ, რომ წელიწად-ნახევრის წინ გიორგი დევდარიანი დამიკავშირდა, უცხოეთში მოთამაშე სამი ბიჭი 17-წლამდელთა ნაკრებში ვიყავით მიწვეული, მაგრამ რადგან სეზონი იყო, საბერძნეთში თამაშები მქონდა და შეკრებაზე დავიგვიანე, სულ ხუთი ვარჯიში იყო დარჩენილი. შემდეგ ჩემს კლუბს დავუბრუნდი და მას მერე ნაკრებში არ გამოვუძახებივარ.

**- საბერძნეთში საქართველოდან წასული ბევრი ფეხბურთელია?**

- გამიგია, რომ საკმაოდ ბევრი თამაშობს, მაგრამ არც ყველას გვარი ვიცი და არც ის, ვინ სად ირიცხება. ერთადერთი ის შემიძლია გითხრათ, რომ პირველ ლიგაში ლუკა ხომასურიძე თამაშობს, რომელიც ძალიან ნიჭიერი ბიჭია.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



გუგა ხვიჩია

BG Bet Guru
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ !!!

ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !

- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სპორტის უჩინარი მსახური


დიმიტრი ზალიშვილი

# ფეხბურთელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე

**სპორტის სხვა სახეობების მსგავსად, ფეხბურთში ფიზიკურ თუ ტექნიკურ მომზადებას დიდი ყურადღება ექცევა. შესაბამისად, საფეხბურთო გუნდებთან თუ ეროვნულ ნაკრებებთან მუშაობენ ექიმები, რომელთა მოვალეობა ფეხბურთელთა კვების რეჟიმის კონტროლი და ტრავმიანობის სწორად მკურნალობაა.**

**ტრავმებზე, აკრძალულ პრეპარატებსა თუ მოზარდი ფეხბურთელის სწორად აღზრდაზე სასაუბროდ საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ექიმ დიმიტრი ზალიშვილს ვეწვიეთ.**

- აქტიურ სპორტში ჩართვამდე აუცილებელია, ბავშვმა სრულფასოვანი სამედიცინო შემოწმება ჩაიტაროს. მოზარდის სხეული განვითარების ორ-სამ ეტაპს გადის. ბავშვებთან მუშაობისას თუ შეცდომებს დავუშვებთ, მისი გამოსწორება მოგვიანებით, ზრდასრულ ასაკში შეუძლებელი იქნება. არასწორი ვარჯიშით შეიძლება დაზიანდეს გულის კუნთი ან რომელიმე შინაგანი ორგანო. დაუშვებელია, ექვსი წლის ბავშვი ვარჯიშით გადაიტვირთოს. სასურველია, მოზარდმა სამედიცინო შემოწმება წლის განმავლობაში ორჯერ ან სამჯერ გაიაროს.

## ვიტამინები

დიმიტრი ზალიშვილი: *"უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ნახშირწყლები და ცილები, როგორც "საშენი მასალა". პატარა ფეხბურთელებმა მცირე ულუფებით დღის განმავლობაში საკვები 4-5-ჯერ უნდა მიიღონ. ბევრს ლაპარაკობენ ხელოვნური დანამატების მიღებაზეც. მთავარია, რომ მოზარდი ნორმალურად იკვებებოდეს და მოწესრიგებულ სამწვრთნელო რეჟიმში იზრდებოდეს. უმთავრესია ასევე ბავშვის გენეტიკური მხარეც".*

## მწყურვალთ წყალი

ადრე ექიმები თუ მწვრთნელები როგორც მოზარდებს, ასევე პროფესიონალ ფეხბურთელებს თამაშისას წყლის მიღებას უკრძალავდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ სითხის მიღება ფეხბურთელებზე უარყოფითად მოქმედებდა.

*"ბავშვის ორგანიზმის დაახლოებით 70 პროცენტი წყლისგან შედგება. წყალი აუცილებელი პირობაა, რადგან ყველა ქიმიური პროცესი წყლის ჩარევით ხდება. ზრდის პერიოდში ორგანიზმი დიდი რაოდენობით წყალს მოითხოვს"*, - გვითხრა ზალიშვილმა.

## აკრძალული პრეპარატები

ყოველწლიურად უეფა ფეხბურთის ფედერაციებს იმ მედიკამენტების საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს უგზავნის, რომელთა მიღებაც ფეხბურთელებს ეკრძალებათ. ისევ დიმიტრი ზალიშვილს მოვუსმინოთ: *"ჩვეულებრივი მოქალაქისთვის ბევრი პრეპარატი საშიში არ არის, თუმცა სპორტსმენისთვის მათი მიღება აკრძალულია. მათ შორისაა სტიმულატორები, ალმგ ზნები და საძილე საშუალებები, ცხვირის წვეთები. ეს წამლები ეფედრინის შემცველია, რომელიც იწვევს პერიფერიული სისხლძარღვების შევიწროებას, გადადის სისხლში და გარკვეული დრო ორგანიზმში რჩება, რაც ანტიდოპინგური შემოწმებისას თავს აკრძალული მედიკამენტის სახით იჩენს. პრეპარატთა ხშირი მოხმარების შედეგად სპორტსმენის ორგანიზმში შეიძლება ღვიძლის, თირკმელების ან სხვა ორგანოების დაავადებები გამოვლინდეს".*

## ტრავმიანობა და მკურნალობა

ფეხბურთი სპორტის იმ სახეობათა რიცხვს განეკუთვნება, სადაც ტრავმიანობა საკმაოდ ხშირია. *"ფეხბურთში ხშირია დაჟეჟილობა, კუნთის დაჭიმვა, სახსრის ტრავმა და სხვა დაავადებები. თუნდაც ტვინის შერყევის არასწორი მკურნალობით შესაძლებელია, ფეხბურთელს საკმაოდ სერიოზული პრობლემები თავბრუსხვევისა და ფსიქიკური გაღიზიანების სახით განუვითარდეს. მსგავსი დაავადებები რომ ავირიდოთ, აუცილებელია სრულფასოვანი მკურნალობის ჩატარება. ხშირია შემთხვევები, როდესაც საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ფეხბურთელები აღარ ვარჯიშობენ, რაც გულთან დაკავშირებულ პრობლემებს იწვევს. ეცვლებათ ფსიქიკური მდგომარეობაც, ამიტომ მათთვის აუცილებელია ფიზიკური აქტიურობის შენარჩუნება"*, - ამბობს ზაალიშვილი.

## ნაკრების გამოკვება

საფეხბურთო კლუბებისა თუ ეროვნული ნაკრებების ფიზიკურ მომზადებასთან ერთად ფეხბურთელთა ჯანსაღ გამოკვებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

დიმიტრი ზალიშვილი: *"ნაკრების ფეხბურთელთათვის მენიუს შედგენისას ძირითად აქცენტს ნახშირწყლებითა და ცილებით გაჯერებულ პროდუქტებზე ვაკეთებთ. მათთვის აუცილებელია ახალი ხორცი, მოხარშული, მოთუშული ან ნახევრად მოთუშული პროდუქტების მიღება. ფეხბურთელთა კვებაზე კომპეტენტური მზარეული ზრუნავს".*

## ევროპული ხედვა

*"წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში ბავშვებთან სწორად მუშაობის აწყობილი სისტემა მოქმედებს. ისინი ეძებენ ისეთ ბავშვებს, რომელთაგანაც ათლეტურ ფეხბურთელს გამოზრდიან. ფეხბურთელის მოტივაციაზე დადებითად მოქმედებს სახელფასო ანაზღაურებაც. ჩვენთან თავდაპირველად ყურადღება ექცევა ბავშვის ტექნიკურობას და მისგან ათლეტის ჩამოყალიბებას შემდეგ ცდილობენ, რაც ძნელად თუ ხორციელდება".*

**სალომე ხარატიშვილი**

● რუსეთის ჩემპიონატი

# ანანიძე, რობერტო კარლოსი და სხვა...

ევროპის წამყვან საფეხბურთო ლიგებში „გახურებული" სეზონია, ერთგან კი დღეს იწყება ჩემპიონატი; შესაძლოა, ვინმეს განსხვავებული აზრი ჰქონდეს, მაგრამ აი, ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ რუსეთის ჩემპიონატი თავისი დონით მხოლოდ და მხოლოდ „ტოპ-ლიგებს" (ინგლისი, ესპანეთი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი) თუ ჩამოუვარდება. არაფერს ვამბობთ ფინანსებზე — უკვე არავის უკვირს, ახლო თუ შორეული წარსულის ვარსკვლავები სიხარულით რომ თანხმდებიან რუსული კლუბების წინადადებებს. რა თქმა უნდა, ზღაპრული ხელფას-პრემიების გარდა, ზოგიერთ უცხოელ ვარსკვლავს პროფესიული ინტერესიც ამოძრავებს: ბოლო წლებში რუსული კლუბები ხომ საკმაოდ წარმატებით ასპარეზობენ ევროტურნირებზე და ამის ნათელი დადასტურებაა ცსკა-სა და „ზენიტის" მიერ უეფა-ს თასის მოპოვება. იმავეს თქმა შეიძლება ბოლო წლების კიდევ ერთ წარმატებულ რუსულ კლუბზე ყაზანის „რუბინზე", ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც არაერთი დასამახსოვრებელი მატჩი რომ ჩაუტარებია (თუნდაც, „ბარსელონასთან" გამართული პაექრობები რად ღირს). თუმცა, რუსეთის ჩემპიონატში ყველა კლუბს როდი აქვს აღმავლობის პერიოდი — უმწვავესი ფინანსური კრიზისის გამო ბოლო წლებში რამდენიმე გუნდი გაბანკროტდა და ზოგმა არსებობა შეწყვიტა, ზოგიც სამოყვარულო სტატუსლა დასჯერდა („მოსკვა", „სატურნი", „ტორპედო"). თუმცა, საერთო ჯამში, რუსული საკლუბო ფეხბურთის დონე აშკარად მაღალია და სოლიდური ინვესტიციების გარდა, ამ საქმეში უდიდეს როლს... იქაური პრესა და ტელევიზიაც ასრულებს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ფართოდ რეკლამირებულ-გაპიარებული ჩემპიონატი ევროპაში, ალბათ, ერთი-ორი თუ იქნება...

... რუსეთის ჩემპიონატი სტარტს დღეს აიღებს, სულ ახლახან დაიწყო ირლანდიისა და ყაზახეთის ჩემპიონატები, დაახლოებით ერთ თვეში განახლდება ნორვეგიის, შვედეთის, ფინეთისა და ისლანდიის ჩემპიონატები. მოკლედ ის ქვეყნები ვახსენეთ, სადაც საფეხბურთო სეზონი „გაზაფხული-შემოდგომის" პრინციპით ტარდება. თუმცა, დღეიდან ამ ჩამონათვალში რუსეთი აღარ უნდა ვახსენოთ: 2011-12 წლების საფეხბურთო სეზონი ამ ქვეყნის ჩემპონატისთვის გარდამავალი იქნება და მომავალი წლიდან რუსებიც „შემოდგომა-გაზაფხულის" სისტემაზე გადავლენ! ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს დაწყებული სეზონი... მომავალი წლის მაისის ბოლოს დამთავრდება (ანალოგს, თანამედროვე ფეხბურთში, რაღაც ვერ ვიხსენებთ) და ეს გარდამავალი ჩემპიონატიც სამ წრედ ჩატარდება. ანუ, 16 გუნდი წლეულს ორ წრედ იასპარეზებს, რის შემდეგაც 2012 წლის მარტში I-VIII ადგილზე გასული გუნდები ბრძოლას მედლებისა და ევროტურნირების საგზურისათვის გააგრძელებენ, ხოლო IX-XVI ადგილზე გასული გუნდები კი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე იზრუნებენ. ასეთი მარათონული (ფაქტობრივად, წელიწადნახევრიანი) ჩემპიონატისადმი ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს ის ფაქტიც იწვევს, რომ ამ საკმაოდ მაღალი დონის პირველობაში ოცამდე ქართველი ფეხბურთელი მიიღებს მონაწილეობას. თანაც, მათგან უმრავლესობა თავიანთი გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრადაც მოიაზრება და რაც მთავარია, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელია...

## ქართული ინტერესი

მარათონული სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მოქმედი ჩემპიონი, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი" მიიჩნევა. ცნობილი იტალიელი სპეციალისტის, **ლუჩანო სპალეტის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდში არაერთი მაღალი კლასის შემსრულებელია: **დანი, ფერნანდო მეირა, ბრუნო ალვეში** (სამივე-პორტუგალია), **დანკო ლაზოვიჩი, ალექსანდრ ლუკოვიჩი** (ორივე-სერბეთი), **ზაბოლტ ხუშტი** (უნგრეთი), **ალექსანდრ კერჟაკოვი, სერგეი სემაკი, კონსტანტინ ზირიანოვი, ალექსანდრ ანიუკოვი** (ყველა-რუსეთი). „ზენიტის" შემადგენლობაშია რუსეთის მოქალაქე, 19 წლის **იგორ ჩემინავა**. სანკტ-პეტერბურგელების მსგავსად ასევე საჩემპიონო ამბიცია ექნება მოსკოვის ცსკა-ს — და **დავით კვირკველიას**, მაგრამ „რუბინი" უქართველებოდ მაინც არ დარჩენილა. ოღონდ, ორი პერსპექტიული ქართველი ჭაბუკი, **ავთანდილ ბრაჭული** და **სოლომონ კვირკველია** „რუბინის" დუბლშემადგენლობაში იქნებიან, ისევე როგორც რუსეთის მოქალაქე, 17 წლის **მერაბ ურიდია.**

ზემოთ დასახელებული სამივე გუნდი „ინაწილებდა" კიდეც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში რუსეთის ჩემპიონის „ტიტულს", თუმცა ამ ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ კლუბად კვლავაც მოსკოვის „სპარტაკი" რჩება. რუსების „სახალხო გუნდის" მიმართ ქართველებს მუდამ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გვქონდა, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ უკვე მეორე წელია, „სპარტაკის" მიმართ განსაკუთრებულ ინეტერსს ვიჩენთ. ამის მიზეზი კი 18 წლის ქართველი


ჯანო ანანიძე

რუსული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მწვრთნელად მიჩნეულ **ლეონიდ სლუცკის** გუნდში რამდენიმე მაღალი კლასის ლეგიონერიც (**ვაგნერ ლავი, მარკ გონსალესი, ალექსანდრ ცაუნია, ტომაშ ნეციდი, კეიკუსე ჰონდა**) თამაშობს და რუსეთის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელებიც (**იგორ აკინფეევი,** ძმები **ბერეზუცკები, ალან ძაგოევი**). ასევე ჩემპიონობისათვის იბრძოლებს ბოლო წლების რუსული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კლუბი, ყაზანის „რუბინი". თურქმენი სპეციალისტი **ყურბან ბერდიევი** უკვე მეათე სეზონია, ამ გუნდს წვრთნის და „რუბინმაც" ამ დროის განმავლობაში არაერთ წარმატებას მიაღწია როგორც რუსეთის ჩემპიონატში, ასევე ევროტურნირებზე. **კარლოს ედუარდო, გიოქდენიზ კარადენიზი, სესარ ნავასი, სალვატორე ბოკეტი, კრისტიან ანსალდი** — ამ ცნობილი ლეგიონერების გვერდით ამ სეზონში უკვე ველარ ვიხილავთ **ლაშა სალუქვაძესა** ბიჭის, **ჯანო ანანიძის** მართლაც შთამბეჭდავი და ასაკთან შეუფერებელი ოსტატური ასპარეზობაა. ჯანოს ნიჭის აღიარებას არავინ „ერიდება" — რუსული მედია იქნება თუ სპეციალისტები; აი, ორიოდ დღის წინ პოპულარულმა რუსმა სპორტულმა ჟურნალისტმა **ვიქტორ გუსევმა** ჩემპიონატის დაწყების წინ საგანგებოდ ისაუბრა „სპარტაკის" წარმატებულ თამაშში ჩვენი თანამემამულის როლზე და ისიც დასძინა, რომ ალბათ, უკვე დრო მოვიდა, ეს ბიჭი მხოლოდ სახელით („ჟანო") კი არა, უკვე გვარით მოვიხსენიოთო. სხვათა შორის, ჯანო ანანიძის პროფესიულ წინსვლაში დიდი როლი შეასრულა მწვრთნელის ფაქტორმაც: **ვალერი კარპინი** თავის დროზე ურიგო ფეხბურთელი ნამდვილად არ გახლდათ და ამჟამად „სპარტაკის" თავკაცის რანგში ქართველ ვუნდერკინდსაც ყოველმხრივ ხელს უწყობს.

» მე-9 გვერდზე



მარცხნივ ალექსანრე იაშვილი

● ლეგიონი

# მეორე იაშვილისა იყო

მეორე ბუნდესლიგის ტური გუშინ "კარლსრუე"-"დუისბურგის" მატჩით გაიხსნა. მასპინძლებმა 3:1 გაიმარჯვეს და ამაში წვლილი მათმა კაპიტანმა **ალექსანდრე იაშვილმაც** შეიტანა, რომელმაც 24-ე წუთზე პენალტით ანგარიში 2:0 გახადა.

ასეთი წარმატებული დებიუტი გამოუვიდა "კარლსრუეს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ახლად დანიშნულ **რაინერ შარინგერს**. თუმცა მისი გუნდი ჯერ კიდევ საგანგაშო მდგომარეობაშია. "კარლსრუე", რომლის მიზანიც სეზონის დაწყებამდე პირველ ბუნდესლიგაში აღზევება იყო, 18-გუნდიან მეორე ბუნდესლიგაში ამჟამად მე-14 ადგილზეა და გასავარდნ ზონას 3 ქულით უსწრებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ასოციაციის თასი

# ფსიქოლოგიური ომი

ორი კვირის წინ „არსენალი“ ერთბაშად ოთხ შეჯიბრებაში გამარჯვებაზე ოცნებობდა, მაგრამ კვირას დილით, შესაძლოა, მხოლოდ პრემიერლიგის ამარა გაილვიძოს. გავიხსენოთ: ოთხი შეჯიბრებიდან ერთი გახლდათ „ქარლინგის თასი“, რომლის ფინალშიც „მეთოფეებმა“, ყველასთვის მოულოდნელად, „ბირმინგემთან“ წააგეს 0:1, მეორე იყო ჩემპიონთა ლიგა, საიდანაც „ბარსელონამ“ გამოთიშა, მესამე და მეოთხე კი ფეხბურთის ასოციაციის თასი და პრემიერლიგაა. კაცმა რომ თქვას, ბოლო ხანს ჩრდილოლონდონელებმა ვერც პრემიერლიგაში ივაჟკაცეს — იმ ტურში, რომელშიც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ლივერპულში წააგო „სანდერლენდს“ ვერ მოუგეს, თორემ მათ შორის სხვაობა 3 კი არა, ერთი ქულალა იქნებოდა.

ასოციაციის თასზე კი... დღეს „ოლდ ტრეფორდზე“ კვლავ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალია“ — ეს მეოთხედფინალური დაპირისპირება გახლავთ. მიმომხილველები ამბობენ, რომ ამ შეხვედრას უფრო ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. რატომ? ასოციაციის თასი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი პრემიერლიგაა და ახლა, როდესაც გამოიკვეთა, რომ მისი ტიტულისთვის ბრძოლა ამ ორი გუნდის „დოლად“ იქცა და ისინი ჩემპიონატში 1 მაისს „ემირეიტს სთედიუმზე“ ისევ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, მთავარია ვინ ვის „დააშინებს“.

ჩავხედოთ სტატისტიკას. „არსენალს“ „ოლდ ტრეფორდზე“ 2006 წლის შემდეგ არ მოუგია. სულერთია, რომელ შეჯიბრებაში, პრემიერლიგაში, რომელიმე ინგლისურ თასზე თუ თვით ჩემპიონთა ლიგაში, გამარჯვებული ყოველთვის „იუნაიტედი“ გამოდიოდა. 2008 წელს მასპინძლების უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ ანგარიშზეც შთამბეჭდავად აისახა - 4:0. მეტოქეთა ბოლო მანჩესტერული დაპირისპირება დეკემბერში 1:0 დამთავრდა - გოლი **ჯი-სუნ პარკმა** გაიტანა, **უეინ რუნიმ** კი პენალტი გააფუჭა. ამ ზოგადსტატისტიკურ გასაჭირს ისიც ემატება, რომ „მეთოფეებს“ არ ეყოლებათ თითნატკენი მეკარე **ვოიცეხ შჩესნი** და კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი**, რომელმაც ორთავა კუნთი დაიზიანა. მოსალოდნელია **თეო უოლკოტის** არყოფნაც.

„მეთოფეთა“ ყმაწვილმა ნახევარმცველმა **ჯეკ უილშირმა** თქვა: *„ჩვენ ვალდებულები ვართ საკუთარი თავი ხელში ავიყვანოთ და შაბათს „ოლდ ტრეფორდზე“ გავიმარჯვოთ. საბედნიეროდ, ორ შეჯიბრებაში ჯერ კიდევ ვმონაწილეობთ და ტიტულები გვჭირდება“.*

თუმცა, ისე გამოგვივიდა, თითქოს ხელმოცარვის პერიოდი მარტო „არსენალს“ ჰქონდა. არადა, პრემიერლიგაში ზედიზედ ორი თამაში წააგო „იუნაიტედმაც“ — ჯერ „ჩელსისთან“ (2:1) და შემდეგ „ლივერპულთან“ (3:1). თუმცა, როდესაც საქმე „ოლდ ტრეფორდზე“ თამაშს ეხება, ვერანაირ ჩავარდნაზე ვერ ვილაპარაკებთ: აქ, მანჩესტერელებმა 14 შეხვედრიდან 13 მოიგეს. ფეხბურთის ასოციაციის თასის 11-გზის მფლობელი დღეს „არსენალს“ **ნანის** გარეშე დაუპირისპირდება. ნანის ამბავი გეხსომებათ, „ლივერპულთან“ შეხვედრაში **ჯეიმი კარაგერმა** დააშავა. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს „იუნაიტედის“ ფეხბურთელთაგან საუკეთესო ფორმაში სწორედ პორტუგალიელი იყო.

ერთადერთი გუნდი, რომელიც ფეხბურთის ასოციაციის თასის გათამაშებას პრემიერლიგის გარედან შემორჩა **ზურაბ ხიზანიშვილის** „რედინგია“. მეოთხედფინალში ის „გუდისონ პარკის“ გავლით მოხვდა, სადაც „ევერტონი“ დაამარცხა. ამ გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის შარშანაც იყო მეოთხედფინალში.

ნახევარფინალის შანსი აქვს ხიზანას გუნდს? „რედინგისთვის“ კიდევ ერთი ეტაპის დაძლევა იოლი საქმე არ იქნება, რადგან ის ხვალ ისტლენდზე „მანჩესტერ სიტის“ ხვდება. „სიტი“ ამ სეზონში პრემიერლიგას, ალბათ, ველარ მოიგებს და ეს თავა-



დაც კარგად მოეხსენება, მაგრამ თასის მოსაგებად ყველა ღონეს იხმარს და შეეცდება 1976 წლის შემდეგ პირველად მოიგოს რაიმე ჯილდო.

48 წელიწადი არაფერი მოეგო „ბირმინგემსაც“, მაგრამ, როგორც იცით, „ქარლინგის თასზე“ „არსენალი“ გამოიჭირა და... ახლა ამ სეზონში მეორე თასსაც გაჰყურებს ცალი თვალით — დღეს „ბოლტონს“ მასპინძლობს და ვითომ, რომ მოუგოს გასაკვირი იქნება? ოთხშაბათს **ალექს მაკლიშის** გუნდმა პრემიერლიგის გამოტოვებულ შეხვედრაში „ევერტონთან“ 1:1 ითამაშა და გასავარდნთა ზონას ოდნავ ასცდა, ასე რომ, კარგ გუნებაზეც უნდა იყოს.

გასავარდნთა ზონაშია „ვესტ ჰემი“, რომელიც ხვალ სტოკში მიდის. „სტოკის“ საუკეთესო მიღწევა 1972 წელს ნახევარფინალში გასვლაა.

● გამოხმაურება

# არსენ ვენგერი: უეფასგან ბოდიშს ვითხოვ!



**არსენ ვენგერი** გაცხარდა და გაუგონარ საქციელზე გადავიდა — უეფას შეუტია. იმავე პრესკონფერენციაზე ფრანგმა ბარსელონაში წაგებით გამოწვეულ კრიტიკას გასცა პასუხი. მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალურ შეხვედრაში „არსენალმა“ „კამპ ნოუზე“ კარში ერთხელაც ვერ დაარტყა და ისე გამოეთიშა გათამაშებას. გოლი, რომელიც „მეთოფეებმა“ ამ მატჩში გაიტანეს („ბარსამ“ 3:1 გაიმარჯვა), მათი დამსახურება არ ყოფილა, მასპინძლებმა თავად შეაგდეს საკუთარ კარში.

ვენგერმა უეფას დიქტატორთა ორგანიზაცია უწოდა და ბრალად ამპარტავნობაც კი დასდო. მეტიც, მან ევროპული ფეხბურთის მმართველებს ბოდიშის მოხდა მოსთხოვა — იმ შეცდომებისთვის, რომელიც მათმა გამოგზავნილმა არბიტრმა **მასიმო ბუსაკამ** ბარსელონაში დაუშვა, პატიებას აქეთ უნდა გვთხოვდნენო. „მეთოფეთა“ თავკაცმა ისიც განაცხადა, რომ უეფას მიერ წაყენებულ ბრალდებებს არ დაეთანხმება და სადისციპლინო კომიტეტის წინაშე თავს იმართლებს. მოგეხსენებათ, ბრალდება წაუყენეს „არსენალის“ ფრანგ ნახევარმცველ **სამირ ნასრისაც**, რომელმაც ბუსაკას მკვახე სიტყვების კორიანტელი დაუყენა.

*„უეფას ბრალდებას არ ვეთანხმები და მის ერთ პუნქტსაც არ ვიზიარებ — თქვა ვენგერმა — ვერც კი ვხვდები, რატომ მოუვიდათ ჩვენი დასჯა თავში აზრად. ეს ორგანიზაცია ცოტა მოკრძალებული რომ იყოს, აჯობებდა. იმისათვის, რაც „კამპ ნოუზე მოხდა“, მისი შეფები ბოდიშს რომ იხდიდნენ, გაცილებით სამართლიანები იქნებოდნენ, ვიდრე ახლა, როდესაც უდანაშაულო ხალხს დისკვალიფიკაციას უმზადებენ.*

*ვიმეორებ, სამშაბათის მერე უეფა ცოტა თავდახრილი უნდა ყოფილიყო. ასე უფრო გამოიწვევდა თანადგომას. „არსენალისა“ და „ბარსელონას“ პირველი თამაში ფეხბურთის საუცხოო პროპაგანდა გახლდათ, მეორეში კი ეს პროპაგანდა ჩაშალეს. ერთადერთი, რაც სამშაბათის შეხვედრიდან ხალხს დაამახსოვრდება, ვან პერსის გაძევებაა, რამაც თამაში მოკლა.*

*დღეს „არსენალი“ დასჯილია. ჩვენ ჩემპიონთა ლიგიდან გაგვაგდეს, ანუ ამ სეზონში ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს ველარ მივაღწევთ. და რაც ყველაზე ცინიკურია, ყოველივე ამის მერე უეფა ბოდიშის მოხდას გვთხოვს. ეს ნამდვილი დიქტატორის საქციელი, პირწმინდა ქედმაღლობაა. ჩვენ ცუდი არაფერი გაგვიკეთებია. შეჯიბრების ორგანიზატორი უეფაა და მსაჯებსაც ის ნიშნავს. როდესაც ფეხბურთის მოყვარულებს მაღალი დონის თამაშის ნახვის შესაძლებლობა ეძლევათ, მისი გაფუჭება ძალიან ცუდი საქციელია“.*

როგორც ხედავთ, ვენგერის გაცხარება ძირითადად ბუსაკას მიერ ვან პერსის გაძევებამ განაპირობა. შეგახსენებთ, რომ 42 წლის შვეიცარიელმა მსაჯმა „არსენალის“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი მეორე ტაიმში იმიტომ გააძევა, რომ მან ოფსაიდის აღნიშვნის მერე მაინც დაარტყა „ბარსას“ კარის მიმართულებით.

რატომ მოუვიდა უეფას ვენგერისა და ნასრის დასჯა თავში აზრად? მიზეზი მარტივია: „არსენალის“ მწვრთნელი და ნახევარმცველი მსაჯის პატაკში მოხვდნენ. მაგრამ, თუკი ჩვეულებრივ კლუბები სხვადასხვა სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას ომს არ უცხადებენ, ამ შემთხვევაში „მეთოფეებმა“ გადაწყვიტეს თავის დასაცავად ყველა ღონე იხმარონ და თავის სასარგებლოდ თუ გასამართლებლად რაც კი რამ წვრილმან-მსხვილმანი მტკიცებულება ნახეს, ყველა შეკრიბეს. სავარაუდოდ, სრულად იქნება წარმოდგენილი ის სიტყვებიც, რაც მატჩის დამთავრების შემდეგ გასახდელებთან ითქვა.

*„იქ იყო ხალხი, რომელთაც, წესით, ხმა არ უნდა ამოეღოთ, მაგრამ მათ თავს კომენტარების უფლება მისცეს და მე ამის შესახებაც ვაპირებ ლაპარაკს“,* — თქვა ვენგერმა, რომელმაც კითხვაზე - აგინა თუ არა მსაჯს, ასე უპასუხა: *„ამაზე პასუხს უეფასთვის შემოვინახავ“.*

შემდეგ ვენგერს ჰკითხეს, ეპასუხებოდა თუ არა ბუსაკა. „არსენალის“ თავკაცმა მიუგო, რომ ამ ამბის საჯაროდ მოყოლას არ აპირებს.

*„შეამოწმეთ ნებისმიერი სატელევიზიო ინტერვიუ. თუ რომელიმე მათგანში ჩემს არაკორექტულ ნათქვამს იპოვით, მზად ვარ, დავისაჯო“* — თქვა ვენგერმა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ვენგერს მხოლოდ მსაჯობაზე არ ულაპარაკია. მან ბარსელონელი ვარსკვლავის **ჩავის** კომენტარსაც გასცა პასუხი — ჩავიმ თქვა, რომ „არსენალი“ „კამპ ნოუზე“ უამბიციოდ იყო ჩასული.

*„ჩვენ არჩევანი არ გვქონია. ასე იმიტომ ვითამაშეთ, რომ სხვა შანსი არ დაგვიტოვეს. საკუთარ ნახევარზე გამაგრება ჩვენი მიზანი არ ყოფილა, თუმცა ხალხმა რაც უნდა, ის თქვას. თითო ფლანგზე ორ-ორი მცველი რომ გამომეყვანა, სხვა იქნებოდა, მაგრამ გადახედეთ ჩვენს შემადგენლობას - ნასრი, როსიცკი, უილშირი, ფაბრეგასი, ვან პერსი, დიაბი... სად ხედავთ ჩამშლელ ფეხბურთელებს?*

*ეს ერთი შეხვედრა ორ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ თამაშად უნდა დავყოთ. პირველ შეხვედრაში, სანამ თერთმეტი თერთმეტზე ვიყავით, კარისკენ „ბარსელონაზე“ მეტჯერ დავარტყით, მეორეში კი საერთოდ აღარ დაგვირტყამს. არ უარვყოფ, ბურთის ფლობაში „ბარსელონას“ დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ აბა, გაიხსენეთ, რამდენჯერ დაარტყა პირველ ტაიმში ამ გუნდმა ჩვენს კარში... ორჯერ! პლუს გოლი, რომელიც ჩვენ მას ვაჩუქეთ და ერთიც ჯარიმა, რომელიც ვოიცეხ შჩესნიმ მოიგერია და ხელიც იტკინა“.*

● ამბები

## ალერგია

რატომ გავიდა „მანჩესტერ სიტის“ იტალიელი თავდამსხმელი **მარიო ბალოტელი** მოედნიდან 57-ე წუთზე? ლაპარაკია კიევში „დინამოსა“ და „სიტის“ შორის გამართულ ევროლიგის შეხვედრაზე, რომელიც „დინამომ“ 2:0 მოიგო. ყველამ ვინც თამაშს ან თუნდაც მის რჩეულ მომენტებს უყურა, შეამჩნია, რომ ბალოტელი თავს კარგად ვერ გრძნობდა, რაც, თურმე, მისი ალერგიის ბრალი ყოფილა. აი რა თქვა მატჩის შემდეგ ისტლენდელთა მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ**:

*„მას ალერგია სჭირს. მე არ ვიცი, კერძოდ რაშია საქმე, მაგრამ მას სახე გაუსივდა. როგორც ჩანს, მეორე ტაიმში მას მოედანზე შესვლა აღარ შეეძლო. გამოსვლამდე 10 წამით ადრე თავი ცუდად უგრძვნია. მე გასახდელიდან ბიჭებზე ცოტა ადრე გამოვედი, მაგრამ გუნდი რომ გამომყვა, მარიო ვერ დავინახე. მითხრეს, რომ მას ალერგიის შეტევა ჰქონია. რომ მივედი, იძახდა, ეგ არაფერი, გავალ და ვითამაშებო, მაგრამ სახე უკვე შეშუპებული ჰქონდა“.*

როგორც „მანჩესტერ სიტის“ სამედიცინო პერსონალისგან გახდა ცნობილი, ბალოტელის ბალახის ზოგიერთ სახეობაზე აქვს ასეთი ალერგია და კიევში მაინცდამაინც ასეთი ბალახი ყოფილა დათესილი.

## იანგი მანჩესტერისკენ მიიწევს

„ასტონ ვილას“ ფორვარდი **ეშლი იანგი** ზაფხულში „მანჩესტერ იუნაიტედში“ აპირებს გადასვლას და ცდილობს ამთავითვე ჩაშალოს ბირმინგემელთა ყოველი მცდელობა, გაუხანგრძლივონ კონტრაქტი. 25 წლის ფეხბურთელის შეძენა სერ **ალექს ფერგიუსონს** რახანია უნდა. იანგი მას **რაიან გიგზის** შემცვლელად მიაჩნია. მოწადინებულია თავად ფორვარდიც. როგორც ტაბლოიდებისთვის გახდა ცნობილი, მან „ვილაში“ თანაგუნდელებს უკვე უთხრა, რომ „ოლდ ტრეფორდზე“ აპირებს გადასვლას. ამბობენ, რომ იანგი, რომელიც სეზონის წინ 25 მილიონი ფუნტი ღირდა, ზაფხულში 10 მილიონზე ძვირი არ ეღირება. მიზეზი: მას „ასტონ ვილასთან“ კონტრაქტი შემდგომი სეზონის ბოლომდე აქვს და ახალს არ აფორმებს. გამოდის, რომ თუ ბირმინგემელები იანგს ახლავე არ გაყიდიან, ერთ წელიწადში ის თავისუფალი აგენტი გახდება, ქუდს დაიხურავს და ისე წავა, რომ კლუბს პენიც არ დარჩება.

## ვითომ ყვითელია

გადასარევი ამბავი მოხდა ოთხშაბათს პრემიერლიგის გამოტოვებულ შეხვედრაში, სადაც „ევერტონმა“ და „ბირმინგემმა“ ლივერპულში 1:1 ითამაშეს. კერძოდ, როდესაც თამაშის მსვლელობისას ბირმინგემელმა ფეხბურთელმა **ჯორდან მატჩმა ლუი საას** წინააღმდეგ იუხეშა და მსაჯმა **პიტერ უოლტონმა** მისი ყვითელი ბარათით დასჯა მოინდომა, აღმოჩნდა, რომ არბიტრს ჯიბეში არაფერი სდებია. ფანები ხედავდნენ, როგორ იქექებოდა ის ერთხანს ჯიბეში, მერე კი დარწმუნდა რომ იქ არც ყვითელი ბარათია, არც წითელი და... ფეხბურთელს წარმოსახვითი ყვითელი აუფრიალა. ერთ-ერთმა გულშემატკივარმა თქვა: *„ეს ძალიან სასაცილო სანახავი იყო. თავი მოყვარულთა გუნდების თამაშზე მეგონა“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

დინამოელებო - გაერთიანდით!
დინამოს გვერდით ყოფნა უკვე საამაყოა!
აქ 90 წუთი თავდადებაა!
გაწევრიანება - უფასოა
ჩვენ ვართ გლადიატორები!
ჩვენ ვართ დინამო!

დინამოს ფან-კლუბში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ვისაც უყვარს ჩვენი გუნდი და შეუძლია 90 წუთის განმავლობაში დინამოს მე-12 ფეხბურთელად იქცეს. ფან-კლუბის წევრები უზრუნველყოფილნი იქნებიან მატჩზე დასასწრები ბილეთებით და ტრანსპორტირებით გასვლით მატჩებზე. გამორჩეულ ფანებს გადაეცემათ კლუბის მაისურები და სხვა ატრიბუტიკა.

დაგვიკავშირდით: 893 35-80-14 874 77-77-84

სერია A — XXIX ტურის წინ

SERIE A

# სასწორზე ლიგის საგზური

## პირველი კი ბოლოს მიიღებს

**გუშინ**

**ბრეშა 1 — ინტერი 1**

**ბრეშა:** არკარი, ძებინა, ბეგა, ზობოლი, ძამბელი (62. ედერი), ბერარდი (25. დაპრელა), ვასი (83. ლანცაფამე), კონე, ჰეტემაი, კარაჩოლო, დიამატი.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ლუსიო (65. კორდობა), ძანეტი, მაიკონი, ნაგატომო (77. მატერაცი), რანოკია, სნეიდერი, სტანკოვიჩი, ეტო'ო, პაცინი (70. ხარჯა), პანდევი.

**გოლები:** 0:1 ეტო'ო (18), 1:1 კარაჩოლო (85)

**გაძევება:** კორდობა (89), კარაჩოლო (90)

*89-ე წუთზე კარაჩოლომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**დღეს, 23:45**

**ჩეზენა VS იუვენტუსი**

**ტრავმა:** ფატიჩი, ბუდანი, ფელიპე, სამარკო - გროსო, სალიჰამიჯიჩი, დე ჩელიე, ფელიპე მელო, რინაუდო, სისოკო, კვალიარელა.

**ხვალ, 15:30**

**მილანი VS ბარი**

**დისკვალიფიკაცია:** გაცი (ბარი).
**ტრავმა:** პირლო, ინძაგი, ამბროზინი - ბარეტო, ს. მაზიელო, კუტუზოვი, რაჯი, ალმირონი, პარიზი.

**ხვალ, 18:00**

**რომა VS ლაციო**

**დისკვალიფიკაცია:** ბრიგი (რომა).
**ტრავმა:** კასეტი - როკი, ბროკი, დიაკიტე, დიასი, მაური, ბრეშიანო.

**ხვალ, 18:00**

**კალიარი VS უდინეზე**

**დისკვალიფიკაცია:** ბიონდინი, არიაუდო (კალიარი).
**ტრავმა:** პიზანო, ნენე - ბასტა, ფერონეტი, ანჯელა.

**ხვალ, 18:00**

**კატანია VS სამპდორია**

**დისკვალიფიკაცია:** გასტალდელო (სამპდორია).
**ტრავმა:** კაპუანო, ბელუში, შაკა, ბიაჯანტი, მარტინიო - სემიოლი, პოცი, პალომბო.

**ხვალ, 18:00**

**კიევო VS ფიორენტინა**

**დისკვალიფიკაცია:** ფერნანდესი - დონადელი.
**ტრავმა:** ლუჩანო - კროლდრუპი, იოვეტიჩი, ფრეი, დაგოსტინო.

**ხვალ, 18:00**

**ჯენოა VS პალერმო**

**დისკვალიფიკაცია:** ფლორო ფლორესი - კამოციერი.
**ტრავმა:** დესტრო-გოიანი.

**ხვალ, 18:00**

**ლეჩე VS ბოლონია**

**დისკვალიფიკაცია:** რისპოლი (ლეჩე).
**ტრავმა:** ჯულიატო, დი მიკელე, ოფერე, ფერარიო - ეკდალი, მუდინგაი, ესპოზიტო, ჩერუბინი, მონტელონგო, გარიჩი.

**ხვალ, 23:45**

**პარმა VS ნაპოლი**

**დისკვალიფიკაცია:** პალეტა, გობი - დოსენა, არონიკა.
**ტრავმა:** კალვო, ამაური - გრავა, კამპანიარო, მაჯო.

დიდი იმედი ჰქონდათ იტალიელებს, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ბარიერს „რომა" თუ არა „მილანი" მაინც გადალახავდა, მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა - სერია A-ს ბინადრებმა ვერც გასვლით შეხვედრებში დაამარცხეს მეტოქე და ისლა დარჩენიათ, რომ მთლიანად ეროვნულ ჩემპიონატზე გადაერთონ. უფრო ახლოს მიზანთან მაინც „მილანი" იყო, გუნდი, რომელიც სრულ უპირატესობას ფლობდა „ტოტენჰემთან"' პაექრობაში და იღბალს რომ არ შეექცია ზურგი, შესაძლოა გამძვრალიყო კიდეც მომდევნო ეტაპზე. მოვეშვათ წარსულს და ამ უქმეებზე გასამართ პაექრობებს გადავხედოთ - სწორედ „მილანით" დავიწყოთ, რომელიც კვირას გამართავს თავის თამაშს და საკუთარ მოედანზე ჩემპიონატის აუტსაიდერს მიიღებს.

ხშირად ამბობენ, რომ სერია A-ში იოლი თამაში არ არსებობს, მაგრამ ეს ალბათ ის შემთხვევაა, როდესაც ერთ გუნდს მეორეზე გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეს. „მილანი" საკმაოდ კარგ



ფორმაშია, მაღალი ხარისხის ფეხბურთს თამაშობს და საკუთარ მოედანზე წყალწაღებულ „ბარის" უმასპინძლებს - თუ რაიმე გაუგებრობა არ მოხდა, **მასიმილიანო ალეგრის** შეგირდები აუცილებლად აიღებენ მორიგ სამ ქულას. თადარიგში მოიაზრება **ანტონიო კასანო**, ძირითადში კი იმ სამეულს ველოდებით, რომლებიც „ტოტენჰემთან" გახლდნენ სასტარტო შემადგენლობაში: **ზლატან იბრაჰიმოვიჩი, რობინიო, ალეშანდრე პატო.** ნახევარდაცვაში **ჯენარო გატუზოს, ალექსანდრ მერკელს** და **მარკ ვან ბომელს** ვიხილავთ, **კევინ პრინც ბოატენგს** კი ექიმებმა ერთკვირიანი დასვენება ურჩიეს. საქმე იმაშია, რომ განელი ტრავმირებული შეერკინა „ტოტენჰემს" და თითქმის გამოჯანმრთელებულმა კიდევ ერთკვირიანი უქმობა გამოიწერა. ამბობენ, რომ „მილანის" გულშემატკივრები კმაყოფილნი არიან გუნდის ლონდონური ასპარეზობით და სერია A-ში კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერას ჰპირდებიან ფეხბურთელებს.

დღეს გამართავს თავის შეხვედრას „იუვენტუსი" და გასვლაზე „ჩეზენას" შეეტოქება. პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თუ ტურინელებმა კვლავ დაკარგეს ქულები, **ლუიჯი დელ ნერის** პოსტის დატოვება მოუწევს. აქედანვე ამბობენ, რომ დელ ნერის ან **კლაუდიო ჯენტილე** შეცვლის, ანაც **პაველ ნედვედი**. ლუიჯი მძიმე მდგომარეობაშია და სავარაუდოდ, **ალესანდრო დელ პიეროს** გამოუცხადებს ნდობას - კაპიტანთან ერთად **ალესანდრო მატრი** შეუტევს და ვნახოთ, რას გახდებიან.

ტურის უკანასკნელი შეხვედრა „ენიო ტარდინიზე" გაიმართება, სადაც „პარმა" „ნაპოლის" უმასპინძლებს. სამხრეთელებს ჩავარდნა აქვთ, ბოლო ორ თამაშში მხოლოდ ერთი ქულის აღება მოახერხეს და ფაქტობრივად, ჩამოეწერნენ საჩემპიონო მარათონიდან. თუ უნდათ, რომ ჩემპიონთა ლიგის ზონაში მაინც შეინარჩუნონ ადგილი, სწრაფად უნდა გამოასწორონ თამაში და კვლავ დაიწყონ ქულების მოგროვება. **ვალტერ მაძარი** ოპტიმისტურად არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ ემილიაში გამარჯვება მის გუნდს სავსებით ხელეწიფება. ოპტიმისტურად არიან განწყობილი ნეაპოლელი გულშემატკივრებიც, რაც მეტწილად **ესეკილ ლავეცის** დაბრუნებას უკავშირდება. არგენტინელმა შემტევმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მის გარეშე გუნდს ძალიან გაუჭირდა.

ჩემპიონთა ლიგაზე განცდილი ფიასკო: *„ჩემი შეგირდები საშინელ ხასიათზე არიან და ეს არც მიკვირს, რადგან შუა კვირაში მძიმე მარცხი ვიწვნიეთ. თუმცა, ყურების ჩამოყრა არაფრით არ შეიძლება, უნდა გავძლიერდეთ და მთლიანად ეროვნულ ჩემპიონატზე გადმოვერთოთ. მომავალ სეზონში უნდა დავამტკიცოთ, რომ ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში წარმატებით ასპარეზობა შეგვიძლია, ამისთვის კი ოთხეულში მოხვედრაა საჭირო. ამის ძალა ნამდვილად შეგვწევს და მთავარია, არ გავტყდეთ".*

ედუარდო რეია საქმესთან უფრო ახლოს არის: *„მეტოქე აუცილებლად შეგვიტევს, რადგან მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს. სამი ქულა ჩვენთვისაც უმნიშვნელოვანესია და შესაბამისად, დაცვაში ჩაჯდომას არ ვაპირებთ. გამოდის, რომ მოედნის ცენტრში გაჩაღდება დიდი ბრძოლა და ბევრი რამე საყრდენი ნახევარმცველების თამაშზეა დამოკიდებული. მინდა, რომ ჩემმა შეგირდებმა თამაშის შესაძლო სცენარი აქედანვე გაიაზრონ და დიდი ბრძოლისთვის მოემზადონ".*

ტურის ცენტრალური შეხვედრა იტალიის დედაქალაქში გაიმართება, ერთმანეთის პირისპირ კი ორი რომაული გუნდი წარდგება. ეს ყოველთვის საინტერესოა, განურჩევლად იმისა, თუ რა მდგომარეობაა სატურნირო ცხრილში და ვინ როგორ ფეხბურთს თამაშობს. თუმცა, ამ შემთხვევაში ვერც სატურნირო ინტრიგას გავექცევით, რადგან ორივე გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. უკეთეს პოზიციაში „ბიანკოჩელესტეა" და თუ **ედუარდო რეიას** გუნდმა სამი ქულის მოპოვება შეძლო, „ჯალოროსი" თამამად უნდა ჩამოვწეროთ. აი ნომინალურ მასპინძელთა წარმატების შემთხვევაში კი მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბება.

თუ „გაძეტა დელო სპორტს' დავუჯერებთ, ორივე მწვრთნელი ერთ ტაქტიკას: 4-2-3-1-ს ამზადებს. **ვინჩენცო მონტელა** ამჯერად **მარკო ბორიელოს** დასვამს სათადარიგოთა სკამზე, **ფრანჩესკო ტოტი** კი ძირითად შემადგენლობაში იქნება. კაპიტანს **სიმონე პეროტა** და **როდრიგო ტადეი** დაუმშვენებენ გვერდს, წინა ხაზზე კი **მირკო ვუჩინიჩი** იმოქმედებს. რაც შეეხება ედუარდო რეიას, მისი ცენტრფორვარდი **სერჯო ფლოკარი** იქნება, უკნიდან კი **მაურო სარატე, ჯუზეპე სკული** და **ერნანესი** დაეხმარებიან. ვნახოთ, რომელი ოთხეული იძალებს.

ვინჩენცო მონტელა ცდილობს, რომ ფეხბურთელებს სწრაფად დაავიწყოს ოლიმპიკოზე მართლაც დიდი ბრძოლა გაჩაღდება და არა მარტო იმიტომ, რომ ერთმანეთის პირისპირ ისტორიული მეტოქეები, თანაქალაქელები წარდგებიან - იმადაც, რომ ყველა სიკეთესთან ერთად, სასწორზე ჩემპიონთა ლიგის საგზური დევს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 28 | 18 | 7 | 3 | 50-20 | 61 |
| 2. ინტერი | 29 | 17 | 6 | 6 | 55-31 | 57 |
| 3. ნაპოლი | 28 | 16 | 5 | 7 | 41-25 | 53 |
| 4. ლაციო | 28 | 15 | 6 | 7 | 35-23 | 51 |
| 5. უდინეზე | 28 | 15 | 5 | 8 | 50-30 | 50 |
| 6. რომა | 28 | 13 | 7 | 8 | 43-39 | 46 |
| 7. იუვენტუსი | 28 | 11 | 8 | 9 | 41-35 | 41 |
| 8. პალერმო | 28 | 12 | 4 | 12 | 44-45 | 40 |
| 9. კალიარი | 28 | 11 | 6 | 11 | 35-30 | 39 |
| 10. ფიორენტინა | 28 | 9 | 10 | 9 | 32-29 | 37 |
| 11. ბოლონია | 28 | 10 | 9 | 9 | 31-36 | 36 |
| 12. ჯენოა | 28 | 9 | 8 | 11 | 27-32 | 35 |
| 13. კიევო | 28 | 7 | 11 | 10 | 28-30 | 32 |
| 14. სამპდორია | 28 | 7 | 10 | 11 | 25-32 | 31 |
| 15. პარმა | 28 | 6 | 11 | 11 | 27-38 | 29 |
| 16. კატანია | 28 | 7 | 8 | 13 | 24-38 | 29 |
| 17. ჩეზენა | 28 | 7 | 7 | 14 | 23-38 | 28 |
| 18. ლეჩე | 28 | 7 | 7 | 14 | 31-50 | 28 |
| 19. ბრეშა | 29 | 6 | 7 | 16 | 23-36 | 26 |
| 20. ბარი | 28 | 4 | 7 | 17 | 15-42 | 16 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს სამი ქულა*

**ბომბარდირები:** *22 – დი ნატალე (უდინეზე); 20 – კავანი (ნაპოლი); 18 - ეტოო (ინტერი); 17 – დი ვაიო (ბოლონია); 14 - მატრი (იუვენტუსი), იბრაჰიმოვიჩი (მილანი).*

**ლაშა წიკლაური**

ლიგა 1. XXVII ტურის წინ

ბიბლიოთეკა

**გუშინ**

| | |
|---|---|
| რენი-მარსელი | 0:2 |

**დღეს**

| | |
|---|---|
| არლი-ლორიანი | 22:00 |
| ლანსი-ტულუზი | 22:00 |
| ნანსი-კაენი | 22:00 |
| ნიცა-ოსერი | 22:00 |
| სტ. ეტიენი-ბრესტი | 22:00 |
| სოშო-ლიონი | 22:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| ბორდო-მონაკო | 20:00 |
| ლილი-ვალანსიენი | 20:00 |
| პსჟ-მონპელიე | 24:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 26 | 13 | 10 | 3 | 45-25 | 49 |
| 2. რენი | 27 | 14 | 7 | 6 | 31-20 | 49 |
| 3. მარსელი | 27 | 13 | 9 | 5 | 39-23 | 48 |
| 4. ლიონი | 26 | 12 | 9 | 5 | 44-25 | 45 |
| 5. პსჟ | 26 | 12 | 8 | 6 | 39-26 | 44 |
| 6. მონპელიე | 26 | 10 | 8 | 8 | 21-24 | 38 |
| 7. ბორდო | 26 | 9 | 10 | 7 | 35-31 | 37 |
| 8. ლორიანი | 26 | 10 | 6 | 10 | 32-31 | 36 |
| 9. სოშო | 26 | 10 | 5 | 11 | 40-31 | 35 |
| 10. სტ ეტიენი | 26 | 9 | 8 | 9 | 33-33 | 35 |
| 11. ბრესტი | 26 | 9 | 8 | 9 | 27-28 | 35 |
| 12. ტულუზი | 26 | 10 | 3 | 13 | 27-29 | 33 |
| 13. ვალანსიენი | 26 | 7 | 11 | 8 | 30-27 | 32 |
| 14. კაენი | 26 | 8 | 8 | 10 | 29-36 | 32 |
| 15. ნიცა | 26 | 7 | 9 | 10 | 17-27 | 30 |
| 16. ოსერი | 26 | 5 | 14 | 7 | 30-33 | 29 |
| 17. ნანსი | 26 | 8 | 5 | 13 | 27-41 | 29 |
| 18. მონაკო | 26 | 4 | 14 | 8 | 25-28 | 26 |
| 19. ლანსი | 26 | 5 | 10 | 11 | 24-40 | 25 |
| 20. არლი | 26 | 1 | 8 | 17 | 13-50 | 11 |

## რბოლა გრძელდება

გუშინდელ თამაშში „რენსა" და „მარსელს" შორის კიდევ ერთი დიდი ინტრიგა შეიძლებოდა გარკვეულიყო. ჩემპიონობის პრეტენდენტი ხომ შინ ლიგა 1-ის მოქმედ გამარჯვებულს მასპინძლობდა. აღნიშნული მატჩის შედეგი თქვენ რასაკვირველია უკვე იცით, ჩვენ კი ვეცდებით ტურის დანარჩენ საინტერესო ამბებზე წინასწარ მოგითხროთ.

„ლიონს" მადრიდის „რეალთან" უმძიმეს დაპირისპირებამდე 4 დღელა რჩება და საინტერესოა, **კლოდ პიუელის** გუნდი გამონახავს თუ არა ამ პირობებში ძალებს იმ გუნდთან გასამკლავებლად, რომელიც გახელებული იბრძვის ევროპის ლიგის საგზურისთვის. ორი კვირის წინ „ლიონმა" მადრიდულ გრანდთან დაპირისპირებაში უნიკალური შედეგი აჩვენა - ზედიზედ მეშვიდე შეხვედრა არ წააგო. ახლა წინ მე-8 სერიაა. მხოლოდ „რეალთან" მისაღები შედეგის გამო კი არა, გუნდი ზოგადად არის შესანიშნავ ფორმაში. წარმოიდგინეთ, ლიგა 1-ის ბოლო 20 დაპირისპირებაში სულ ერთი მატჩი წააგო, ისიც 21-ე ტურში „ვალანსიენთან" (2:1). მოვუსმინოთ, თუ რას აცხადებს **კლოდ პიუელი:** *„მე უკვე გავაფრთხილე ჩემი ფეხბურთელები, რომ „სოშო" საშიში გუნდია. მისი ფეხბურთელები ხარისხიანად უტევენ და შეუძლიათ შეტევის დაგვირგვინება შორეული დარტყმით, მათ ეშმაკური პასებიც ეხერხებათ. „სოშოს" რიგებში ხომ მარტინი და ბუდებუზი ირიცხებიან. ისინი მინდორზე ყოველგვარი შიშისა და მორიდების გარეშე გამოდიან და თავად თამაშის პროცესისგან იღებენ სიამოვნებას. სწორედ ამიტომ ველოდებით რთულ მატჩს. ნამდვილად წავიდა ის დრო, როცა შეცდომის დაშვების უფლება ჯერ კიდევ გვქონდა. ძალზე მნიშვნელოვანია იმ გეზის შენარჩუნება, რომელსაც ახლა ვადგავართ. ასე გეტყვით, „სოშოსთან" კარგი თამაში „რეალთან" მომზადებასაც ნიშნავს".*

„ლიონი" რამდენიმე ლიდერის იმედად ვერ იქნება. კონკრეტულად გუნდს დააკლდებიან ბრაზილიელი **კრისი,** ვინც „ლილთან" შეხვედრაში დაშავდა **და იოან გურკუფი**. ამ უკანასკნელმა მარჯვენა ფეხის ცერი იტკინა და მისი მინდორზე გამოსვლა დიდი რისკი იქნებოდა ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ. **ასევე საეჭვოა მიშელ ბასტოსის** ასპარეზობაც, მას მარცხენა მუხლი აწუხებს. მუხლის მყესების პრობლემა აქვს მარცხენა მცველ **ალუ სისოხოს**. „ლიონის" ბანაკში ძლივს ერთმა დადებითმა ამბავმა გაიჟღერა. გასულ უქმეებზე რეზერვისტთა შორის ითამაშა აგვისტოს მერე ტრავმირებულმა **ედერსონმა**. თუმცა „სოშოსთან" და „რეალთან" მის გამოყვანას პიუელი ალბათ ვერ გაბედავს.

» მე-7 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგა 1. XXVII ტურის წინ

# რბოლა გრძელდება

« 30-ე გვერდიდან

„სოშოსა“ და „ლიონს“ შორის სხვაობა დღევანდელ მატჩამდე სულ 9 ქულაა. მასპინძლებს რასაკვირველია ამ სხვაობის შემცირების იმედი აქვთ. წინა ტურში ამ გუნდმა ხომ ტულუზში მოიგო 1:0 და მას შემდეგ შესანიშნავ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია. „სიმართლე გითხრათ, ჩემს გუნდს შინ ასპარეზობა უფრო უადვილდება, ვიდრე გასვლაზე. ვიცით, რომ ძლიერი მეტოქე გველის, მათ ტრადიციებზე რომ არაფერი ვთქვათ, გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძვის და ეს საკმარისი იქნებოდა დასახასიათებლად. ამასთან, არც ჩვენი პოტენციალის დავიწყება შეიძლება, საფრანგეთში ნამდვილად შეგვიძლია ნებისმიერი გუნდის დამარცხება. თუკი ჩვენს საუკეთესო თვისებებს გამოვავლენთ, ნამდვილად შევძლებთ მეტოქის წნეხში მოქცევას და დადებითი შედეგის ჩვენებას“. „სოშოს“ 24-ე ტურში გაძევებული **კევინ ანინი** ისევ არ ეყოლება. მისთვის ეს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებული ბოლო მატჩი იქნება. არ იქნება ასევე ნიგერიელი **ბრაუნ იდეიე**; ალბათ გახსოვთ, რომ „მონპელიესთან“ 25-ე ტურის მატჩისას ჩხუბის გაჩაღებისთვის ის მინდვრიდან მიაბრძანეს.

მარსელში მოგების შემდეგ „ლილმა“ მეტოქეებს აშკარა სიგნალი გაუგზავნა და უთხრა, რომ ის ჩემპიონობაზე ხელის აღებას არ აპირებს. „ლილი“-“ვალანსიენი“ ერთგვარი ჩრდილოური დერბია (ქალაქებს შორის მანძილი სულ რაღაც 45 კილომეტრია) და როგორც ამ „ჟანრის“ მატჩებს შეჰფერით, გულშემატკივარი დაძაბულ შეხვედრას იხილავს. „ველოდრომზე“ გამართულ შეხვედრას განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა, პრინციპში, ეს ყოველთვის ასეა... ჰო, ეს მატჩი ედენ აზარის დიდებულმა გოლმა დაამშვენა. ეს მართლა გამაოგნებელი იყო. არა, მას გოლები ადრეც გაუტანია, ასეთი ლამაზი და ასე შორიდან არა, თუმცა... კარგი დარტყმა რომ ჰქონდა, თანაც ორივე ფეხიდან, აქამდეც ვიცოდი. მე უკვე ვთხოვე მას, რომ ხშირად ურტყას ასეთი მანძილებიდან.

ზოგადად „მარსელთან“ კარგად ვითამაშეთ. განსაკუთრებულად მძლავრად გამოიყურებოდა ნახევარდაცვა. შუახაზი მთელი შეხვედრა თითო პასით გადიოდა ფონს, თანაც ისე, რომ ბურთს არ კარგავდა, პლუს ტრიბუნებიდან ზეწოლას ყურადღებას არ აქცევდა. „ლილის“ წარმატების საიდუმლო შეიძლება ისიც იყოს, რომ გუნდის ლიდერებმა მთელი განვლილი სეზონის განმავლობაში მოახერხეს და ტრავმებს თავი აარიდეს,“ - აცხადებს **რუდი გარსია**. მიუხედავად იმისა, რომ „ლილს“ მაინცდამაინც გრძელი სათადარიგოთა სკამი არ აქვს, ეს ხელს არ უშლის მუდმივად დარჩეს ცხრილის ზედა საფეხურებზე. გარსიას **ფლორან ბალმონი** (დისკვალიფიკაცია), **ფრანკ ბერია** (ფეხის ტრავმა) და **ორელინ ჩედჯუ** დააკლდებიან. მუხლი ოდნავ აწუხებდა ლიგა 1-ის საუკეთესო ბომბარდირ **მუსა სოვს**, თუმცა ის „ვალანსიენს“ მინდორზე დაუხვდება. აქვე გეტყვით, რომ დღევანდელ მასპინძლებს ყველა ტურნირში ერთად აღებული 14 საშინაო შეხვედრა არ წაუგიათ.

„ჩვენი მეტოქე ბოლო მატჩებში დაფრინავს, - განაცხადა „ვალანსიენის“ თავკაცმა **ფილიპ მონტანიემ**. - მათ ჩვენს დასამარცხებლად უამრავი არგუმენტი აქვთ - ჰყავთ ლიგაში საუკეთესო თავდასხმა და ერთ-ერთი საუკეთესო დაცვა, მათ რიგებში ასპარეზობს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. მოკლედ, რაღა შორს წავიდეთ და მათ აშკარა ფავორიტად ვასახელებ, თუმცა გარწმუნებთ, რომ შანსი ჩვენც გვაქვს“.

**ლევან ბიბილაშვილი**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVIII ტურის წინ

# ნავასი, 3 ქულა და თვალდახუჭული ბარსა

**დღეს, 21:00**
**ალმერია VS ატლეტიკო**
**დისკვალიფიკაცია:** ა. დომინგესი (ატლ)
**ტრავმა:** პიატი (ალმ)

**დღეს, 23:00**
**რეალი VS ერკულესი**
**ტრავმა:** რონალდო, იგუაინი, კაკა, პედრო ლეონი, რ. კარვალიო - დრენტე, ტრეზეგე, ტოტე, პენია

**დღეს, 01:00**
**სარაგოსა VS ვალენსია**
**ტრავმა:** ფრანკო, ლაფიტა, ბრაულიო - მადურო, ალბელდა

**ხვალ, 20:00**
**ესპანიოლი VS დეპორტივო**
**დისკვალიფიკაცია:** ამატი - კოლოტო, რ. პერესი
**ტრავმა:** დელა პენია, ს. გარსია, მატიონი, დატოლო - რიკი, სისკო, ვალერონი, მ. პაბლო, სეოანე

**ხვალ, 20:00**
**ლევანტე VS მალიორკა**
ლევანტე-მალიორკა 20:00
**ტრავმა:** სერხიო - ვიქტორი

**ხვალ, 20:00**
**ოსასუნა VS რასინგი**
**დისკვალიფიკაცია:** სერხიო (ოს)
**ტრავმა:** არანდა, რუპერი, ოიერი, პანდიანი (?) - სერანო, ციოლისი, ფრანსისი (?)

**ხვალ, 20:00**
**სოსიედადი VS მალაგა**
**დისკვალიფიკაცია:** დემიკელისი (მალ)
**ტრავმა:** ხ. ლორენტე, დე ლა ბელა (?), დემიდოვი - გამესი, ბაპტიშტა, ასენხო, აპონიო (?), რუბენი (?)

**ხვალ, 22:00**
**ვილიარეალი VS სპორტინგი**
**დისკვალიფიკაცია:** ლორა, ეგურენი (სპორ)
**ტრავმა:** ა. ლოპესი, სენა (ვილ)

**ხვალ, 00:00**
**სევილია VS ბარსელონა**
**დისკვალიფიკაცია:** ესკუდე (სევ)
**ტრავმა:** ლუიშ ფაბიანო, ნეგრედო (?) - პუიოლი, უეფრენი

**ზეგ, 00:00**
**ხეტაფე VS ბილბაო**
**დისკვალიფიკაცია:** მიკუ (ხეტ)
**ტრავმა:** მანე, გავილანი, უსტარი - ი. გომესი, აურტენეჩე, ტოკერო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 27 | 24 | 2 | 1 | 78-13 | 74 |
| 2. რეალი | 27 | 21 | 4 | 2 | 65-20 | 67 |
| 3. ვალენსია | 27 | 16 | 6 | 5 | 42-28 | 54 |
| 4. ვილიარეალი | 27 | 15 | 5 | 7 | 46-29 | 50 |
| 5. ბილბაო | 27 | 13 | 2 | 12 | 42-38 | 41 |
| 6. ესპანიოლი | 27 | 13 | 1 | 13 | 35-39 | 40 |
| 7. ატლეტიკო | 27 | 11 | 5 | 11 | 39-35 | 38 |
| 8. სევილია | 27 | 11 | 5 | 11 | 41-42 | 38 |
| 9. სოსიედადი | 27 | 11 | 2 | 14 | 38-44 | 35 |
| 10. მალიორკა | 27 | 10 | 4 | 13 | 28-37 | 34 |
| 11. ხეტაფე | 27 | 9 | 6 | 12 | 36-41 | 33 |
| 12. ლევანტე | 27 | 9 | 4 | 14 | 28-38 | 31 |
| 13. დეპორტივო | 27 | 7 | 10 | 10 | 23-36 | 31 |
| 14. რასინგი | 27 | 7 | 9 | 11 | 25-39 | 30 |
| 14. ოსასუნა | 27 | 7 | 8 | 12 | 27-32 | 29 |
| 15. სპორტინგი | 27 | 6 | 10 | 11 | 25-34 | 28 |
| 17. სარაგოსა | 27 | 6 | 9 | 12 | 24-39 | 27 |
| 18. ერკულესი | 27 | 7 | 5 | 15 | 25-41 | 26 |
| 19. ალმერია | 27 | 5 | 10 | 12 | 28-45 | 25 |
| 20. მალაგა | 27 | 6 | 5 | 16 | 34-59 | 23 |

**ბომბარდირები:** 27 - ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 17 - დავიდ ვილია (ბარსელონა); 15 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 14 - ჯუზეპე როსი (ვილიარეალი); 13 - პედრო როდრიგესი (ბარსელონა); 11 - ნილმარი (ვილიარეალი), ფელიპე კაისედო (ლევანტე); 10 - ლუიშ ფაბიანო (სევილია), დავიდ ტრეზეგე (ერკულესი), ალვარო ნეგრედო (სევილია).



ლა ლიგაში ტური ტურს მისდევს და მთავარი ამბავი არა და არ იცვლება - ჩემპიონატი ხომ უპირველესად ჩემპიონობისთვის ბრძოლაა და ამ ბრძოლაში სულ ორი გუნდი მონაწილეობს. სიუჟეტიც ერთია - „ბარსელონა“ გვარიანი უპირატესობით (დღეისათვის, 7 ქულით) წინ უსწრებს „რეალს“. ის კი არა, ნელ-ნელა შარშანდელივით გამოიკვეთა „ვალენსიას“ მესამეადგილოსნობა. ყველა აპრილის კვანძის გახსნას - კლასიკოს ელის, მანამდე კი „ბარსელონას“ რთულ საგარეო მატჩებზე „რეალის“ გულშემატკივრებს იმედი უჩნდებოდათ, იქნებ, ახლა მაინც წაიფორხილოს ჩემპიონმა. 28-ე ტურიც სწორედ ასეთია - მესი და კომპანია ანდალუსიაში მიდის, სადაც მტრულად განწყობილი „სანჩეს პისხუანი“ ელის.

„სევილიასთან“ დაპირისპირება კვირასაა, დღეს **ხოსეპ გვარდიოლა**, რომელიც თავადაც მკურნალობს, ანდალუსიაში გამგზავრების წინ ბოლო ვარჯიშს ჩაატარებს. მის განკარგულებაშია 19 ფეხბურთელი პირველი გუნდიდან და ერთი სარეზერვოდან (**ხორდი მასიპი**). ტრავმირებული მხოლოდ **კარლეს პუიოლია**, რომელიც ვერ ითამაშებს სევილიაში. ივარჯიშა, თუმცა მხოლოდ ინდივიდუალურად **პედრომ**, მიზეზი მცირე ტრავმაა.

ეს თამაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **ადრიანო კორეიასთვის**, რომელიც შარშანდელ სეზონში სწორედ „სევილიას“ ღირსებას იცავდა: „ჩემთვის ყოველთვის უმნიშვნელოვანესია სევილიელი გულშემატკივრების წინაშე თამაში. მახსოვს, სუპერთასზე პუბლიკამ რა თბილად მიმიღო, არადა მეშინოდა, არ ესტვინათ ჩემთვის. მე იმ ხალხის უზომოდ მადლიერი ვარ. „სევილიასთან“ სტუმრად თამაში სეზონში ერთ-ერთი ყველაზე მძიმეა „ბარსასთვის“. ჩვენ უნდა ვიყოთ ყურადღებით, რადგან ჯერ კიდევ ძალიან დიდი დრო რჩება ჩემპიონატის დასრულებამდე, ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, - განაცხადა ადრიანომ, რომელსაც, როგორც ჩანს, ისევ გარანტირებული აქვს კარგი დახვედრა ყოფილი გუნდის ფანებისგან, რადგან ბრაზილიელი ყოველთვის კარგად იხსენებს „სევილიაში“ გატარებულ დროს.

„სევილიას“ მსოფლიოს ჩემპიონი ლიდერი **ხესუს ნავასი** აცხადებს, რომ ძალიან რთული მატჩი ელის მის გუნდს ჩემპიონთან, თუმცა ეჭვიც არ ეპარება, რომ 3 ქულა ანდალუსიაში დარჩება: „ბარსელონას“ ფეხბურთელებმა მიაღწიეს საოცარ ურთიერთგაგებას, მათ შეუძლიათ თვალდახუჭულებმა გაითამაშონ დიდებული კომბინაციები. ასეთ მეტოქეს მხოლოდ უდიდესი კონცენტრაციით თუ დაუპირისპირდები. მიუხედავად იმისა, რაც ვთქვი, „ბარსასთან“ 3 ქულის მოპოვება შესაძლებელია. მათი მთავარი ფიგურა მესია, მაგრამ არც ჩავი, ინიესტა, პედრო და სხვებია დასავიწყებელი. მოსაგებად, რა თქმა უნდა, ჩვენი ფანების სრული მხარდაჭერაც დაგვჭირდება“, - ამბობს ხესუს ნავასი.

„ბარსას“ მდევარი „რეალი“ ერთი დღით ადრე ანუ დღეს თამაშობს „სანტიაგო ბერნაბეუზე“. ერთ დროს „კამპ ნოუზე“ „ბარსას“ დამმარცხებელი ვალენსიის მხარის წარმომადგენელი ნელნელა იმ ადგილს დაუბრუნდა, რასაც უწინასწარმეტყველებდნენ - გასავარდნ ზონას. ჟოზე მოურინიო „ერკულესთან“ მატჩს 19 ფეხბურთელით ხვდება. მათ შორისაა **ლასანა დიარა**, რომელიც წინა ტურში დისკვალიფიცირებული იყო. ტრავმები მოიშუშეს **არბელოამ, გარაიმ** და **ხედირამ**. „ერკულესთან“ ვერ ითამაშებენ **იგუაინი, რონალდო** (კიდევ ერთი შანსი მესის, წინ გაიჭრეს „პიჩიჩისთვის“ ბრძოლაში), **კაკა, გაგო** და **პედრო ლეონი**. არ ითამაშებს **რიკარდო კარვალიო**, თუმცა ერთი მოურინიომ იცის, რატომ - პორტუგალიელს ტრავმა არ აწუხებს, ის მწვრთნელმა სიაში არ შეიყვანა - ალბათ, „ლიონისთვის“ ასვენებს.

„ერკულესი“ ისედაც განწირულს ჰგავს „რეალთან“ მატჩში, თუმცა მას მერე, რაც გაირკვა, რომ მუხლის სამკურნალოდ მათი მთავარი მეგოლე **დავიდ ტრეზეგე** იტალიაში წავიდა, სტუმრებზე ფსონის ჩამოსვლას არავის ვურჩევთ. მით უფრო, რომ ტრავმირებულია **როისტონ დრენტე**, რომელსაც ისედაც არ დართავდა „რეალი“ თამაშის უფლებას, რადგან ამ გუნდს ეკუთვნის.

„ერკულესი“ გულს და სულს ჩადებს ამ თამაშში. ასე რომ, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა მოვეშვათ მეტოქეს, რომ მორიგი 3 ქულა მოვიპოვოთ“, - განაცხადა ჟოზე მოურინიომ - „ჩვენ გვსურს „ბერნაბეუზე“ წარმატებები განვაგრძოთ, სოლიდურად თუ ვითამაშებთ, „ლიონის“ წინ განწყობას ერთიორად ავიმაღლებთ. ბენზემას შესახებ ყველანი ერთი აზრის ვართ, მან მოუმატა და კარგად თამაშობს, მაგრამ ის ისეთი ფეხბურთელია, რომელსაც კიდევ მეტი შეუძლია. რაც შეეხება იოზილს, მისი პროგრესი ფანტასტიკურია - ფეხბურთელი დღითი დღე ხდება „რეალის“ ლიდერი, ზაფხულში ჩვენ გერმანელი ძალიან იაფად ჩავიგდეთ ხელში“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

●ბაიერნი

## ჰაინკესი მიუნხენს უახლოვდება

### ვან გაალი: მაგდებთ? თვითონ წავალ!

როგორც იცით, მიუნხენის „ბაიერნმა" მომავალი სეზონისთვის ახალი მწვრთნელის ძებნა დაიწყო, რადგან გადაწყვეტილია, რომ **ლუის ვან გაალი** ზაფხულში რეკორდმაისტერს დატოვებს. „ბილდის" ცნობით, ამჟამად „ლევერკუზენის" დამრიგებელი **იუპ ჰაინკესი** ბავარიულ გრანდს კიდევ უფრო მიუახლოვდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ „დონ იუპი" „ბაიერნის" ხელმძღვანელებისთვის ნომერ პირველი და ყველაზე სასურველი კანდიდატია.

შეგახსენებთ, რომ ჰაინკესს „ლევერკუზენთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, „ფარმაცევტებთან" ახალი ხელშეკრულება ჯერ არ გაუფორმებია და როგორც ჩანს, აღარც აპირებს. აქვე იმასაც გაგახსენებთ, რომ ჰაინკესი ორჯერ უკვე წვრთნიდა „ბაიერნს": პირველად 1987-დან 1991 წლამდე, მეორედ კი 2009 წელს, როცა რეკორდმაისტერი ბუნდესლიგის მეორე წრეში, დროებით ჩაიბარა.

ამასობაში, ვან გაალმა პირველი პრესკონფერენცია გამართა მას მერე, რაც გაირკვა, რომ სეზონის ბოლოს „ბაიერნის" დატოვება მოუწევს და არ გამორიცხა, რომ პოსტი თვითონ, ვადაზე ადრე დატოვოს. *„თუ ზაფხულამდე შევამჩნევ, რომ გუნდი არ მემორჩილება და აქ უკვე ზედმეტი ვარ, გამორიცხული არ არის, რომ თანამდებობა სეზონის დამთავრებამდე მე თვითონ დავტოვო. „ბაიერნი" უფრო დიდია, ვიდრე ვან გაალი,"* - თქვა ჰოლანდიელმა და იქვე დასძინა, რომ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შემდეგ რომელიმე ნაკრებს ჩაუდგება სათავეში.

*მოსალოდნელი ტრანსფერი*

## ზენიტი ბარიოსში 20 მილიონს იხდის

დორტმუნდის „ბორუსია" მიმდინარე სეზონს ბრწყინვალედ ატარებს და გასაკვირი ნამდვილად არაა ის, რომ დორტმუნდელ ფეხბურთელებს მთხოვნელების რიგი დაუდგათ. რუსული და სამხრეთამერიკული პრესის ინფორმაციით, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი" „ბორუსიას" მთავარი გოლეადორით, **ლუკას ბარიოსით** დაინტერესდა და მზადაა, BVB-ს მის სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო გადაუხადოს. აღსანიშნავია, რომ ბარიოსით (11 გოლი ამ სეზონში) „რეალი", „ჩელსი" და „მილანიც" არიან დაინტერესებულები, მაგრამ „ბორუსიასთვის" კონკრეტული წინადადებით ჯერ არ მიუმართავთ.

საინტერესოა, მოახერხებს თუ არა „ზენიტი" ბარიოსის დაყოლიებას - ფაქტია, რომ რუსების ერთადერთი არგუმენტი ბევრი ფულია, სპორტული თვალსაზრისით კი, „ზენიტში" თამაშს, დორტმუნდში თამაში მინიმუმ ათჯერ ჯობია. თვითონ არგენტინელი გოლეადორი, რომელიც პარაგვაის ნაკრებში თამაშობს, აცხადებს, მხოლოდ ფეხბურთზე ვარ კონცენტრირებულიო, მაგრამ იქვე ორაზროვნად დასძენს, რომ ჯერ არ იცის, რა მოხდება ზაფხულში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბარიოსს მიმდინარე სეზონის წინაც ბევრი წინადადება ჰქონდა და „მილანს", „მანჩესტერ სიტისა" და ყაზანის „რუბინს" უარი შეუთვალა. შეგახსენებთ, რომ დორტმუნდელებს „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ფორვარდ **მიროსლავ კლოზეს** გადაბირება სურთ - შესაძლოა იმიტომაც, რომ ბარიოსის დარჩენის ასპროცენტიანი იმედი არ აქვთ.

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVI ტურის წინ

# ლიდერი სოფელში და კიდევ ბევრი რამ

### ვან გაალი ფანებთან გამოსამშვიდობებელ ტურნეს ჰამბურგთან მატჩით იწყებს

**გუშინ**

| | |
|---|---|
| კიოლნი | 4 |
| ჰანოვერი | 0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 25 | 19 | 4 | 2 | 53-14 | 61 |
| 2. ლევერკუზენი | 25 | 14 | 7 | 4 | 53-35 | 49 |
| 3. ჰანოვერი | 26 | 15 | 2 | 9 | 37-36 | 47 |
| 4. მაინცი | 25 | 14 | 1 | 10 | 41-32 | 43 |
| 5. ბაიერნი | 25 | 12 | 6 | 7 | 51-33 | 42 |
| 6. ნიურნბერგი | 25 | 11 | 6 | 8 | 39-32 | 39 |
| 7. ჰამბურგი | 25 | 11 | 4 | 10 | 37-36 | 37 |
| 8. ფრაიბურგი | 25 | 11 | 4 | 10 | 32-34 | 37 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 25 | 8 | 9 | 8 | 41-37 | 33 |
| 10. კიოლნი | 26 | 9 | 5 | 12 | 35-43 | 32 |
| 11. შალკე | 25 | 8 | 6 | 11 | 29-30 | 30 |
| 12. აინტრახტი | 25 | 8 | 4 | 13 | 24-34 | 28 |
| 13. ზტ. პაული | 25 | 8 | 4 | 13 | 27-43 | 28 |
| 14. ვერდერი | 25 | 7 | 7 | 11 | 33-51 | 28 |
| 15. ვოლფსბურ. | 25 | 6 | 8 | 11 | 29-37 | 26 |
| 16. შტუტგარტი | 25 | 7 | 4 | 14 | 43-47 | 25 |
| 17. კაიზერსლ. | 25 | 6 | 7 | 12 | 33-47 | 25 |
| 18. ბორუსია (მ) | 25 | 6 | 4 | 15 | 37-59 | 22 |

**ბომბარდირები:** 18 - გომესი (ბაიერნი); 17 - სისე (ფრაიბურგი); 14 - გეკასი (აინტრახტი); 12 - შიურლე (მაინცი); 11 - ბარიოსი (ბორუსია დ), ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), რაული (შალკე),ია კონანი (ჰანოვერი)

**დღეს, 18:30**
ბაიერნი VS ჰამბურგი
**დისკვალიფიკაცია:** ბრენო
**ტრავმა:** ოლიჩი - დრობნი, დიკმაიერი, მატიისენი, კასტელენი

**დღეს, 18:30**
შალკე VS აინტრახტი
**დისკვალიფიკაცია:** ჰიოვედესი - ფრანცი
**ტრავმა:** ჰუგლანდი, პანდერი, ყენია, მორიტცი - ნიკოლოვი, კრისი, ბაირამოვიჩი, კიოლერი

**დღეს, 18:30**
ვოლფსბურგი VS ნიურნბერგი
**დისკვალიფიკაცია:** ა. ფრიდრიხი (ვოლფსბურგი)
**ტრავმა:** ჩიგერჩი, ჟოსუე, ჰელმესი - იუდტი, ფრანტცი, ბუნიაკუ, შიბერი

**დღეს, 18:30**
ჰოფენჰაიმი VS ბორუსია (დ)
**დისკვალიფიკაცია:** მლაპა (ჰოფენჰაიმი)
**ტრავმა:** გულდე, იბერტსბერგერი, ვაისი, ობასი - ჰუმელსი, ოვომოიელა, კაგავა, კრინგე, ზიდანი

**დღეს, 18:30**
კაიზერსლაუტ. VS ფრაიბურგი
**დისკვალიფიკაცია:** პუცილა (ფრაიბურგი)
**ტრავმა:** შიმუნეკი, ამრი - პუპლინი, როზენტალი, ვილიამსი, ბეხმანი

**დღეს, 21:30**
ვერდერი VS ბორუსია (მ)
**ტრავმა:** ფანდერი, ბიონიში, ნალდო, დ. იენსენი, აიქი - შტეგენი, ჟორე, დე კამარგო

**ხვალ, 18:30**
მაინცი VS ლევერკუზენი
**ტრავმა:** კარჰანი, შალაი - მ. ფრიდრიხი, ბალაკი, ბარნეტა

**ხვალ, 20:30**
ზტ. პაული VS შტუტგარტი
**დისკვალიფიკაცია:** ჰერბერი, მ. ლემანი - დელპიერი
**ტრავმა:** მორენა, ოჩიპკა, როთენბახი, სამბრანო - ციგლერი, ბოკა, აუდელი, ფუნკი



ბაიერნი-ჰამბურგი. იორის მატიისენისა და მარიო გომესის ორთაბრძოლა დღეს არ შედგება

**26-ე ტური** გუშინ „კიოლნისა" და „ჰანოვერის" დაპირისპირებამ გახსნა. დღევანდელი მატჩებიდან ყველაზე საინტერესო „ბაიერნისა" და „ჰამბურგის" შეხვედრაა - როგორც უკვე იცით, მომავალი სეზონისთვის ორივე გუნდის ხელმძღვანელები ახალ მწვრთნელს ეძებენ, რადგან ზაფხულში ლუის ვან გაალიც მიდის და არმინ ფეეც. ტურის მთავარი მატჩი კი ხვალ „მაინცსა" და „ლევერკუზენს" შორის გაიმართება.

### ვან გაალის და ფეეს გამოსამშვიდობებელი ტურნე იწყება

დღეს „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი ლუის ვან გაალი და „ჰამბურგის" თავკაცი არმინ ფეე ფანებთან გამოსამშვიდობებელ ტურნეს ერთმანეთთან დაპირისპირებით დაიწყებენ - გადაწყვეტილია, რომ ზაფხულში თანამდებობას ერთიც დატოვებს და მეორეც. ვან გაალის წასვლა ორშაბათს გადაწყდა - მას მერე, რაც რეკორდმაისტერი ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდა და გერმანიის თასის ნახევარფინალიდანაც გავარდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობდნენ, რომ ბავარიული გრანდის შეფები ლუისს ახლავე გაუშვებდნენ, მაგრამ **ჰიონესმა** და **რუმენიგემ** „ბაიერნისთვის" შესაფერისი დროებითი მწვრთნელი ვერ იპოვეს და ჰოლანდიელი სეზონის ბოლომდე დატოვეს. ფეემ კი სამშაბათს თვითონ განაცხადა, რომ ჰამბურგული ალიაქოთი და ქაოსი ყელში ამოუვიდა და რომ სეზონის ბოლოს კონტრაქტს გაწყვეტს. საინტერესოა, რომელი გუნდი უფრო მოახერხებს 100 პროცენტით სპორტზე კონცენტრირებას მთელი ამ დავიდარაბის შემდეგ? ორი აზრი არ არსებობს, მიუნხენელებს ამის უკეთესი შანსი აქვთ. „ჰამბურგს" დაცვის ბურჯი **იორის მატიისენი** ტრავმირებული ჰყავს.

### ვოლფსბურგს გასავარდნი ზონა ემუქრება?

ლევერკუზენში წაგების (0:3) შემდეგ, ვოლფსბურგში ისევ მაგრად ანერვიულდნენ, არადა, იმის წინა ტურში „მგლებმა" მიონხენგლადბახის „ბორუსია" 2:1 დაამარცხეს და გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ ყველაფერი გამოსწორდებოდა. ახლა კი, გერმანიის ექსჩემპიონს ისევ გასავარდნ ზონაში ჩამოქვეითების საფრთხე ემუქრება. **არნე ფრიდრიხი**, რომელიც დღეს დისკვალიფიცირებულია, ლევერკუზენში განცდილი მარცხის შემდეგ გაგიჟებული იყო, კატასტროფულად ვთამაშობთ და რეგრესს ბოლო არ უჩანსო. ძალიან კარგ ფორმაში მყოფ „ნიურნბერგთან" მატჩის წინ „ვოლფსბურგისთვის" სერიოზული პრობლემაა ისიც, რომ თავდამსხმელი **პატრიკ ჰელმესი** ტრავმირებულია. „ნიურნბერგმა" წინა ტურში „ზანკტ პაულის" გადაურბინა (5:0) და ფრანკებს ახლა უკვე შვიდმატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ. ნიურნბერგელები მეექვსე ადგილზე არიან და შესაბამისად, ევროპის ლიგის საგზურზე ოცნებობენ.

ხუთეულში მოხვედრა ფრაიბურგელების ოცნებაცაა, მაგრამ ბრაისგაუელები წინა ტურში საკუთარ მოედანზე „ვერდერთან" დამარცხდნენ (1:3), ახლა კი გასაჭირში მყოფ „კაიზერსლაუტერნს" სტუმრობენ. „ფრაის" თავკაცი **რობინ დუტი** ამ შეხვედრაში პუცილას (დისკვალიფიკაცია) ვერ გამოიყენებს. მართალია, ხვდებიან, რომ „ფრიც-ვალტერ-შტადიონზე" ურთულესი მატჩი ელით, მაგრამ ფრაიბურგელებს მაინც აქვთ წარმატების მიღწევის იმედი, რადგან „ლაუტერნს" 2011 წელს არც ერთი თამაში არ მოუგია, საერთოდ კი, ამ სეზონში საკუთარ მოედანზე სამი ქულის მოპოვება მხოლოდ სამჯერ შეძლო.

### კრიზისული დუელი აუფ შალკეზე

თუკი „კაიზერსლაუტერნს" 2011 წელს თამაში არ მოუგია, ფრანკფურტის „აინტრახტს" ერთი გოლიც კი არ აქვს გატანილი. მიხაელ სკიბეს უგოლო და უიმედო მდგომარეობაში მყოფი გუნდი დღეს „შალკეს" სტუმრობს და ყველა „ბედნიერებას" ისიც დაემატა, რომ „აინტრახტის" დაცვის ბურჯი **მაიკ ფრანცი** დისკვალიფიცირებულია. თუმცა „შალკეშიც" დიდი ქაოსია. მართალია, გელზენკირხენული კლუბი გერმანიის თასის ფინალში გავიდა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშიც გააღწია, მაგრამ ბუნდესლიგაში ნაჩვენები ამაზრზენი შედეგების გამო, „შალკეს" ბოსები მწვრთნელსა და მენეჯერ **ფელიქს მაგათს** მაინც გათავისუფლებას უპირებენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მათ „დესპოტი ფელიქსის" გაგდება ამ კვირაშივე სურდათ, მაგრამ „ვალენსიასთან" გამარჯვების შემდეგ ასეთი რადიკალური ნაბიჯი ველარ გადადგეს. წამყვანი მცველი მაგათსაც არ ეყოლება - **ბენედიქტ ჰიოვედესი** წინა ტურში (0:1 შტუტგარტთან) გააგდეს და დღეს დისკვალიფიცირებულია.

ლიდერი დორტმუნდის „ბორუსია" „ჰოფენჰაიმს" სტუმრობს და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ BVB-ს შესაძლოა პრობლემები შეექმნას, ისაა, რომ „დორტმუნდმა" პირველ წრეში „ჰოფეს" დამარცხება ვერ შეძლო - „ვესტფალენშტადიონზე" „შავ-ყვითლები" სულაც აგებდნენ და თუ გახსოვთ, მატჩის მიწურულსღა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება (1:1).

### წვეულება სარდაფში

ფრაიბურგში მოგებული მატჩის (3:1) შემდეგ, ბრემენის „ვერდერის" ფეხბურთელებმა, მწვრთნელმა, ხელმძღვანელებმა და გულშემატკივრებმა ცოტათი კი ამოისუნთქეს, მაგრამ თუ დღეს სალამოს აუტსაიდერ და გადარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „გლადბახს" ვერ დაამარცხებენ, კვლავ ნერვიულობა მოუწევთ. ასეა: წარსულს ჩაბარდა დრო, როცა „ვერდერი" ჩემპიონობისთვის ან მინიმუმ ევროსაგზურებისთვის იბრძოდა ხოლმე - დღეს „მუსიკოსების" მთავარი საზრუნავი გადარჩენაა. ბრემენელთა თავკაც **თომას შააფს აარონ ჰანტი** და **ტიმ ბოროვსკი** გამოუჯანმრთელდნენ. რაც შეეხება „გლადბახს": „ბორუსია" მეორე წრეში გადარჩენისთვის გააფთრებით იბრძვის და ახალ მწვრთნელთან, **ლუსიენ ფავრთან** ერთად 2011 წელს უკვე ოთხი მატჩის მოგება მოახერხა. მიონხენგლადბახელებმა წინა ტურში „ჰოფენჰაიმი" დაამარცხეს და გვირაბის ბოლოს სინათლეს ხედავენ. მათთვის ცუდი ისაა, რომ ძალიან კარგ ფორმაში მყოფი თავდამსხმელი **იგორ დე კამარგო** ტრავმირებულია და დღეს ვერ იასპარეზებს.

### ტოპდუელი მაინცში

კვირის პირველი შეხვედრა 26-ე ტურის ცენტრალური მატჩია: მეორეადგილოსანი „ლევერკუზენი" მეოთხე პოზიციაზე მყოფ „მაინცს" სტუმრობს. „მაინცის" მიზანი ხუთეულში ადგილის შენარჩუნება და ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებაა, მაგრამ **თომას ტუხელის** ბიჭები ჩემპიონთა ლიგაზეც ოცნებობენ და თუ უშუალო კონკურენტ „ლევერკუზენთან" წარმატებას მიაღწევენ, მათთვის საუკეთესო სამეულში მოხვედრაც ძალიან რეალური გახდება.

რამდენად ცუდად იმოქმედა „ნიურნბერგთან" 0:5-მა „ზანკტ პაულიზე" და შესწევს თუ არა ამ გუნდს იმის უნარი, რომ „შტუტგარტთან" უპრინციპულეს დუელში არ დამარცხდეს? ამ კითხვას პასუხს 26-ე ტურის ბოლო შეხვედრა გასცემს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩების მიმოხილვა

# ნილმარშოუ გერმანიაში
## პორტუგალიური რაუნდი


ლისაბონი ხარას გოლს ზეიმობს

ყველაზე საინტერესო, რაც შეიძლება ჩვენთვის მომხდარიყო, არ მოხდა - „ამსტერდამ არენაზე“ ჯანო ანანიძემ ჯერ მხოლოდ სათადარიგოთა სკამი „დააგემოვნა“, მოსკოვის „სპარტაკმა“ მის გარეშეც მოუგო „აიაქსს“, თუმცა ეს გამარჯვება დიდი ალოგიკური რამ კი გახლდათ. სადაც ევროთასებია, ბოლოს ყველგან იტალიური ფეხბურთის კრიზისზე ლაპარაკობენ. ევროპის ლიგის ეს ეტაპი კი გამონაკლისია (თუმცა, არა გვგონია, სასიამოვნო ტიფოზებისთვის) - იქ, სადაც 3 რუსული კლუბი თამაშობს, ერთი იტალიურიც არ გასულა. მაშ ასე, ვნახოთ, რა გაირკვა და რა ჯერ არა ევროპის ლიგის ფინალამდე 69 დღით ადრე...

### ბრაგა–ლივერპული 1:0

„ბრაგამ“ ინგლისურ კლუბს ამ სეზონში პირველი მარცხი მიაყენა ევროპის ლიგაზე. მატჩის მე-18 წუთზე **სოტირის კირიაკოსმა** საჯარიმოში შეჭრილი **მარსიო მოსორო** წააქცია, ხოლო ალანმა პენალტი გამოიყენა. ეს პორტუგალიური გუნდის მე-100 გოლია ევროთასებზე. ტრავმირებული **სტივენ ჯერარდისა** და **ლუის სუარესის** (ევროპის თასზე თამაშის უფლება არა აქვს) გარეშე მოთამაშე „ლივერპული“ უკბილოდ უტევდა და პირველ ტაიმში კინალამ მეორე გოლიც გაუშვა, **სილვიომ** ცაციათი შორი მანძილიდან დაარტყა, „ლივერპული“ კი ხარიხამ იხსნა. მეორე ტაიმში სტუმართა თამაში 40 მილიონ ევროდ ნაყიდმა **ენდი ქეროლმა** კი გამოაცოცხლა, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა. „ენფილდური“ მატჩის წინ „ბრაგა“ მინიმალურ უპირატესობას ინარჩუნებს.


**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: მარსიო მოსორო** (ბრაგა) - პირველ ტაიმში მისი პასების კასკადმა თავბრუ დაახვია მეტოქის მცველებს, მოიპოვა გადამწყვეტი პენალტი.

**კენი დალგლიში** (ლივერპული): *„პირველი 35 წუთის განმავლობაში ჩვენ უბრალოდ საშინლად ვთამაშობდით. არა მგონია, „ბრაგას“ გადამწყვეტი უპირატესობა ჰქონოდა, მათ პენალტის წყალობით მოიგეს, როცა ჩვენმა მცველმა მეტოქე მაშინ მოცელა, როცა მისგან საფრთხეს ნაკლებად ველოდით. ბიჭები მინდა შევაქო მეორე ტაიმისთვის, უკეთ ითამაშეს, ტემპს მოუმატეს, შეეცადნენ ანგარიში გაეთანაბრებინათ. ახლა კი დაველოდოთ მატჩს „ენფილდზე“.*

### პსვ–რეინჯერსი 0:0

„რეინჯერსმა“ ჰოლანდიაში გმირულად შეინარჩუნა სასტარტო ანგარიში. ეინდჰოვენელთაგან გოლის გატანის ყველაზე კარგი შანსი მცველ **მარსელოს** ჰქონდა, რომელმაც ხელსაყრელი სიტუაციიდან თავური ააცილა შოტლანდიელთა კარს. **უოლტერ სმითის** გუნდი დაცვაში იყო გამაგრებული (დაცვაში 5 კაცით ითამაშეს) და **ფრედ რუტენის** შეგირდებს უჭირდათ შოტლანდიური ბასტიონის გარღვევა. ზემოთ აღწერილი მარსელოს ეპიზოდი თამაშის 71-ე წუთზე მოხდა.


**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ბალაჟ ჯუჯაკი** (პსვ) - ძალიან მოწადინებული იყო, ჩაწოდებებით, საჯარიმო დარტყმებით ცდილობდა შოტლანდიელთა სამკაციანი ცენტრალური დაცვის გარღვევას. იტვირთა ლიდერის ფუნქციები.

**ფრედ რუტენი** (პსვ): *„გაორებული გრძნობა მაქვს, თან კარგად ვითამაშეთ და სასაყვედურო არაფერი მაქვს ბიჭებისთვის, თან შედეგს ვერ მივაღწიეთ და საქმე რთულადაა. ბოლოს კი, რომ არა ისაკსონი, სულაც წავაგებდით“.*

### ლევერკუზენი–ვილიარეალი 2:3

მას შემდეგ, რაც გერმანიის მე-10 გუნდმა (მიმდინარე ცხრილში) ჩემპიონთა ლიგაზე ესპანეთის მე-3 გუნდი დაამარცხა, ალაპარაკდნენ, რომ ბუნდესლიგამ პრიმერადივიზიონსაც გადაუსწრო დონით. ოპტიმისტებს მალევე მოუსწრო ლევერკუზენულმა მატჩმა, სადაც „ყვითელმა წყალქვეშა ნავმა“ 3:2 მოუგო ადგილობრივ „ბაიერს“ და მეოთხედფინალისკენ უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა. მატჩის გმირი კი უდავოდ ბრაზილიელი **ნილმარია**, რომელმაც 94-ე წუთზე (!) გაამარჯვებინა „ვილიარეალს“. არადა, ყველაფერი კარგად მასპინძელთათვის დაიწყო - 33-ე წუთზე **მიხალ კადლეცმა** შორეული დარტყმით გახსნა ანგარიში. ტაიმის მიწურულს **ჯუზეპე როსიმ** კონტრშეტევაზე მოახერხა ანგარიშის გათანაბრება. მეორე ტაიმში კი ნილმარშოუ ვიხილეთ, ის ჯერ 70-ე წუთზე იოლად გაუსწორდა ორ მცველს და ბრწყინვალე გოლი გაიტანა (თუმცა მალევე **გონსალო კასტრომ** გაათანაბრა), შემდეგ კი, მატჩის მიწურულს გამარჯვება მოუტანა ესპანურ კლუბს, რისთვისაც იშვიათი ინდივიდუალური ოსტატობა გამოავლინა.


**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ნილმარი** (ვილიარეალი) - მოედანზე სულ რაღაც 21 წუთი დაყო და ორი ბრწყინვალე გოლი გაიტანა. შესაძლოა, მან ამ წყვილში ყველაფერი 90 წუთით ადრე გაარკვია.

**იუპ ჰაინკესი** (ლევერკუზენი): *„ჩემმა გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ მეტოქე უფრო ეფექტური იყო. ჩვენ უკეთ ვითამაშეთ, ბურთს მეტად ვფლობდით, ბევრი ვურტყით კარში, მაგრამ გაიმარჯვა მეტოქემ. ხანდახან ასეთიცაა ფეხბურთი“.*

### ცსკა–პორტუ 0:1

რუსული არმია ევროთასებზე სეზონში პირველად დამარცხდა. გადამწყვეტი გოლი **ფრედი გუარინმა** 70-ე წუთზე გაიტანა, როცა ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო, ჭკვიანური პაუზა გააკეთა და **აკინფეევს** გაუტანა.


**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ფრედი გუარინი** (პორტუ) - ერთადერთი გოლის ავტორი, რუსული კლუბის საჯარიმოსთან ნამდვილი ფორვარდივით გაისარჯა.

**ფრედი გუარინი** (პორტუ): *„ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება, ჩვენ მივაღწიეთ სასურველ შედეგს, თანაც შემტევი სტილისთვის არ გვიღალატია. ის ხომ ჩვენ გენებში გვაქვს“.*

### ტვენტე–ზენიტი 3:0

ჰოლანდიის ჩემპიონმა რუსეთისა გაანადგურა, ეს კი **ლუუკ დე იონგის** დამსახურებაა. 20 წლის ფორვარდი ტყვიასავით ურტყამს თავით ბურთს, რაშიც „ზენიტის“ გოლკიპერი **მალაფეევი** ორჯერ დარწმუნდა. დე იონგმა 25-ე წუთზე გახსნა ანგარიში, 56-ეზე **დენი ლანდზაატმა** მეორეც გაიტანა რუსთა კარში, ხოლო მატჩის მიწურულს ისევ დე იონგმა შეახსენა ყველას თავი. თითქოს, ამ წყვილში ყველაფერი გადაწყვეტილია, თუმცა მაინც დაველოდოთ საპასუხო მატჩს.


**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ლუუკ დე იონგი** (ტვენტე) - დუბლის ავტორი.

**მიშელ პრუდომი** (ტვენტე): *„ასეთი რამ ყოველ მეორე დღეს არ ხდება. ჩვენ მივაღწიეთ ფანტასტიკურ შედეგს ბრწყინვალე გუნდთან თამაშში“.*

**ლუჩიანო სპალეტი** (ზენიტი): *„0:3-ის მიუხედავად, ჩვენ კიდევ გვაქვს შანსი. მეტსაც ვიტყვი, ჩემი გუნდის შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ“.*

### აიაქსი–სპარტაკი 0:1

ასეც ხდება ფეხბურთში - უტევს ერთი გუნდი, მაგრამ მეტოქის გოლკიპერი გადაულახავ ზღუდედ ექცევა მას. **ანდრეი დიკანმა** მოიგერია ყველაფერი, რაც მისი კარის მიმართულებით წავიდა (სულ 10 ასეთი დარტყმა იყო). სამაგიეროდ, 57-ე წუთზე „სპარტაკის“ ბრაზილიელმა კაპიტანმა **ალექსმა** ბრწყინვალედ დაარტყა და „სახალხო გუნდს“ მინიმალური ანგარიშით მოაგებინა.


**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ანდრეი დიკანი** (სპარტაკი) - მოიგერია **ლორენცო ებესილიოს, დემი დე ზეუვის** და **სიემ დე იონგის** სახიფათო გასროლები და კარი „მშრალად“ შეინახა.

**ფრანკ დე ბური** (აიაქსი): *„დღეს ისეთი დღე იყო, როცა არაფერში არ გიმართლებს, ბურთს უბრალოდ არ სურდა ჩვენი „მოსმენა“. თამაშის დიდი ნაწილი დიდებულად ვითამაშეთ და, დასანანია, რომ წავაგეთ. გოლი კი რუსებმა არაფრისგან შექმეს“.*

**ვალერი კარპინი** (სპარტაკი): *„მინდა მეტოქე შევაქო, რომელმაც ძალიან კარგად ითამაშა“.*

### დინამო კ.–მანჩესტერ სიტი 2:0

ესეც მრავალმილიონიანი და რეკლამირებული „სიტი“, რომელიც კიევში ჩამოწერილმა ვარსკვლავმა **ანდრეი შევჩენკომ** დაამარცხა. ინგლისელთა კარში გოლები შევჩენკომ და **ოლეჰ გუსევმა** გაიტანეს. 25-ე წუთზე შევჩენკომ „ბებერ ევროპას“ აჩვენა, რომ 34 წლის ასაკში ბოლომდე არ დაუკარგავს ახალგაზრდული მოქნილობა, ის ძალიან კარგად გაუმკლავდა **იარმოლენკოს** ჩაწოდებულს და ანგარიში გახსნა.


**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ოლეჰ გუსევი** (დინამო) - ბრწყინვალედ შეასრულა კიეველთა მეორე გოლი, ითამაშა ფანტასტიკურად. ყოველთვის მზად იყო ეპიზოდში ჩასართველად, კარგად იხსნებოდა.

**იური სიომინი** (დინამო): *„ჩვენ შევიმუშავეთ „სიტის“ დამარცხების ტაქტიკური გეგმა, რომელმაც 100%-ით გაამართლა“.*

**რობერტო მანჩინი** (სიტი): *„ვფიქრობ, დაცვას დროულად უნდა მივხედოთ - ორი სულელური გოლი გავუშვით“.*

### ბენფიკა–პსჟ 2:1

მერვედფინალში სამივე პორტუგალიურმა გუნდმა მოიგო. „არწივები“ ამ გამარჯვებას შეცვლაზე შესულ **ფრანკო ხარას** უნდა უმადლოდნენ, რომელმაც გამარჯვების გოლი მატჩის მიწურულს (ისევე როგორც, „შტუტგარტთან“ დაპირისპირებაში) გაიტანა. თავიდან **პეგი ლუინდულა** გაიხსნა საჯარიმოში კარგად, პასმაც არ დააყოვნა და ფრანგები დაწინაურდნენ. პორტუგალიელებმა პირველივე ტაიმში გაათანაბრეს, **მაქსი პერეირამ** ალბათ ამ ეტაპის საუკეთესო გოლი გაიტანა (შესაძლოა, ნილმარის პირველი გოლი სჯობდა).


**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: მაქსი პერეირა** (ბენფიკა): პირველი ტაიმის მიწურულს ერთი შეხებით ძალიან მაგარი გოლი გაიტანა სტუმართა კარში. შეგახსენებთ, რომ პერეირა მცველია.

**ანტუან კამბუარე** (პსჟ): *„რა ახლოს ვიყავით მეორე გოლთან. ისიც რომ გაგვეტანა, შემდეგ სულ სხვანაირად წარიმართებოდა მატჩი. ჩემი აზრით, პსჟ-მ ფიზიკურ კომპონენტში ვერ გაძლო მეორე ტაიმში“.*


როსი
ფალკაო

**ბომბარდირები:** 7 - ფალკაო (პორტუ), როსი (ვილიარეალი); 6 - ნეციდი (ცსკა); 5 - კანუტე (სევილია), რუდნიევსი (ლეხი), ბონი (სპარტა), კავანი (ნაპოლი), მილევსკი (დინამო).

**საგოლე პასები:** 6 - ერიომენკო (დინამო);5 - ბოკა (შტუტგარტი); 4 - შაჰინი (დორტმუნდი), ჟოაო პერეირა (სპორტინგი).

ნიკოლოზ ნეფარიძე

---

რუსეთის ჩემპიონატი


ალექსანდრე ამისულაშვილი

# ანანიძე, რობერტო კარლოსი და სხვა...

« მე-4 გვერდიდან

„სპარტაკის“ განაცხადში ქართული წარმოშობის კიდევ ერთი ჭაბუკია: 16 წლის **თემურ ბუკია**. თუმცა, ასეთი მაგალითები სხვა გუნდებშიც არის: „როსტოვში“ (მთავარი მწვრთნელი — **ოლეგ პროტასოვი**) 19 წლის **დავით ტყებუჩავა** ასპარეზობს. აი, დანარჩენ გუნდებში კი ქართველ ფეხბურთელებზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული: უმაღლესი ლიგის დებიუტანტ ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას“ მთავარი მწვრთნელი **ომარ თეთრაძეა**, ხოლო **ლაშა სალუქვაძე, გოგიტა გოგუა, გოჩა ხოჯავა, ოთარ მარცვალაძე, მათე ვაწაძე** და **გია გრიგალავა** ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებად მოიაზრებიან. როგორც მახაჩყალის „ანჟიში“ **ნუკრი რევიშვილი**, ვისაც ჩინებული შანსი აქვს **გაჯი გაჯიევის** გუნდის ძირითადი მეკარე გახდეს.

შეგახსენებთ, რომ დაღესტნურმა გუნდმა ამ სეზონის დაწყების წინ სახელგანთქმული ბრაზილიელი **რობერტო კარლოსი** და მისი ცნობილი თანამემამულეები, **ჟუსილეი** და **დიეგო ტარდელი** დაიმატა. თუმცა, ჩვენთვის უმთავრესი სიახლე მაინც ის არის, რომ „ანჟიში“ გააგრძელებს კარიერას **ირაკლი კლიმიაშვილი**, დუბლშემადგენლობაში კი 18 წლის პერსპექტიული ფორვარდი **გიორგი ილურიძე** იასპარეზებს. უმაღლესი ლიგის კიდევ ერთ დებიუტანტს, „კრასნოდარს“ გამოცდილი სერბი მწვრთნელი **სლავოლიუბ მუსლინი** უხელმძღვანელებს, თუმცა არანაკლებ კი არა, მართლაც განსაკუთრებული ფაქტია ამ გუნდის ახალწვეულის, **ალექსანდრე ამისულაშვილის**... კაპიტნად არჩევა! ერთი ქართველი იასპარეზებს გროზნოს „ტერეკშიც“ — 30 წლის ნახევარმცველს **ლევან გვაზავას** საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება ამჯერად წარსულში ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელისათვის და შემდგომში დიდი ვერაფერი მწვრთნელისათვის, **რუუდ გულიტისთვის** მოუწევს. აი, **დავით სირაძეს** კი არავისთვის არაფრის დამტკიცება არ სჭირდება — საქართველოს ნაკრების 29 წლის ფორვარდის შედეგიან თამაშზე ხომ დიდად იქნება დამოკიდებული ნალჩიკის „სპარტაკის“ წარმატება-წარუმატებლობა.

...ზემოთ რობერტო კარლოსი, **დანი, კეისუკე ჰონდა, ვაგნერ ლავი** და **დიეგო ტარდელი** ვახსენეთ; არანაკლები დონის მოთამაშეები არიან **კევინ კურანი, ზვეზდან მისიმოვიჩი, ანდრეი ვორონინი** (სამივე მოსკოვის „დინამოში“ ითამაშებს) და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მართლაც მარათონული ჩემპიონატის განმავლობაში სხვა ფეხბურთელებიც ხშირად მოხვდებიან საერთო ყურადღების ცენტრში. რაღა თქმა უნდა, ჩვენს თანამემამულეებს ვგულისხმობთ: ასეთი მაღალი დონის ჩემპიონატში ასპარეზობა თითოეულ მათგანსაც ხომ წაადგება და, საერთოდ, ქართულ ფეხბურთსაც...

გია ტუხაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

## ძიუდო — ამბები

### ხაბარელი ხორვატებმა მიიწვიეს

საქართველოში ასე მივიწყებული **შოთა ხაბარელი** ხორვატებმა გაიხსენეს და მიიწვიეს. ოღონდ ჯერ მხოლოდ საწვრთნელი ვარჯიშების ჩასატარებლად და არა გრძელვადიანი კონტრაქტით, თუმცა მისი იძულებითი უქმობა თუ ასე გაგრძელდა, მომავალში არაფერია გამორიცხული.

21-23 აპრილს სტამბოლში გასამართი ევროპის ჩემპიონატის დამთავრებისთანავე - 24 აპრილიდან ხორვატიაში ერთობლივი ვარჯიშები, ევროპული კემპი იწყება რამდენიმე ნაკრების მონაწილეობით. ხაბარელიც ამ კემპზეა მიწვეული, რისი ინიციატორიც ხორვატული მხარეა.

მას შემდეგ, რაც ორი წლის წინათ ხაბარელი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადააყენეს, დღემდე უმუშევარია. აქამდე იყო მისი დასაქმების რამდენიმე წინადადება, ოღონდ უფრო ადმინისტრაციულ სექტორში და არა სამწვრთნელოში. საამისოდ სპორტულ მედიცინაზე მომუშავე ფედერაციის შექმნასაც კი აპირებდნენ, მაგრამ ყველა ინიციატივა ჩაიშალა (სპორტში მეცნიერული კვლევების ფედერაციის თავკაცობაზე თავად განაცხადა უარი. რედ). სულ ბოლოს მის სახელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტთან აკავშირებდნენ, მაგრამ იქ ისეთი კანდიდატურები გაჩნდნენ, მინისტრმა ეს საკითხიც „გორდიასის კვანძივით" სასწრაფოდ გადაჭრა. სამწუხაროდ, ხაბარელის საკითხი ძალიან ღრმად გადაეჯაჭვა პოლიტიკას და მისი დასაქმების პრობლემაც, ვფიქრობთ, ამითაა გამოწვეული. ძიუდოში მის დაბრუნებას თითქოს სპორტსმენთა მხრიდან პროტესტი აღარ მოჰყვება - მწვრთნელთან დაპირისპირებული ჯგუფი დღეს თავად ჩამოშორდა სპორტს, მაგრამ ხაბარელის საკითხი მაინც გადაუჭრელი რჩება. საუბედუროდ, ქართული ძიუდოს მომავალი კვლავ დაპირისპირებებს ეწირება, ამ ყველაფერს დასასრული კი ჯერაც არ უჩანს. ტრაგიკომიკური ვითარებაა, როცა ჩვენს მწვრთნელს სხვები იწვევენ, ჩვენ კი არ ვაფასებთ.

### ევროპაზე მსაჯიც გვეყოლება

სტამბოლში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე ქართველი მსაჯი **ვლადიმერ ნუცუბიძეც** იმსაჯებს. ევროპის ძიუდოს კავშირმა ის უკვე მიიწვია თურქეთში და ჩვენმა ფედერაციამაც თანხმობა მისცა.

ევროპის ჩემპიონატს 22 არბიტრი ემსახურება. ამ სიაში მოხვედრა ნუცუბიძეს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსსაც აძლევს, თუმცა იქ მხოლოდ 10 მსაჯი იქნება ევროპიდან. თავის მხრივ, ამ 10-დან 8 ოლიმპიადასაც იმსაჯებს. ნუცუბიძე ასე შორს მიმავალ მიზნებთან ყველაზე ახლოს ორი წლის წინათ იყო, როცა რეიტინგში მე-12 ადგილი ეკავა, მაგრამ ქართულ ძიუდოში მაშინ მიმდინარე ავბედითმა ამბებმა მისი სამსაჯო კარიერაც შეაფერხა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თბილისიდან ევროპულ ფედერაციაში ფაქსიც გაიგზავნა, ეგ კაცი აღარ მსაჯობს და ნუღარ იწვევთო!

საბედნიეროდ, ეს ყველაფერი უკან დარჩა, შედეგად კი კონტინენტურ პირველობაზე ისევ გვეყოლება ჩვენი წარმომადგენელი. ეს რაოდენ მნიშვნელოვანია, ვფიქრობ, შეხსენება არავის სჭირდება, როგორც იმისი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯების რაოდენობით სერიოზულად რომ მოვიკოჭლებთ. ყველა ფედერაციის უპირველესი ამოცანა არა მარტო ამ რანგის სპორტსმენთა, არამედ არბიტრთა აღზრდაც უნდა იყოს, რადგან მსაჯი სპორტული შეჯიბრების არანაკლებ მნიშვნელოვანი მონაწილეა და თუ ის არ გყავს, მეტოქეს ძალაუნებურად ფორას აძლევ. ნუცუბიძეს წარმატებული კარიერისთვის ასაკიც ხელს უწყობს - ჯერ ახალგაზრდაა და კიდევ რამდენიმე ოლიმპიურ ციკლში მოასწრებს მსაჯობას.

### ავტობუსით ანთალიაში

საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრების თავკაცმა **გიორგი ვაზაგაშვილმა** გადაწყვიტა, 19-20 მარტს სტამბოლში გასამართ ევროპის ჭაბუკთა თასზე გაფართოებული შემადგენლობით წავიდეს - იქ საქართველოს ჩემპიონატის უკლებლივ ყველა მედალოსანი გამოვა. ამ 32 კაცის სიას ქვემოთ ტექნიკურ შედეგებში შემოგთავაზებთ, აქ კი გეტყვით, რომ მათ 6 ძიუდოისტი საკუთარი ხარჯით დაემატება – **ივანე გაჩეჩილაძე, აკაკი შენგელია** (ორივე—50), **ილამაზ გაზდელიანი, ანზორ კევლიშვილი, გოდერძი ფეტვიაშვილი** (სამივე-55) და **გიორგი გუგულაშვილი** (60).

მთლიანობაში, ჩვენი ბიჭების ნაკრები ანთალიაში 38 სპორტსმენით იასპარეზებს. მათ ამავე ასაკის გოგოებიც დაემატებიან - **სალომე აბაშიძე, ქეთევან სამხარაძე** (ორივე - 48), **გურანდა შოთაძე, მარი მახარაშვილი** (52), **მარი ციხელაშვილი, მარი ჯანაშვილი** (57), **ანი მინდიაშვილი** (63). დელეგაცია თურქეთში ავტობუსით გაემგზავრება, იმ სიშორეზე ასე გადაადგილება კი ამ ასაკის სპორტმენებისთვის დამატებითი პრობლემაა. ვაზაგაშვილი სწორედ ანთალიის ტურნირის შედეგებით შეარჩევს იმ შეგირდებს, რომლებიც 2-3 აპრილს კიევში გასამართ ანალოგიურ შეჯიბრებაზე იასპარეზებენ. ამას საშინაო ტურნირები მოჰყვება და სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა 24-26 ივნისს მალტის ქალაქ კოტონერაში გასამართ ევროპის პირველობაზე წასაყვანი ნაკრების შემადგენლობა.

დასასრულს, საქართველოს ჩემპიონატის მედალოსნებს შეგახსენებთ: **მიხეილ კირკიტაძე, ბაჩო ჭიკაიძე, ბექა ნათათრალაშვილი, თორნიკე ჭოველიძე** (50); **ვანო მამისაშვილი, გივი აფაქიძე, დიმიტრი ცაბაძე, ბაჩანა ბოლქვაძე** (55); **თამაზ კირაკოზაშვილი, ჯუმბერ ჩიხიაშვილი, იაკობ მაისურაძე, ბექა შერმადინი** (60); **გიორგი მუზაშვილი, აპოლონ ზურაბიანი, გიორგი ტიტვინიძე, დავით ჭიკაიძე** (66); **ბექა დონღვანი, ვანო ჩურჩხელაშვილი, ლევან გუგავა, ლერი დადვანი** (73); **ბექა ლვინიაშვილი, ჯაბა მუმლაძე, დავით ოზბეთელაშვილი, ადამ ვარაზიშვილი** (81); **შალვა ჩოჩელი, გურამ თუშიშვილი, ჯაბა კაპანაძე, ბაქარ მაზიაშვილი** (90); **გიორგი ლაზუაშვილი, ზაზა ხუბულური, გიორგი გელაშვილი, ირაკლი კახნიაშვილი** (+90).

### ქართველები მიწისძვრას გადაურჩნენ

იაპონიაში გუშინ დილით მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შესახებ უკვე ყველას მოგეხსენებათ. საბედნიეროდ, სტიქიის მძვინვარებას მშვიდობიანად გადაურჩნენ კუნძულებზე მყოფი საქართველოს მოქალაქეები. მათ შორის – ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრებიც, რომელიც იქ ერთობლივ ვარჯიშებზე იმყოფებოდა და ამ დილით უნდა გამოფრენილიყო სამშობლოში. ჩვენები ტოკიოში, მიწისძვრის ეპიცენტრიდან მოშორებით იყვნენ, მაგრამ ბიძგები იქაც ძალუმად იგრძნეს. საბედნიეროდ, სტიქიას ყველა უვნებლად გადაურჩა, თუმცა ჯერაც უცნობია, როდის მოახერხებენ უბედურების ზონად ქცეული იაპონიიდან გამოფრენას. ეს მაშინვე მოხდება, როგორც კი აეროპორტები მუშაობას განაახლებენ, მანამდე კი ჩვენმა ფედერაციამ გუნდს სასწრაფოდ მიაშველა დამატებითი თანხები.

### მსოფლიომ ეგვიპტე ჩამოწერა

არაბულ სამყაროში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისი ძიუდოსაც შეეხო - 6-8 მაისს გასამართ ტუნისის „დიდ პრიზს" ადგილი შეუცვალა და ჩრდილო აფრიკიდან ბაქოში გადმოიტანა, 14-15 მაისს ჩასატარებელი ეგვიპტის მსოფლიოს თასი კი საერთოდ ამოიღო კალენდარიდან. ვერ გეტყვით, რატომ არ შესთავაზა საერთაშორისო ფედერაციამ მისი მასპინძლობა რომელიმე მშვიდ ქვეყანას. შესაძლოა, იმიტომაც არ გამოიჩინეს დიდი ინტერესი, რომ ეს მსოფლიოს თასია, ანუ რანგით ყველაზე დაბალი სალიცენზიო შეჯიბრება და იქ ბევრი ქულები არ გაიცემა. ყოველ შემთხვევაში, ის მნიშვნელოვნად ჩამორჩება „დიდ პრიზსა" და „დიდ მუზარადს".

**ირაკლი თავაძე**

**FM 107,9**

**ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.**

**გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".**

## ქართული ჭიდაობა

# დაიწყო ზონალური შეჯიბრებები

**ყვარლელ მოჭიდავეებს საგარეჯომდე მგზავრობის ფული არ გადაუხადეს, არადა, შინ შეჯიბრებიდან ორი ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა...**

საგარეჯოში, არსენ მეკოკიშვილის სახელობის საჭიდაო სპორტდარბაზში კახეთისა და ქვემო ქართლის რაიონებისა და ქალაქების ზონალური პირველობა გაიმართა 1992-1994 წლებში დაბადებულ ახალგაზრდებს შორის ქართულ ჭიდაობაში.

ამ პირველობის ფინალისტები აპრილის შუა რიცხვებში თბილისში, საქართველოს ფინალურ პირად პირველობაზე შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

საგარეჯოელ ქომაგებს ქართული ჭიდაობით ძნელად თუ გააკვირვებს ვინმე. აქ მრავალი ძალგულოვანი და სახელოვანი ოსტატის თვალსასეირო და სხარტი პაექრობები უხილავთ...

ახალგაზრდულის ზონალურმა ასპარეზობამ სხვაგვარად გამოაცოცხლა დარბაზი. საქმე ისაა, რომ 2 წლის შესვენების შემდეგ ოფიციალურ ტურნირებს აქ პირველად დაუბრუნდა ისევ ის ნაცადი, მოკლემკლავიანი ჩოხა. სპეციალისტების თქმით, ამით გაცილებით მეტი და ეფექტური ფანდები შესრულდა. მაყურებელსაც მეტი რა უნდოდა...

კვლავ პრობლემად რჩება ზოგიერთი რაიონიდან ქართულის მოჭიდავეების შეჯიბრების ადგილამდე გადაადგილება. მგზავრობის ფული არა აქვთ და იმიტომ. ყვარლის გუნდის მოჭიდავეები, მაგალითად, რის ვაი-ვაგლახით ჩამოვიდნენ საგარეჯოში. არადა, 2 პირველი ადგილი ღირსეულად მოიპოვეს...

ზონალური პირველობის გამარჯვებულები არიან **ამირან გიგაური** (55 კგ), **ზაზა როსტომაშვილი** (60, ორივე-საგარეჯო), **კახა ცაგარელი** (65), **ალიკ ნანიევი** (70, ორივე-ყვარელი), **ჯაბა ბიწაძე** (75, ლაგოდეხი), **ვანო როსტიაშვილი** (80, საგარეჯო).

**გაბრიელ ბარჯაძე**

## პროფესიული კრივი




# ხურციძე თბილისში უნდა გაჩემპიონდეს!

13 მარტს კრივის ქართველ მოყვარულებს ძალიან საინტერესო საღამო ელით – 20 საათიდან თბილისის სპორტის სასახლეში სარეიტინგო ბრძოლები გაჩაღდება, 22 საათზე კი დღის უმთავრესი სანახაობა დაიწყება – **ავთანდილ ხურციძე** IBO-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ქამრისთვის პოლონელ **მარიუშ სენდროვსკის** დაუპირისპირდება. ამ მოვლენასთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც მასმედიის წინაშე თავად ხურციძე, მინისტრის მოადგილეები **დავით ნამგალაური** და **გია გალდავა** და უკრაინული საპრომოუტერო კომპანია Elite Boxing Promotion-ის ხელმძღვანელები წარსდგნენ.

**ავთანდილ ხურციძე:**

- ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ ტიტულისთვის საქართველოში, ქართველი გულშემატკივრების წინაშე ვიბრძოლებ. შეხვედრისთვის სერიოზულად მოვემზადე, მყავდა ძლიერი სპარინგ-პარტნიორები და ოპტიმალურ ფორმაში შევედი. სენდროვსკი საკმაოდ გამოცდილი და კვალიფიციური სპორტსმენია, ჩემზე გაცილებით მაღალია, მაგრამ გამარჯვების დიდი იმედი მაქვს. შევეცდები, მაყურებელი ლამაზი კრივით ვასიამოვნო.

თავიდან მოლაპარაკება სხვა პოტენციურ მეტოქეებთან მიმდინარეობდა, მაგრამ სამმა მოკრივემ თბილისში ჩამოსვლაზე უარი განაცხადა და ათი დღის წინ კონტრაქტი სენდროვსკის წარმომადგენლებთან გავაფორმეთ.

**დავით ნამგალაური:**

- ძალიან დიდი ინტერვალის შემდეგ თბილისში გრანდიოზული საკრივო საღამო გაიმართება. კომპანია Elite Boxing Promotion-თან ერთად ამ ღონისძიების მოსაწყობად ორი თვე აქტიურად ვიმუშავეთ და ვფიქრობ, ყველაფერი უმაღლეს დონეზე ჩაივლის. საღამო კი ავთანდილ ხურციძის გამარჯვებით უნდა დაგვირგვინდეს. მის გარდა, გამარჯვებას ვუსურვებ სხვა ქართველ მოკრივეებსაც. ერთი სიტყვით, 13 მაისს თბილისში დიდი საკრივო ზეიმი გაიმართება.

თავის მხრივ, უკრაინელებმა ქართულ მხარეს თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადეს და ავთანდილს გამარჯვება უსურვეს. შეგახსენებთ, ხურციძე სწორედ Elite Boxing Promotion-თან თანამშრომლობს. მისმა უკრაინელმა მწვრთნელმა აღნიშნა, რომ ხურციძე მაღალ დონეზეა მომზადებული და საჩემპიონო ქამრის მოპოვების დიდი შანსი აქვს.

რაც შეეხება ხურციძის მეტოქეს, მარიუშ სენდროვსკის თბილისში დღეისთვის ელოდებიან. დღის მთავარი ბრძოლის პირდაპირი ტელერეპორტაჟის ნახვა მაყურებელს პირველი არხის საშუალებით შეეძლება.

უყურადღებოდ არც სხვა ბრძოლები უნდა დავტოვოთ. პროფესიულ კრივში ხურციძესავით გაბრწყინების შანსი ხომ არაერთ ქართველ ახალგაზრდას აქვს.

პირველი ბრძოლა 69,8 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართველებს შორის გაიმართება. ერთმანეთს **რობინზონ ომსარაშვილი** (4 გამარჯვება, 1 ფრე) და **ამბროსი სუთიძე** (1 მარცხი) დაუპირისპირდებიან.

მეორე შეხვედრაც საქართველოს წარმომადგენლებს შორის შედგება. 62,1 კილოგრამში **ბექა საჯაია** (22 გამარჯვება, 12 ფრე, 1 მარცხი) **რუბენ მოვსესიანს** (2 გამარჯვება, 2 ფრე, 1 მარცხი) შეებრძოლება.

ამის შემდეგ რინგზე **ბორის მდინარაძე** (12 გამარჯვება, 1 ფრე) და უკრაინელი **ვალენტინ ვოლოხა** (1 ფრე) ავლენ. ეს ბრძოლა 72,6 კილოგრამში გაიმართება.

მომდევნო ორი შერკინება კი ქართველების გარეშე ჩაივლის. 72,6 კილოგრამ წონით კატეგორიაში რუსი **მარატ კულუმბეკოვი** პროფესიულ რინგზე სადებიუტო ორთაბრძოლას უკრაინელ **ანდრეი დენიჩკინთან** (4 ფრე) გამართავს, რის შემდეგაც 63,5 კილოგრამში უკრაინელი **ვიქტორ პოსტოლი** (12 გამარჯვება 12 შეხვედრაში) შევედ **სამ რუკუნდოს** (15 გამარჯვება, 3 ფრე, 1 მარცხი) შეხვდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ექსტრემალური სპორტის კვირეული



# ორი მედალი პირველარხელებს

მესტიის ახალაშენებულმა სათხილამურო კურორტმა ამ დღეებში ექსტრემალური სპორტის კვირეულს უმასპინძლა. საქართველოს ამ მაღალმთიანი კუთხის განუმეორებელ ეგზოტიკურ გარემოში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პროფესიონალი ექსტრემალები. ასპარეზობა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ეგიდით ჩატარდა და შესანიშნავად იყო ორგანიზებული. ქართველმა სპორტსმენებმა ლამაზი სანახაობა აჩვენეს მესტიაში, ჰაწვალის სათხილამურო ტრასაზე შეკრებილ ტურისტებს. გამარჯვება თბილისელ **ლადო კობახიძეს** ხვდა, რომელმაც „სუპერმენად“ წოდებული ილეთი შეასრულა და დიდი უპირატესობით გაუსწრო კონკურენტებს. პარალელურად თხილამურებით სწრაფდაშვებაში მოეწყო შეჯიბრება მედიის წარმომადგენლებს შორის, სადაც ყველას პირველარხელმა **ნიკა ბერაძემ** აჯობა, მეორე იყო „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი **ნუცა ქავთარაძე,** მესამე — პირველი არხის ოპერატორი **გიორგი ქასრაშვილი.** ბეჭდვითი პრესიდან მხოლოდ ამ სტრიქონების ავტორმა („ლელო“) იასპარეზა და მეოთხე შედეგით დაასრულა შეჯიბრება.

- წლეულს სეზონის დახურვამდე კიდევ რამდენიმე საინტერესო ღონისძიება იგეგმება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში როგორც სპორტის ზამთრის სახეობების პოპულარიზაციას და პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას, ისე სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარებას – გვითხრა კვირეულის საზეიმო დახურვის შემდეგ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა.**

**თორნიკე გაჩეჩილაძე**
მესტია - თბილისი

წყალხტომა

# ქართველთა დუეტი ევროპულ ოქტეტში

ტურინში (იტალია) გრძელდება წყალმხტომელთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოდან **ჭოლა ჭანტურია, შოთა კორახაშვილი** და **სალომე ჯუღელი** მონაწილეობენ.

საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივნის, წყალმხტომელთა ნაკრების მწვრთნელ **ირაკლი ბართაიას** ხელმძღვანელობით ქართველი სპორტსმენები ამ შეჯიბრებისთვის 21 თებერვლიდან მინსკში ემზადებოდნენ ბელარუსის ნაკრების წევრებთან და შეჯიბრებაზეც ერთად გაემგზავრნენ.

სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში ჭოლა ჭანტურიამ და შოთა კორახაშვილმა საკვალიფიკაციო ეტაპზე 363 და 311,05 ქულა მოაგროვეს და 29 მონაწილეს შორის, შესაბამისად, მე-15 და 23-ე ადგილებზე გავიდნენ, რითაც, ცხადია, ფინალში ასპარეზობის უფლება ვერ მოიპოვეს. ამ დისციპლინაში კონტინენტის ჩემპიონობა გერმანელმა **პატრიკ ჰაუზდინგმა** დაიმსახურა (499, 40 ქულა), ხოლო მეორე-მესამე ადგილები რუსებმა — **ილია ზახაროვმა** (493,85) და **ევგენი კუზნეცოვმა** (482,35) დაიკავეს.

გუშინ ჩვენმა სპორტსმენებმა სინქრონულ ხტომებში მოსინჯეს ძალები 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში და წარმატებითაც: უძლიერეს წყვილებთან პაექრობისას ჭანტურია და კორახაშვილი 363,06 ქულით საკვალიფიკაციოდან ფინალში გავიდნენ, რითაც შარშანდელი შედეგი (მე-9 ადგილი) გააუმჯობესეს. გადამწყვეტ ეტაპზე მათ 376,62 ქულა მოაგროვეს და საბოლოოდ მე-8 ადგილზე გავიდნენ. თუნდაც ეს მცირედი წინსვლა ჩვენს ბიჭებს ძალების რწმენას შემატებს, რაც მათთვის აუცილებელია, რადგან, სპეციალისტთა აზრით, ჭანტურიას და კორახაშვილს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრის რეალური შანსი აქვთ როგორც ინდივიდუალურ, ისე სინქრონულ ხტომებში. ამ ბოლო დისციპლინაში ოლიმპიადის საგზური ტურინშივე გაიფორმეს ევგენი კუზნეცოვმა და ილია ზახაროვმა (რუსეთი), რომლებმაც 454,68 ქულით ყველას აჯობეს (კონტინენტის 2011 წლის პირველობაზე ლიცენზიები მხოლოდ ჩემპიონებზე გაიცემა). გამარჯვებულებს 13,23 ქულით ჩამორჩნენ გერმანელები — პატრიკ ჰაუზდინგი და **შტეფან ფეკი,** რომლებიც ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. 425,37 ქულით მესამე ადგილი ფრანგებს — **მატიუ როსესა** და **დამიენ გელის** ხვდათ.

ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში გამოდიოდა სალომე ჯუღელი, რომელსაც სხვადასხვა ობიექტური მიზეზით დიდი ხანი გაუცდა და შარშან შემოდგომიდან განაახლა ვარჯიში. ეტყობა, ოპტიმალური ფორმის აღდგენა ჯერ ვერ მოახერხა, რადგან ტურინში 27 მონაწილეს შორის 179,5 ქულით მხოლოდ 26-ე იყო. საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. **ტანია კაგნოტო** (იტალია, 312,05), 2. **ნადეჟდა ბაჟინა** (რუსეთი, 288,75), 3. **ანა ლინდბერგი** (შვედეთი, 287,80).

ევროპის პირველობის შემდეგ ჩვენი წყალმხტომელები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოემზადებიან, რომელიც 16-24 ივლისს შანხაიში გაიმართება. იქ ინდივიდუალურ ხტომებში 12 საგზური გათამაშდება, სინქრონულში კი 3 საუკეთესო წყვილი მიიღებს ბრიტანეთის დედაქალაქში გამგზავრების უფლებას. დანარჩენი ლიცენზიები 2012 წლის მსოფლიოს თასზე გაიცემა.

**ვაჟა დანელია**



შოთა კორახაშვილი (მარცხნივ) და ჭოლა ჭანტურია

ჩოგბურთი

# ზედიზედ მეორე ტიტულისთვის



თუკი დღეს **სოფიო ქვაცაბაია** (415) დიჟონის საერთაშორისო ტურნირის (საფრანგეთი, 10 ათასი დოლარი) წყვილთა ფინალში გაიმარჯვებს, ის ზედიზედ მეორე ტიტულის მფლობელი გახდება. 22 წლის ქართველი ჩოგბურთელი წყვილთა თანრიგში კარგი თამაშით გამოირჩევა - ამის დასტურად მისი რეიტინგი (264-ე წყვილებში) და ხუთი ტიტული გამოდგება (სოფიოს ჯერ ერთეულებში არ მოუგია პროფესიული ტურნირი). როგორც წინა კვირას, ახლაც ქვაცაბაიას მეწყვილე ხორვატი **მარია აბრამოვიჩია** (628). ნახევარფინალში ჩვენებურს თანამემამულეებთან მოუწია გამკლავებამ - **თათია მიქაძესთან** (285) და **ანა ჯიქიასთან** (1155) - 7:5, 6:0. ასე რომ, პირველ ნომრად განთესილი დუეტი უკვე ფინალშია, სადაც ჩეხებს, **მარტინა ბორეჩკას** (745) და **პეტრა კრეიშოვას** (786) ეთამაშება. სხვათა შორის, ერთი კვირის წინ ლიონის საერთაშორისო ტურნირის ფინალში (10 ათასი დოლარი) ქვაცაბაიამ და აბრამოვიჩმა სწორედ ბორეჩკასა და კრეიშოვას მოუგეს - 6:4, 3:6, 10:5.

ამერიკის ქალაქ მაკალენის საერთაშორისო ტურნირში (15 ათასი დოლარი) **ნიკოლოზ ბასილაშვილისა** (690) და ბულგარელი **ბორის ბაკალოვის** (810) მე-4 ნომრად განთესილი წყვილი მეოთხედფინალში რუმინელებთან (**გარდი, დაესკუ**) დამარცხდა - 2:6, 4:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი. ერთა თასი. საქართველო-რუმინეთის წინ

# მოგებით ვართმევთ თასს, ბონუსით ჩემპიონობას


ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

დღეს ვაკეში, 15 საათზე საქართველოს ეროვნული ნაკრები ერთა თასის მატჩში რუმინეთის ნაკრებს უმასპინძლებს. ჩვენი მეტოქე ერთადერთი გუნდია ერთა თასზე, ვისთანაც უარყოფითი ბალანსი გვაქვს - 13 ურთიერთშეხვედრიდან რუმინელება 8-ში იმარჯვეს, ჩვენებმა კი 5-ში. შეგახსენებთ, რომ რუმინეთის ნაკრები მოქმედი ჩემპიონია, ჩვენი გუნდი კი ახლანდელი გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია. თუკი **რიჩი დიქსონის** ბიჭები დღეს ბონუს ქულით მოიგებენ, ერთა თასის გათამაშების დასრულებამდე ტურით ადრე გახდებიან ჩემპიონები. ეს თამაში ანთიმოზ ივერიელის ტრადიციული თასისთვის რკენაცაა, რომელიც ამჟამად რუმინელების საკუთრებაა.

შეხვედრას ირლანდიელი რეფერი **დევიდ ვილკინსონი** განსჯის. გთავაზობთ ორივე ნაკრების შემადგენლობას. აღვნიშნავთ, რომ დიდი ხნის შესვენების შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა გორგოძე,** რომელიც ჯერ დისკვალიფიკაციის, შემდეგ კი ტრავმების გამო აკლდებოდა „ბორჯღალოსნებს“.

**საქართველო:** 15. ბესიკ ხამაშურიძე, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ლექსო გუგავა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე (კაპ.), 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. გია ლაბაძე, 8. მამუკა გორგოძე.

**სათადარიგოები:** 22. ლაშა მალაღურაძე, 21. ირაკლი ჩხიკვაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. გიორგი ჟღენტი, 18. გიორგი ნემსაძე, 19. გიორგი ჩხაიძე.

**მწვრთნელი:** რიჩი დიქსონი (შოტლანდია)

**რუმინეთი:** 15. იულიან დუმიტრაში, 14. მედელინ ლემნარუ, 13. იონელ კაზანი, 12. რობერტ დესკალუ, 11. კეტელინ ფერკუ, 10. ფლორინ ვლაიკუ, 9. ფლორინ სურუჯუ, 1. ნიკოლაე ნერე, 2. ბოგდან ზებეგა, 3. დრაგოშ დიმა, 4. ვალენტინ ურსაკე, 5. კრისტიან პეტრე (კაპ.), 6. მიხაი მაკოვეი, 7. დანიელ იანუსი, 8. დანიელ კაპრო.

**სათადარიგოები:** 22. დენუც დუმბრავა, 21. ჩაბა გალი, 20. ვალი კალაფეტეანუ, 16. ანდრეი რადოი, 17. ვასილე მარიშკარიუ, 18. სორინ სოკოლი, 19. ვალენტინ პოპილრანი.

**მწვრთნელი:** რომეო გონტინეაკი

უკრაინა-რუსეთი
ესპანეთი-პორტუგალია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ბონ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | +120 | 2 | 14 |
| 2. პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | +8 | 1 | 9 |
| 3. ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -42 | 2 | 6 |
| 4. რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | +23 | 1 | 5 |
| 5. რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | -28 | 1 | 5 |
| 6. უკრაინა | 2 | 0 | 0 | 2 | -81 | 0 | 0 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

msy.gov.ge

# კალათბურთი

## სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ქ. | ქ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 15 | 324 | 21.6 |
| 2. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 12 | 252 | 21 |
| 3. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 13 | 254 | 19.54 |
| 4. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 212 | 17.67 |
| 5. ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 13 | 225 | 17.31 |
| 6. დუდა სანაძე | ბათუმი | 8 | 137 | 17.13 |
| 7. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 14 | 234 | 16.71 |
| 8. კოტე ტულუში | არმია | 14 | 227 | 16.21 |
| 9. ზვიად ბაბიაშვილი | არმია | 14 | 226 | 16.14 |
| 10. რევაზ ჩაჩანიძე | აგრარული | 15 | 240 | 16 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | მეტ. | საკ. | ჯამი | მ.საშ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 15 | 66 | 107 | 173 | 11.53 |
| 2. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 14 | 38 | 110 | 148 | 10.57 |
| 3. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 51 | 74 | 125 | 10.42 |
| 4. დავით იმნაძე | შსს | 10 | 36 | 60 | 96 | 9.6 |
| 5. ილია ლონდარიძე | თსუ | 15 | 62 | 78 | 140 | 9.33 |
| 6. კარლ დამუსი | სოხუმი | 15 | 56 | 80 | 136 | 9.07 |
| 7. კოტე ტულუში | არმია | 14 | 26 | 98 | 124 | 8.86 |
| 8. დავით უგრეხელიძე | არმია | 9 | 37 | 41 | 78 | 8.67 |
| 9. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 15 | 48 | 81 | 129 | 8.6 |
| 10. ჟულივეტ ტუჯანი | შსს | 14 | 34 | 79 | 113 | 8.07 |

**პასი**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | პ. | პ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 15 | 98 | 6.53 |
| 2. კოტე ტულუში | არმია | 14 | 85 | 6.07 |
| 3. ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 13 | 67 | 5.15 |
| 4. ბექა წივწივაძე | შსს | 14 | 69 | 4.93 |
| 5. დავით არწივიძე | აგრარული | 9 | 40 | 4.44 |
| 6. ირაკლი მიძელაძე | ბათუმი | 12 | 53 | 4.42 |
| 7. ტატო თავართქილაძე | სამედიცინო | 13 | 57 | 4.38 |
| 8. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 12 | 52 | 4.33 |
| 9. რევაზ დიდია | ქუთაისი | 12 | 50 | 4.17 |
| 10. გიორგი ტეტელაშვილი | აგრარული | 14 | 57 | 4.07 |

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ჩ. | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 15 | 46 | 3.07 |
| 2. ირაკლი გულისაშვილი | სამედიცინო | 14 | 40 | 2.86 |
| 3. ბუბა ბერიშვილი | ქუთაისი | 14 | 37 | 2.64 |
| 4. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 13 | 34 | 2.62 |
| 5. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 12 | 31 | 2.58 |
| 6. დუდა სანაძე | ბათუმი | 8 | 20 | 2.5 |
| 7. ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 14 | 34 | 2.43 |
| 8. შალვა კოხრეიძე | თსუ | 8 | 19 | 2.38 |
| 9. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 15 | 32 | 2.13 |
| 10. გიორგი მარხვაშვილი | თსუ | 9 | 19 | 2.11 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | დ. | დ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. სამუელ ლამუ | ენერჯი | 15 | 30 | 2 |
| 2. ბექა ბექაური | სამედიცინო | 14 | 21 | 1.5 |
| 3. დავით იმნაძე | შსს | 10 | 14 | 1.4 |
| 4. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 15 | 20 | 1.33 |
| 5. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 15 | 1.25 |
| 6. ჟულივეტ ტუჯანი | შსს | 14 | 17 | 1.21 |
| 7. კარლ დამუსი | სოხუმი | 15 | 18 | 1.2 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | შ. | შ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 12 | 62 | 5.17 |
| 2. ლაშა ეძგვერაძე | დინამო | 11 | 47 | 4.27 |
| 3. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 15 | 55 | 3.67 |
| 4. გუგა პატარაია | დინამო | 14 | 50 | 3.57 |
| 5. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 15 | 51 | 3.4 |
| 6. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 40 | 3.33 |
| 7. ირაკლი მიძელაძე | ბათუმი | 12 | 40 | 3.33 |
| 8. მაიკ მაძძერი | სოხუმი | 8 | 25 | 3.13 |
| 9. გიორგი ტეტელაშვილი | აგრარული | 14 | 43 | 3.07 |
| 10. ირაკლი სორდია | სოხუმი | 15 | 46 | 3.07 |

## რეკორდები

**ქულა**

40 - ილია ლონდარიძე (თსუ)
2-ქულა: 13/23. საჯარიმო: 14/22.
04.03.11 სამედიცინო-სტუ

**პასი**

16 - იუჯინ ჰარისი (სოხუმი)
05.031.10 სოხუმი-დინამო

**დაფარება**

5 - ანატოლი ბოისა (არმია)
13.11.10 სტუ-არმია

5 - ვასილ ბერუაშვილი (სტუ)
26.11.10 ბათუმი-სტუ

**ჩაჭრა**

9 - ვასილ ბერუაშვილი (სტუ)
05.02.11 თსუ-სტუ

**მოხსნა**

20 - ილია ლონდარიძე (თსუ)
მეტოქის ფარზე: 10. საკუთარზე: 10.
26.02.11 თსუ-სამედიცინო




MVP

სუპერლიგა. XVI ტურის MVP: ბუბა კვიმსაძე

# მოედანზე ქუთაისმა დამაბრუნა



ბუბა კვიმსაძე მეხუთე სამმაგი დუბლის ავტორია

მას მერე, რაც ქართული კალათბურთი ცივილიზაციაში გაერია და კომპიუტერი შემოვიდა, ხუთი სამმაგი დუბლი დაფიქსირდა. ოთხჯერ ეს კოტე ტულუშმა მოახერხა, ერთხელ - ბუბა კვიმსაძემ. ბუბამ 10-იანი ზღვარი სამ კომპონენტში ბოლო ტურში „ქუთაისი"-შსს-ს მატჩში გადალახა - 16 ქულა, 15 მოხსნა და 10 პასი მიითვალა.

მიუხედავად იმისა, რომ მე-16 ტურში კიდევ რამდენიმე კალათბურთელმა უჩვენა ეფექტური თამაში, ტურის საუკეთესო კალათბურთელად კვიმსაძე დავასახელეთ, რომლის კარგი გარჯა ქუთათურებს შსს-ს ძლევაში დაეხმარათ.

ბუბასთან ინტერვიუ სამმაგი დუბლით დავიწყეთ.

- პირად სტატისტიკიაზე, მითუმეტეს სამმაგ დუბლზე მატჩის მსვლელობისას ნამდვილად არ მიფიქრია, ისეთი დაძაბული თამაში იყო, მხოლოდ ერთზე ვფიქრობდი - მოგებაზე. შემდეგ შევიტყე, რომ სამმაგი დუბლი შემისრულებია. ეს სასიამოვნოა, მაგრამ მთავარი მაინც ქუთაისში მოგება იყო.

**- რის ხარჯზე დაამარცხეთ შსს?**

- შეხვედრისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდით. ძალიან მონდომებულები ვიყავით, თამაშში გული ჩავდეთ და დაგვიფასდა კიდეც.

**- შსს-სთან გამარჯვება თავდაჯერებას შეგმატებდათ. დასახულ მიზნებზეც ხომ არ იმოქმედებს?**

- „ქუთაისის" უფროსობამ მიზნად ოთხეულში მოხვედრა დაგვისახა. სწორედ ამისთვის ვიბრძვით. თუმცა, ისე არ გაიგოთ, თითქოს, ნახევარფინალში მოხვედრის შემდეგ აღარ ვიბრძოლებთ, მაქსიმალურად ვეცდებით, რაც შეიძლება, მაღალი ადგილი დავიკავოთ.

**- პირველი წრის შემდეგ ბუბა ბერიშვილის წასვლა გუნდზე როგორ აისახა?**

- ყველაზე მეტად მე დამწყდა გული. ბუბას შესანიშნავად ვუგებდი. იგი ნამდვილად დაგვაკლდა, მაგრამ კალათბურთი სპორტის ის სახეობაა, რომელიც ერთ კაცზე არაა დამოკიდებული. „ქუთაისი" შეკრული გუნდია და წარმატებებს მეორე წრეშიც ვაღწევთ. ამასთან, დაგვემატა გოგა ცეკვავა, რომელიც გუნდს კარგად მოერგო. ბუბა ბერიშვილის წასვლის შემდეგ თამაშის სტილი ცოტა შეიცვალა. მანამდე გამოკვეთილი პლეიმეიქერი არ გვყავდა, ხან მე ვათამაშებდი ბურთს, ხან ბერიშვილი. ახლა ამ ფუნქციას მე ვასრულებ, მეორე ნომრის პოზიციაზე თამაში თითქმის აღარ მიწევს.

**- ჟურნალისტები ერთმანეთში მსჯელობისას სანაკრებო კანდიდატების განხილვისას შენს ვარიანტსაც განვიხილავთ...**

- ნაკრებში გამოძახება გამიკვირდება. თუმცა, ეროვნულში თამაში ყველა კალათბურთელის ოცნებაა. როცა დრო იყო, მაშინ ვერ მოვახერხე ნაკრების მწვრთნელთა ყურადღების მიქცევა.

**- ჩემი აზრით, საუკეთესო სეზონს 28 წლის ასაკში სწორედ ახლა ატარებ...**

- ამდენი სათამაშო დრო აქამდე არ მქონია. სხვათა შორის, კალათბურთისთვის თავი დანებებული მქონდა, მაგრამ მშობლიურ ქალაქში გუნდი რომ შეიქმნა, ახალგაზრდების დახმარება გადავწყვიტე. ქუთაისში არაერთი ვარსკვლავი გაიზარდა და იმედი მაქვს, მომავალშიც ასე იქნება. ჩვენს გუნდშიც არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა თამაშობს.

# ადრეული გამარჯვება ენძელსისაა

„ტარტუ როკმა" ბალტიის ლიგის მეოთხედფინალური სერიის პირველი მატჩი ლატვიაში „ვენტსპილსთან" ჩააგარა. შეხვედრის პირველი პერიოდი „როკერებმა" მოიგეს (20:17). სტუმრები დიდ შესვენებაზეც მცირე უპირატესობით გავიდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში „ვენტსპილსმა" თამაში გამოასწორა და სირენამდე 2 წუთით ადრე 6 ქულიანი უპირატესობა მოიპოვა, რომლის გაბათილება ესტონელებმა ველარ შეძლეს. სერიის პირველი მატჩი მწვრთნელის, **გუნტას ენძელსის** გუნდმა 84:77 მოიგო.

„როკის" ქართველი გამთამაშებელი, **გიორგი ცინცაძე** სათადარიგო იყო. მან 19 წუთში 4 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა.

„როკი"-"ვენტსპილსის" მეორე მატჩი ტარტუში 17 მარტს გაიმართება. სერია ორ მოგებამდეა.

# რეალი ოვერტაიმში

**ნიკა ცქიტიშვილის** „ლაგუნ არომ" მადრიდის „რეალს" უმასპინძლა. მატჩი თავიდან ბოლომდე თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ძირითადი დრო ასევე დასრულდა - 76:76.

ოვერტაიმში ბასკებმა მადრიდელებს ღირებული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და საბოლოოდ 78:88 დამარცხდნენ.

მწვრთნელმა, **პაბლო ლასომ** ცქიტიშვილი 3 წუთი ათამაშა. ცხადია, ამ დროში ნიკამ სტატისტიკის შევსება ვერ მოახერხა.

მატჩის ბომბარდირი „ლაგუნ აროს" ფორვარდი **ენდი პანკო** გახდა - 31 ქულა.




## სუპერლიგა. XVII ტური

11 მარტი, ბათუმი

| | |
|---|---|
| ბათუმი | 71 |
| სოხუმი | 82 |

14:18, 17:21, 21:19, 19:24

**ბათუმი:** რამიშვილი (2ქ, 3პ), მაისურაძე (5ქ), ნინუა (5ქ), ა. ჩხატარაშვილი, კეშელავა (21ქ, 6მ), ელიაშვილი (6ქ, 7მ, 2დ), ელიაძე, ყველაშვილი (7ქ), ნ. ჩხატარაშვილი (5ქ), სანაძე (20ქ, 7მ).

**სოხუმი:** ფარღალავა (22ქ, 6პ, 5მ), ჰარისი (28ქ, 5პ), ჩლაიძე (5მ), კვეტენაძე (3ქ), შანიძე (9ქ), კანკია (10ქ, 7მ), კ. დამუსი, რ. დამუსი (5ქ, 7მ), ანთაძე (5ქ, 5მ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, დ. ბერიშვილი.

**კომისარი:** რ. ხომერიკი.

# ზღვისპირული დერბი




სოხუმელმა იუჯინ ჰარისმა ბათუმში 28 ქულა ჩააგდო

სუპერლიგის მე-17 ტური ბათუმში დაიწყო. ერთმანეთს ზღვისპირული გუნდები, „ბათუმი" და „სოხუმი" დაუპირისპირდნენ.

სტუმართა რიგებში ორმატჩიანი შესვენების შემდეგ (ავად იყო) დაბრუნდა ლიდერი **ლაშა ფარღალავა**, რომელმაც 22 ქულა ჩააგდო. მატჩის ბომბარდირი მისი ამერიკელი თანაგუნდელი **იუჯინ ჰარისი** გახდა - 28 ქულა (7-დან 3 ორქულიანი, 7-დან 4 ორქულიანი, 10-დან 10 საჯარიმო).

ბათუმელთა რიგებში კი **ლაშა კეშელავამ** და **დუდა სანაძემ** გადალახეს 20-ქულიანი ბარიერი. პირველმა 21 ქულა ჩააგდო, მეორემ - 20.

დღეს ტურის მთავარი მატჩი 14 საათზე სპორტის სასახლეში გაიმართება - „არმია" თსუ-ს დაუპირისპირდება. ამ გუნდების მატჩი ყოველთვის საინტერესოდ მიმდინარეობს და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დღესაც დიდი ბრძოლა გველის.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 14 | 13 | 1 | 1226/957 | 27 |
| 2. თსუ | 15 | 12 | 3 | 1386/1208 | 27 |
| 3. სოხუმი | 16 | 10 | 6 | 1295/1207 | 26 |
| 4. შსს | 14 | 10 | 4 | 1230/1053 | 24 |
| 5. ქუთაისი | 14 | 10 | 4 | 1149/1002 | 24 |
| 6. ენერჯი | 15 | 7 | 8 | 1060/1128 | 22 |
| 7. ბათუმი | 15 | 5 | 10 | 1161/1235 | 20 |
| 8. სტუ | 15 | 5 | 10 | 1203/1281 | 20 |
| 9. აგრარული | 15 | 4 | 11 | 1063/1234 | 19 |
| 10. სამედიცინო | 14 | 4 | 10 | 1032/1059 | 18 |
| 11. დინამო | 15 | 1 | 14 | 1054/1495 | 16 |

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაკლებად ცნობილი მსოფლიო ასპარეზობები

### შეკითხვა ლელოს

**შეკითხვა: ამას წინათ ყური მოვკარი, რომ თურმე ყველასთვის ცნობილი საერთაშორისო კომპლექსური სპორტული ასპარეზობების გარდა ტარდება „მსოფლიოს თამაშები" და კიდევ, „მასტერსის თამაშები". იქნებ გაგვიმარტოთ, რა თამაშებია ეს და რა პერიოდულობით ტარდება, როგორია პროგრამა?**

**ტატო ტარუაშვილი**
გორი

**პასუხი:** დიახ, ასეთი თამაშები ნამდვილად ტარდება. ასპარეზობის პროგრამაში შედის სპორტის მხოლოდ არაოლიმპიური სახეობები, როგორიცაა კარატე, ჯიუ-ჯიცუ, აერობიკა, ბოულინგი, პარაშუტით ხტომა, პაუერლიფტინგი, სქვოში, ბაგირის გადაძალვა, სამეჯლისო ცეკვები და ა.შ. თამაშების ჩატარების იდეა გაჩნდა 1974 წელს საერთაშორისო სპორტული ფედერაციების გენერალური ასოციაციის (GAISF) შეკრებაზე. ამ ორგანიზაციის წევრი 51 ფედერაციიდან 27 ოლიმპიურ თამაშებს მიღმა იყო დარჩენილი. სწორედ მათ გადაწყვიტეს შემოეღოთ საგანგებო შეჯიბრება — მსოფლიოს თამაშები. ასპარეზობა პირველად ჩატარდა 1981 წელს სანტა-კლარაში (აშშ). მონაწილეობდა 18 ქვეყნის 1 265 სპორტსმენი. პროგრამაში იყო სპორტის 18 სახეობა. თამაშები იმართება ოთხ წელიწადში ერთხელ.







### მსოფლიოს მასტერსის თამაშები

ყველაზე მრავალრიცხოვანი საერთაშორისო კომპლექსური შეჯიბრება, რომელსაც ატარებს მასტერსის თამაშების საერთაშორისი ასოციაცია (IMGA). პირველი თამაშები გაიმართა 1985 წელს ტორონტოში. ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ. ასპარეზობაში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს, საკვალიფიკაციო შეზღუდვები დაწესებული არ არის. ლიმიტირებულია მხოლოდ მონაწილეთა ასაკი — 25-დან 40 წლამდე სხვადასხვა სახეობისთვის. მაგ., წყალში მხტომელის ასაკი 25 წელი მაინც უნდა იყოს, მოფარიკავის ან მეგოლფისა — 40. სპორტსმენები შეჯიბრებაში მონაწილეობენ ინდივიდუალურად ან გუნდურად, მაგრამ არა ეროვნული ნიშნით. მონაწილენი თვითონ იხდიან ტრანსპორტისა და სხვა ხარჯებს. 1985 წელს მასტერსის პირველ თამაშებში მსოფლიოს 61 ქვეყნის 8 305 ათლეტი ჩაება. ასპარეზობა გაიმართა 22 სახეობაში. 2002 წელს მელბურნში (ავსტრალია) სპორტსმენთა რიცხვმა 24 886-ს მიაღწია, რაც მონაწილეთა რაოდენობის მხრივ მსოფლიო რეკორდია — 98 ქვეყნის ათლეტები ერთმანეთს 26 სახეობაში ეჯიბრებოდნენ. შთამბეჭდავია მონაწილეთა ასაკიც — 1998 წლის თამაშებზე პორტლენდში (აშშ) სარბიელზე გამოვიდნენ 103 წლის **ბენ ლევინსონი** (გოლფი) და 97 წლის **ვიოლა კრაჰი** (წყალში ხტომა).




*1996 წელი. ატლანტა (აშშ). XXVI ოლიმპიური თამაშების აფიშა და მედალი*

## ვინ რა თქვა

### ფეხბურთი ისაა, რაც ცხოვრებაა

**ხორხე ვალდანო,** ვისაც მარადონას მხარდამხარ დიდი ფეხბურთი უთამაშია და თვით მადრიდის „რეალი" გაუწვრთნია, სამართლიანად აღნიშნავს: „ფეხბურთი თანამედროვეობას დაემსგავსა. თავად ეპოქა შეიცვალა. ათწლეულების წინათ ადამიანები უფრო რომანტიკულები იყვნენ. შესაბამისად, მათ უფრო ლაღი, უკომპლექსო ფეხბურთი უყვარდათ. ახლა კი თავად სამყარო გაუხეშდა, სხვა ღირებულებები გამეფდა... საფეხბურთო მსოფლიო ორ ნაწილად გაიყო, მოთამაშეთა მყიდველ და გამყიდველ ქვეყნებად. ბაზრის კონიუნქტურა ბევრ სასიცოცხლო გარემოებას განსაზღვრავს... რა თქმა უნდა, რომანტიზმი არ გამქრალა, რომანტიკოსები დღესაც ცოცხლობენ, მაგრამ ისინი ძალიან ცოტანი არიან. ფეხბურთშიც ასეა. სხვათა შორის, ამ თამაშს საოცარი უნარი აქვს იმისა, რომ ცხოვრებას დაემსგავსოს. შესაძლოა გული გვწყდებოდეს, მაგრამ... ვარსკვლავები ხომ დღესაც არიან".

## საინტერესო ამბები

■ ■ ■

**1530 წელს** აღმოაჩინეს პირველი ცნობები იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელებს შორის გავრცელებული იყო მშვილდოსნობა, ლახვრის ტყორცნა, რბენა, ცურვა. გარდა ამისა, ისინი იყენებდნენ კანოეს.

■ ■ ■

**კაგოშიმაში** (იაპონია) დაფუძნდა შინტოს ცურვის სკოლა. იქ გამოყენებულ მეთოდებს საიდუმლოდ ინახავდნენ.

■ ■ ■

**შემორჩენილია** ცნობები, რომ ინდოეთში თამაშობდნენ „წრიულ ფეხბურთს" უკარებოდ.

## თარიღი. 12-18 მარტი

**12.1910 წ.** საფრანგეთის ნაკრებთან შეხვედრაში **ინგლისის ნაკრებმა** გაიმარჯვა 20:0 (!). 11 გოლი **დეიმ** გაიტანა.

**12.1957 წ.** დაიბადა **პატრიკ ბატისტონი**-ფეხბურთი (საფრანგეთი).

**13.1973 წ.** დაიბადა **ედგარ დავიდსი**-ფეხბურთი (ჰოლანდია).

**13.1918 წ.** გამოვლინდა ჰოკეის ეროვნული ლიგის პირველი ჩემპიონი — „მონრეალ კანადიენსი".

**14.1920 წ.** დაიბადა **ალექსი ხომიჩი**-ფეხბურთი (მეკარე, მოსკოვი). გარდაიცვალა 1980 წელს.

**15.1892 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ლივერპული" (ინგლისი).

**15.1911 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „აუსტრია" (ვენა ავსტრია).

**16.1928 წ.** დაიბადა **მარიო ზაგალო**-ფეხბურთი (ბრაზილია).

**16.1943 წ.** დაიბადა **კარლოს ბილარდო**-ფეხბურთი (მწვრთნელი, არგენტინა).

**17.1939 წ.** დაიბადა **ჯოვანი ტრაპატონი**-ფეხბურთი (იტალია).

**18.1900 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „აიაქსი" (ამსტერდამი, ჰოლანდია).

**18.1902 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი).

## ვიქტორინა. თქვენთვის, ერუდიტებო

**1. რომელი ცნობილი ფილოსოფოსი იყო ანტიკური ხანის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი?**

ა – პლატონი
ბ – პითაგორა
გ – სოკრატე

**2. გოლი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს...**

ა – კარს, სამიზნეს
ბ – ბურთზე ზუსტ დარტყმას
გ – კარში გასულ ბურთს

**3. 1908 და 1912 წლებში ფეხბურთში ოლიმპიური ჩემპიონი ზედიზედ გახდა ერთი და იგივე ქვეყნის ნაკრები. რომლის?**

ა – იტალიის
ბ – ურუგვაის
გ – ინგლისის

**4. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონია 1900 წელს ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული 10 წლის ფრანგი ბიჭი. ვინ არის იგი?**

ა – ინგე რიონერსიხი
ბ – გვარი უცნობია
გ – იენეს ვერცესი

**5. ვის ეკუთვნის სიტყვები: „სულაც არ მჭირდება სიმკაცრე, რომ მკაცრი ვიყო"...**

ა – ნოდარ ახალკაცს
ბ – არსენ ვენგერს
გ – ვან გაალს

**პასუხები: 1-ბ, 2-ა, 3-გ, 4-ბ, 5-გ**

## ღვთისავარ ანთაძის კუთხე

### ფეხბურთი ახლო ხედით

### ბურთი თამაშშია და არ არის თამაშში

ბურთი თამაშშია მატჩის დაწყებიდან დამთავრებამდე, სანამ სათამაშო მინდორზეა და მთავარი მსაჯი მატჩს არ შეაჩერებს. ბურთი თამაშში არ არის, როდესაც იგი მინდორს გასცდება პირით ან გვერდით ხაზებს იქეთ, ან როდესაც მთავარი მსაჯი თამაშს ამა თუ იმ მიზეზით შეაჩერებს. ბურთი თამაშში არ არის პირველი ტაიმის დასრულებიდან მეორე ტაიმის დაწყებამდე.

თამაშის შეჩერების უფლება მხოლოდ მთავარ არბიტრს აქვს, შესაძლოა გვერდითი მსაჯი ანიშნებდეს ალმით, რომ თამაში უნდა შეჩერდეს, მაგრამ ბურთი თამაშში ითვლება, სანამ მთავარი მსაჯი შეხვედრას არ შეაჩერებს.

შესაძლოა ფეხბურთელები შეჩერდნენ, რადგან ჩათვალონ, რომ თამაშის წესი დაირღვა, მაგრამ თუკი მსაჯის სასტვენი არ არის, ბურთი თამაშში ითვლება. ყოველგვარი დარტყმისას საკუთარი საჯარიმო მოედნიდან ბურთი ჩაითვლება თამაშში, თუ სწორად დარტყმული ბურთი გაივლის თავისი გარშემოწერილობის ტოლ მანძილს და საჯარიმო მოედანს დატოვებს თამაშის გამო.

გვერდითი ხაზიდან ბურთის მოწოდების დროს იგი თამაშშია, როგორც კი სწორად ჩამოაწვდიან. სადავო ბურთის დროს ბურთი თამაშშია, როცა მიწას შეეხება. ბურთი თამაშში ითვლება, თუკი მთლიანად გადალახავს სათამაშო მოედნის შემოსაზღვრულ ხაზებს. ბურთი თამაშში ითვლება, თუკი კუთხურის ალამს მოხვდა და უკან დაბრუნდა, ისევე როგორც კარის ბოძიდან.

## კროსვორდი



პასუხები მომდევნო ნომერში

შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ

**თარაზულად:** 1. ლეგენდარული ამერიკელი მოცურავე; 4. ვეტერანი ქართველი წყალბურთელი, მეკარე; 7. ბეისბოლის ქართული სახელწოდება; 9. "ჩელსის" თავდამსხმელი ... დროგბა; 10. "იუვენტუსის" თავდამსხმელი; 11. სარატოვის ჰოკეის გუნდი; 14. ბელგიის საფეხბურთო კლუბი; 17. ზურაბ ხიზანიშვილის ინგლისური საფეხბურთო კლუბი; 18. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი (1980) ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში; 20. გამოჩენილი რუსი ჰოკეისტი; 23. გრძელ დისტანციაზე მორბენალი ან მოცურავე; 25. რუსთავის "ოლიმპის" ყოფილი უცხოელი ფეხბურთელი; 26. საუდის არაბეთის საფეხბურთო კლუბი; 28. ყოფილი პირველი ჩოგანი ვაჟი (აშშ); 29. ჯორჯ ბესტის სამშობლო; 30. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი 1900 წელს.

**შვეულად:** 1. მილანის "ინტერის" ლეგენდარული მცველი; 2. ოლიმპიური თამაშების 9-გზის ჩემპიონი საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალი; 3. თბილისის საკალათბურთო გუნდი (შემოკლებით); 5. სკანდალური ამერიკელი კალათბურთელი; 6. ჰოლანდიის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის სახელწოდება; 8. წარსულში კალათბურთის ცნობილი ქართველი ქუთაისელი მწვრთნელი; 12. ქართველი ტიტულოვანი ტანმოვარჯიშე ქალი; 13. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი; 15. ლონდონის "არსენალის" კაპიტანი; 16. იტალიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ... ბეარზოტი; 19. ლონდონის საფეხბურთო კლუბი; 21. უმაღლესი სპორტული მიღწევა; 22. „არსენალის" მწვრთნელი არსენ...; 24. საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების ყოფილი გამთამაშებელი; 27. იაპონური კორპორაცია, 2010 წლის მუნდიალის სპონსორი.

## თავსატეხი „ანთა"

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

***შენიშვნა:* თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.**

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | | | | | | | | 4-2 | 7 | I |
| B | | ■ | | | | | | | 5-1 | 4 | II |
| C | | | ■ | | | | | | 3-4 | 3 | III |
| D | | | | ■ | | | | | 1-6 | 3 | IV |

### წინა ამოცანის პასუხი

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | ■ | 0:1 | 4:0 | 8:0 | 3 | 2 | 0 | 1 | 12-1 | 6 | I |
| B | 1:0 | ■ | 0:1 | 0:0 | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 | II |
| C | 0:4 | 1:0 | ■ | 1:1 | 3 | 1 | 1 | 1 | 2-5 | 4 | III |
| D | 0:8 | 0:0 | 1:1 | ■ | 3 | 0 | 2 | 1 | 1-9 | 2 | IV |

გვერდი მომზადებულია **თენგიზ თომაშვილის პროექტით**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



დელ პოტრო შემდეგ წრეშია

# უფრთხილდით დელ პოტროს

ინდიან უელსში ორი დღეა დაიწყო ქალთა და მამაკაცთა სუპერტურნირი. ჯერჯერობით განთესილები ისვენებენ, მათი მეტოქეები კი პირველ წრეში „აუტსაიდერთა“ შეხვედრებში ირკვევა.

გუშინ მამაკაცებმა დაიწყეს პირველი რაუნდი. მასტერსის ბადეში რამდენიმე ისეთ ჩოგბურთელს ვხედავთ, რომლებიც ერთ დროს რეიტინგის საუკეთესო ოცეულში შედიოდნენ. სწორედ მათი მატჩები იწვევდა პირველ წრეში ინტერესს.

სერიოზული ბრძოლა იყო მოსალოდნელი **ხუან მარტინ დელ პოტროსა** და **რადეკ შტეპანეკის** დაპირისპირებაში, მაგრამ მაყურებლის იმედი არ გამართლდა. არგენტინელმა იოლად გაიარა ერთი შეხედვით რთული ბარიერი. გამარჯვებულის გამოვლენას საათ-ნახევარიც არ დასჭირდა. აშშ-ის ღია პირველობის ყოფილმა ჩემპიონმა რვიდან ხუთი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და ექვსიდან ხუთი ასეთივე საფრთხე მოიგერია. სხვათა შორის, ეს იყო დელ პოტროს პირველი გამარჯვება შტეპანეკზე - აქამდე არგენტინელს ორიდან ორი მატჩი ჰქონდა წაგებული ჩეხთან. მაგრამ ამჯერად რევანში დამაჯერებელი გამოვიდა. მეორე სეტი ხუან მარტინმა ნულზე მოიგო.

ივო კარლოვიჩს სამი სეტის ჩატარება მოუწია **მარინკო მატოშევიჩის** წინააღმდეგ. ხორვატის მატჩებში ტრადიციულია ტაი-ბრეიკების თამაში. ამჯერად ასეთი ორი სეტი იყო - კარლოვიჩმა პირველ პარტიაში მოიგო მე-13 გეიმი, მეორეში - წააგო და ჩოგბურთელებს მესამე სეტის თამაშმა მოუწიათ, იქ კი მოწოდების სისწრაფეში მსოფლიოს რეკორდსმენის კლასმა თავისი გაიტანა და კარლოვიჩი მეორე წრეში გავიდა. ხორვატმა 17 ეისით დაასრულა შეხვედრა.

ყველაზე დამაჯერებელი გამარჯვება სერბმა იანკო **იანკო ტიპსარევიჩმა** მოიპოვა, რომელმაც **ტობიას კამკე** საათზე ნაკლებ დროში დაამარცხა. სერბმა ექვსიდან ხუთი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, მის მეტოქეს კი ასეთი ერთი შანსიც არ ჰქონია.

■ ■ ■

წინა დღისგან განსხვავებით, რუს ქალებს ამჯერად წარმატებული გამოსვლა ჰქონდათ. **ანა ჩაკვეტაძემ მისაკი დოი** დაამარცხა. პირველ პარტიაში სერიოზული ბრძოლა იყო და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. მეორეში კი მსოფლიოს ყოფილი მეხუთე ნომრისთვის ყველაფერმა გაცილებით მარტივად ჩაიარა.

ელიტაში დაბრუნებას ცდილობას მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **დინარა საფინა**. რუსმა ამ სეზონში მხოლოდ მეორე შეხვედრა მოიგო - დინარამ ესპანელი **არანჩა პარა-სანტონხას** ბარიერი გაიარა. რუსი შთამბეჭდავად გამოიყურებოდა თავის მოწოდებაზე და საკმაოდ კარგი იყო მიღებაზე. მოკლედ, საფინამ მეტ-ნაკლებად ნორმალური დონე აჩვენა, თუმცა საკითხავია, რამდენად გამოუვა კარგი თამაში შემდეგ წრეში, სადაც უკვე განთესილ მეტოქესთან მოუწევს თამაში.

**ATP**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 2 645 000 დოლარი

**I წრე**

**იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-ტობიას კამკე (გერ) 6:2, 6:0; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-ანდრეას სეპი (იტა) 4:6, 7:6, 6:3; **მიხაელ ბერერი (გერ)**-ბიორნ ფაუ (გერ) 6:4, 4:6, 6:4; **რაინერ შუტლერი (გერ)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 7:6, 7:5; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 6:4, 6:0; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-დენის ისტომინი (უზბ) 2:6, 7:5, 7:5; **დონალდ იანგი (აშშ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 2:6, 6:3, 6:3; **სომდევ დევარმანი (ინდ)**-ადრიან მანარინო (საფ) 6:2, 6:3; **რიკ დე ვიუსტი (ს. აფრ)**-პეპე რიბა (ესპ) 6:4 რიბას უარი; **ტიმ შმიჩეკი (აშშ)**-ილია მარჩენკო (უკრ) 2:6, 6:3, 6:2; **რაიან სვიტინგი (აშშ)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:4, 6:1; **ქსავიე მალისე (ბელ)**-ფლავიო ჩიპოლა (იტა) 6:1, 6:4; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-მარინკო მატოშევიჩი (ავსტრა) 7:6, 6:7, 6:2; **მიშა ზვერევი (გერ)**-მეტიუ ებდენი (ავსტრა) 6:4, 6:3; **რიჩარდას ბერანკისი (ლიტ)**-ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 1:6, 6:3, 6:4; **მაიკლ რასელი (აშშ)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) 6:7, 6:3, 6:4.

**WTA**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი**: 4 500 000 დოლარი

**I წრე**

**შუაი პენგი (ჩინ)**-რენატა ვორაკოვა (ჩეხ) 7:5, 6:1; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-რებეკა მარინო (კან) 6:4, 4:6, 6:4; **აგნეს შავაი (უნგ)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:3, 6:3; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 6:1, 6:2; **ანა ჩაკვეტაძე (რუს)**-მისაკი დოი (იაპ) 7:6(0), 6:1; **სიმონა ჰალეპი (რუმ)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 0:6, 6:2, 6:4; **ელენა ბალტაჩა (ბრიტ)**-რობერტა ვინჩი (იტა) 2:6, 7:5, 6:2; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-ტამირა ბაშჩინსკი (ავსტრია) 6:1, 6:1; **სოფია ანდერსონი (შვედ)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 6:3, 6:2; **დინარა საფინა (რუს)**-არანჩა პარა სანტონხა (ესპ) 6:3, 6:3; **ურსულა რადვანსკა (პოლ)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 3:6, 6:4, 7:6(6); **შუაი პენგი (ჩინ)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:2, 2:6, 7:6(4); **ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ)**-კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) 7:6(6), 6:2; **ლაურა პოუს-ტიო (ესპ)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 6:2, 6:1; **კრიისტინა მაკჰეილი (აშშ)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:3, 6:1; **სლოუნ სტივენსი (აშშ)**-ჯემი ჰემპტონი (აშშ) 6:2, 6:4.

# როჯერს დევისზე ვნახავთ

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** 2011 წელს დევისის თასზე შვეიცარიის ნაკრების დახმარება გადაწყვიტა. შვეიცარიელთა გუნდს ევროპა/აფრიკის ზონის I ჯგუფში 8-10 ივლისს უწევთ შეხვედრა პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ.

ამ გადაწყვეტილების შესახებ ფედერერმა საკუთარ ვებგვერდზე დაწერა: *„გადავწყვიტე ივლისში შინ პორტუგალიასთან მატჩში თამაში. იმედი მაქვს, ჩვენს გუნდს მსოფლიოს ჯგუფში დაბრუნებაში დავეხმარები“.*

შეგახსენებთ, რომ შვეიცარიელის წინასწარ გეგმებში არ შედიოდა წელს დევისის თასზე გამოსვლა. ბოლოს როჯერმა ეროვნულ გუნდში 2009 წლის სექტემბერში ითამაშა და მისი ორი მოგების წყალობით დაამარცხა შვეიცარიამ იტალია - 3:2.

როჯერმა თავის ვებგვერდზე კიდევ ერთი საინტერესო განცხადება გააკეთა - ამ სეზონში მისი მთავარი მიზანი რეიტინგში პირველი პოზიციის დაბრუნება იქნება.

*„ეს ერთი საერთო მიზნის მთავარი ნაწილია, თუმცა მის შესრულებამდე დიდი გზაა გასავლელი. ძალიან მომწონს პირველ ადგილზე ყოფნა და არა ვილაცის უკან ჩანჩალი“*, - ამბობს ფედერერი.

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ლეიკერსისთვის დიდი ტრიო რთულია

რეგულარული ჩემპიონატის კალენდარმა ბოლო დროს გაგვანებივრა სუპერმატჩებით და გამონაკლისი არც გუშინდელი დღე ყოფილა. კრიზისში მყოფი „მაიამი“ საკუთარ მოედანზე იღებდა ჩემპიონ „ლეიკერსს“. ფლორიდელები ხუთმატჩიანი წაგებათა სერიით შეხვდნენ ამ მატჩს, თანაც ხუთივე შეხვედრა იმ გუნდებთან დათმეს, რომლებსაც მოგება/წაგების დადებითი ბალანსი აქვთ. სწორედ ამის გამო წერს ამერიკული პრესა, რომ „მაიამის“ ძლიერ გუნდებთან თამაში არ ეხერხება.

თუმცა ერთადერთი ფავორიტი, რომელთანაც „ჰიტს“ წაგება არ ჰქონდა, „ლეიკერსი“ იყო. ამ გუნდების პირველი მატჩი კალიფორნიაში **ლებრონისა** და კომპანიის მოგებით დასრულდა. გავუსწრებთ მოვლენებს წინ და გეტყვით, რომ აღმოსავლური ტურნეთი დაქანცულმა **ფილ ჯექსონის** გუნდმა რევანშის აღება ვერ შეძლო.

მასპინძლებმა კარგად დაიწყეს - ორი ჩაჭრა და რვა უპასუხო ქულა. „ლეიკერსმა“ მარტივად უპასუხა - **კობი ბრაიანტმა** საშუალოდან ჩააგდო, შემდეგ პერსონალურით, ამას მოჰყვა სამქულიანი და ბოლოს ჩატენვა სწრაფი გარღვევის შემდეგ - 10:8 სტუმრების სასარგებლოდ. არადა, თამაშის დაწყებიდან სულ რაღაც წუთი და 35 წამი იყო გასული.

„მაიამის“ „დიდ ტრიოს“ ისევ არ ჰქონდა სათანადო მხარდაჭერა. **ერიკ სპოელსტრამ** პირველ მეოთხედში მეხუთე ნომრად სამი კალათბურთელი ათამაშა (**ილგაუსკასი, ჰოვარდი** და **დამპიე**), რომლებმაც ერთი ქულაც ვერ აიღეს. და მაინც, პირველ მეოთხედში „მაიამიმ“ შეძლო სამქულიანი უპირატესობის მოპოვება. მეორე 12-წუთეულიც ასევე თანაბარი გამოდგა და დიდი შესვენებისთვის ჩემპიონის ჩამორჩენა მხოლოდ ორი ქულა იყო.

მესამე მეოთხედის სტარტზე „ლეიკერსის“ დაცვა თითქმის გაუვალი გახდა. ოთხი წუთისა და 15 წამის განმავლობაში „ჰიტის“ კალათბურთელები ბურთს ვერ აგდებდნენ - 7 ტყორცნა და ყველა არაზუსტი. მასპინძლებმა იმან გადაარჩინა, რომ ამ ხნის განმავლობაში მეტოქემ მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდო.

თანაფარდობა **დუეინ უეიდმა** დაარღვია ზუსტი სამქულიანით - 58:55. იგივეთი უპასუხა მეტოქეს **რონ არეტსმა** და ისევ დაიწყო ქულა-ქულაში თამაში. ბრძოლა ისე თანაბრად ვითარდებოდა, რომ „ლეიკერსის“ მიერ მოპოვებული ექვსქულიანი სხვაობა მეტად სოლიდურ უპირატესობად მოჩანდა. ჩემპიონებმა მისი შენარჩუნება ვერ შეძლეს და ბოლო მეოთხედი მათი ორქულიანი უპირატესობით დაიწყო. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ პირველ მეოთხედში ბრწყინვალედ მოთამაშე კობი მეორე და მესამე ნაწილში ჩრდილში მოექცა.

ყველაფერი ბოლო მეოთხედს უნდა გადაეწყვიტა. პირველი წუთების გმირი აღმოჩნდა „ჰიტის“ ახალწვეული **მაიკ ბიბი**. მისმა ორმა სამქულიანმა მასპინძელთა გუნდი წინ გაიყვანა - 76:73. **ოდომის** ორი ჯარიმის შემდეგ ანგარიში ისევ მინიმუმამდე შემცირდა. სწორედ ამ დროს „ლეიკერსმა“ კვლავ გააძლიერა დაცვა და შემდეგ ხუთ წუთში მეტოქისგან მხოლოდ ოთხი ქულა მიიღო, თუმცა თავად ამჯერადაც ერთი ტყორცნით მეტი ჩააგდო. ამდენი შეცდომის ფონზე მატჩმა სანახაობრივი მხარე დაკარგა და საერთო ჯამში, ფავორიტების დაპირისპირება მოსაწყენი საცქერი იყო.

ბოლოსკენ, როგორც იქნა, თამაში წაუვიდათ უეიდსა და ბრაიანტს. პირველმა ზედიზედ სამჯერ ფარქვეშიდან ჩააგდო, კობიმ კი ორჯერ 8-9 მეტრიდან ზუსტად გაისროლა. საფინალო სირენამდე ორწუთნახევრით ადრე ანგარიში კიდევ ერთხელ გათანაბრდა - 88:88.

გადამწყვეტი აღმოჩნდა თამაშის დამთავრებამდე 46 წამით ადრე უეიდის გარღვევა, რის შემდეგაც მასპინძლების უპირატესობა ოთხ ქულამდე გაიზარდა (მანამდე ლებრონმა ჩაჭრა ბურთი და სწრაფი შეტევა ჩატენვით დაასრულა). საპასუხო შეტევაში კობიმ ბურთი დაკარგა და ამით ყველაფერი დასრულებული იყო. საინტერესოა, რომ შეხვედრაში 18-ჯერ დაფიქსირდა თანაბარი ანგარიში და 16-ჯერ შეიცვალა ლიდერი.




მაიამი აგრესიული იყო

■ ■ ■

არანაკლებ ინტერესს იწვევდა „დალასისა“ და „ნიუ იორკის“ შეხვედრა. ტექსასელები ცუდი განწყობით, მაგრამ ძალიან მოტივირებულები შეხვდნენ ამ მატჩს. წინა დღეს „ნიუ ორლეანთან“ „მავერიქსმა“ ბოლო 55 წამში შვიდქულიანი უპირატესობა გაანიავა.

ამ წაგებით გაბრაზებულმა „დალასმა“ არ შეიმჩნია „ნიუ იორკის“ წინააღმდეგობა. განსაკუთრებით შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ მასპინძლები პირველ ტაიმში, რომელშიც ამ სეზონში შედეგიანობის ორი პირადი რეკორდი დაამყარეს - 41 ქულა მეოთხედში და 72 - ტაიმში.

მაქსიმალური უპირატესობა მესამე მეოთხედის შუაში დაფიქსირდა - 88:62. თამაში გაკეთებული იყო. მოგვიანებით „ნიქსმა“ შეძლო 12:0 გაქცევა და სხვაობის 13 ქულამდე შემცირება, მაგრამ ინტრიგა მაინც არ გაცოცხლებულა. სტუმრებს ვერ უშველა **ამარე სტაუდმაიერის** 36-მა ქულამ. „ნიუ იორკის“ მეორე ლიდერი **კარმელო ენტონი** 18 ქულითა და 10 მოხსნით შემოიფარგლა.

■ ■ ■

„დენვერ ნაგეტსი“ ზედიზედ 13 მატჩი ვერ ახერხებდა სტუმრად „ფინიქსის“ დამარცხებას და ეს არასახარბიელო სერია გუშინ ძალიან იოლად შეწყვიტა. „სანზს“ არ გამოუვიდა თამაში განახლებული „დენვერის“ წინააღმდეგ, რომელიც შეტევაში ადრეც კარგი იყო, ახლა კი დაცვაში თამაშიც ისწავლა. სწორედ ამის წყალობით შეაჩერეს სტუმრებმა **სტივ ნეში**, რომელმაც მხოლოდ შვიდი შედეგიანი პასი გააკეთა და ექვსი შეცდომა დაუშვა. **ვინს კარტერმაც** ჩააგდო მატჩი - თამაშიდან 2 ზუსტი ტყორცნა (11-დან) და 6 ქულა. რაც მთავარია, არ იმუშავა მასპინძლების მთავარმა იარაღმა - სამქულიანებმა: 22 შორეული ტყორცნიდან მხოლოდ ხუთმა მიაღწია მიზანს.

სამაგიეროდ, „დენვერმა“ გამოიყენა თავისი კოზირები. მაგალითად, კოლორადოელებმა სწრაფ გარღვევებში 33 ქულა დააგროვეს, სამწამიან ზონაში - 66 ქულა. დიდი შესვენებისთვის „ნაგეტსის“ უპირატესობა 10 ქულას შეადგენდა, მაგრამ მესამე მეოთხედში სხვაობა 24 ქულამდე გაიზარდა.

**მაიამი–ლეიკერსი 94:88**

**29:26, 26:27, 13:17, 26:18**

**მ**: ბოში (24+9 მოხსნა), უეიდი (20+5 მოხსნა+5 პასი), ჯეიმსი (19+9 პასი+8 მოხსნა), მილერი (12+7 მოხსნა).

**ლ**: ბრაიანტი (24), გასოლი (20+5 მოხსნა), ბინუმი (13+12 მოხსნა), ოდომი (11+5 მოხსნა).

**დალასი–ნიუ იორკი 127:109**

**31:21, 41:30, 27:34, 28:24**

**დ**: ნოვიცკი (23+9 მოხსნა), მერიონი (22+8 მოხსნა), ტერი (21), ბობუა (14+6 პასი), დუგლასი (12+8 მოხსნა).

**ნ-ი**: სტაუდმაიერი (36+7 მოხსნა), ფილდსი (19+6 მოხსნა), ენტონი (18+10 მოხსნა+5 პასი), დუგლასი (18+8 პასი), უილიამსი (14).

**ფინიქსი–დენვერი 97:116**

**25:30, 24:29, 17:31, 31:26**

**ფ**: გორტატი (14+18 მოხსნა), დადლი (13), უორიკი (12+5 მოხსნა), ჰილი (12).

**დ**: ნენე (22+7 მოხსნა), ლოუსონი (20+11 პასი), ჩენდლერი (16+5 მოხსნა), ანდერსენი (12), სმიტი (12).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ფინიქსი–კალგარი 3:0**

**0:0, 1:0, 2:0**

**გოლები**: 1:0 მაკლინი-2 (ბოდკერი-9, ტარისი-12), 2:0 ბელანჟე-11 (მორისი-10, იენდლი-45), 3:0 დოუნი-16.

**ტორონტო–ფილადელფია 2:3**

**0:1, 1:2, 1:0**

**გოლები**: 0:1 მეზაროში-6 (ჟირუ-41, ბრიერი-25), 0:2 ჰოუ-6 (მ. კარლი-30), 1:2 გრაბოვსკი-26 (ფანოფი-17, მაკარტური-32), 1:3 ჟირუ-22 (ვან რიმსდიკი-16, ჯ. კარტერი-28), 2:3 ლუპული-9 (ბრაუნი-5, ბრენტი-9).

**ნეშვილი–მინესოტა 4:0**

**3:0, 0:0, 1:0**

**გოლები**: 1:0 ჯ. უორდი-9 (ლეგვანდი-20, ერატი-28), 2:0 სპალინგი-6 (სმიტსონი-6, ჰალიშუკი-4), 3:0 ერატი-12 (ჯ. უორდი-16, ლეგვანდი-21), 4:0 სპალინგი-7 (მ. უებერი-28, ს. კოსტიცინი-19).

**ფლორიდა–ოტავა 1:2**

**0:0, 0:0, 1:2**

**გოლები**: 0:1 ე. კარლსონი-10 (კუბა-10, ფოლინო-16), 0:2 ე. კარლსონი-11 (ბატლერი-4, გონჩარი-18), 1:2 კ. უილსონი-2 (ბერგფორსი-21, რეპიკი-5).

**სან ხოსე–ვანკუვერი 4:5 (ბ)**

**0:2, 2:1, 2:1, 0:0**

**გოლები**: 0:1 ბაროუზი-19 (დ. სედინი-51, ჰ. სედინი-64), 0:2 სალო-3 (ჰამჰუისი-15, მალორტა-17), 1:2 სეტოგუჩი-19 (ჯ. ტორნტონი-39, მარლო-25), 2:2 ქლოუ-20 (კუტური-20, ი. უაიტი-18), 2:3 რეიმონდი-12 (სამუელსონი-28, კესლერი-27), 3:3 ტ. მიტჩელი-5 (უელვუდი-2, ი. უაიტი-19), 3:4 დ. სედინი-35 (ჰ. სედინი-65, ერჰოფი-31), 4:4 ქლოუ-21 (ჯ. ტორნტონი-40, ჰიტლი-31).

**ბულიტები გაიტანეს**: ბაროუზი (ვანკუვერი).

**ბოსტონი–ბაფალო 3:4 (ო)**

**1:0, 1:2, 1:1, 0:1**

**გოლები**: 1:0 ჰორტონი-19 (ლუჩიჩი-22, კრეისი-42), 2:0 რეკი-12 (რაიდერი-20, ხარა-22), 2:1 ენისი-15 (მონტადორი-17, სტეფორდი-15), 2:2 ვანეკი-24 (ენისი-25, მიერსი-20), 3:2 გ. კემპბელი-10 (ხარა-23, შ. ტორნტონი-8), 3:3 ტიმ კონოლი-9 (ვანეკი-33, ბოიესი-32), 3:4 ბოიესი-15 (გერბი-12).

**სტ. ლუისი–მონრეალი 4:1**

**1:1, 1:0, 2:0**

**გოლები**: 0:1 ჰალპერნი-11 (პიკარი-5, მარა-3), 1:1 ბეკსი-24 (ენდი მაკდონალდი-20), 2:1 ენდი მაკდონალდი-17 (დ'აგოსტინი-17), 3:1 დ'აგოსტინი-14 (ენდი მაკდონალდი-21), 4:1 ოში-8 (ბერგლუნდი-27).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მძლეოსნობა

# ბოლტმა ხუთი დაადასტურა

როგორც ჩანს, 2011 წლის სეზონში მსოფლიოს უსწრაფეს ადამიანს **უსაინ ბოლტს** დატვირთული გრაფიკი ექნება. იამაიკელმა უკვე მეხუთე ევროპულ ტურნირზე მონაწილეობა დაადასტურა. თუ ტრავმამ ხელი არ შეუშალა, მსოფლიოს რეკორდსმენი „ბრილიანტის ლიგის" ოთხ ეტაპზე გამოვა - პარიზში, ოსლოში, რომსა და მონაკოში. გარდა ამისა, ბოლტს ვიხილავთ ჩეხეთის ქალაქ ოსტრავაში - იქაური ტურნირი IAAF World Challenge-ის სერიას ეკუთვნის. ეს არის მნიშვნელობით მეორე სტარტი „ბრილიანტის ლიგის" შემდეგ. წელს ჩეხეთის გრან-პრი 50-წლისთავს აღნიშნავს. ტურნირი 31 მაისს ჩატარდება.

იამაიკელი აცხადებს, რომ განსაკუთრებით უყვარს ამ ჩეხურ ქალაქში გამოსვლა, სადაც 2008 წლიდან მოყოლებული ყოველთვის ანშლაგი ფიქსირდება. ამის მიზეზი სწორედ ბოლტის მონაწილეობა იყო.

*„ყოველთვის მიხარია ოსტრავაში დაბრუნება. აქ საუკეთესო პუბლიკაა, ამიტომაც განსაკუთრებულად ვინდომებ სარბენ ბილიკზე. წელს აქ ზედიზედ მეოთხედ გამოვალ, თუმცა ჯერ არ ვიცი რა დისტანციას გავირბენ. ამას მწვრთნელთან განვიხილავ"*, - თქვა ბოლტმა.

## კალათბურთი

# იაო არ ნებდება

„ჰიუსტონ როკეტსის" ცენტრი **იაო მინი** ყველა ღონეს ხმარობს საშინელი ტრავმის შემდეგ კარიერის გასაგრძელებლად.

*„ბევრს ვმუშაობ იმისთვის, რომ მოედანზე დავბრუნდე და კარიერა გავაგრძელო. მაგრამ ყველაფერი ჩემს ფეხზე იქნება დამოკიდებული. მომწონს „ჰიუსტონში" თამაში, თანაც ამ ქალაქს ძალიან მივეჩვიე,* - ამბობს ჩინელი სუპერცენტრი. - *ჩემს ოჯახსაც ძალიან უყვარს ჰიუსტონში ცხოვრება. ამიტომაც ვისურვებდი კარიერის „როკეტსში" გაგრძელებას".*

კალათბურთელის კონტრაქტი 30 ივნისს იწურება და ამ სეზონის შემდეგ შეზღუდული უფლებების მქონე თავისუფალი აგენტი გახდება.

რაც შეეხება კლუბის გენერალურ მენეჯერ **დერილ მორის**, მან არ მოისურვა ჟურნალისტებთან იაო მინთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების შესახებ დაწვრილებით საუბარი, მხოლოდ ბანალურად აღნიშნა, რომ თავადაც მოხარული იქნება თუ იაო მის გუნდში გააგრძელებს თამაშს.

*„თუ კარიერის გაგრძელება ვერ შევძელი, მინდა იცოდნენ გულშემატკივრებმა, რომ მოედანზე დასაბრუნებლად და მათთვის ხელახლა სიამოვნების მისანიჭებლად ძალა არ დამიშურებია",* - განაცხადა მინმა.



## ამბები

**ჩოგბურთი**

### ნალბანდიანი ორი თვე თამაშგარეშია

არ გაუმართლა მსოფლიოს ყოფილ მესამე ჩოგანს **დავიდ ნალბანდიანს**. არგენტინელ ჩოგბურთელს სულ მალე ორი ოპერაციის გადატანა მოუწევს, რის გამოც ორი თვით გამოაკლდება აქტიურ სპორტს. ნალბანდიანს საზარდული და განყვეტილი კუნთი აქვს სამკურნალო.

უიმბლდონის ყოფილმა ფინალისტმა ტრავმა გასულ კვირას დევისის თასის მატჩში მიიღო. მაშინ მან ოთხსეტიანი მატჩი მოუგო რუმინელ **ადრიან უნგურს**.

როგორც ექიმები ვარაუდობენ, არგენტინელი სავარაუდოდ მაისში რომისა და მადრიდის მასტერსებისთვის დაუბრუნდება კორტს. ეს ორი ტურნირი წინ უძღვის „დიდი სლემის" რიგით მეორე ჩემპიონატს - როლან გაროსს.

**რალი**

### რალიში ფოლკსვაგენი მოდის

საინტერესო ინფორმაციას გაავრცელა გერმანულმა პრესამ. ცნობილი ავტოგიგანტი „ფოლკსვაგენი" პორტუგალიის რალიზე გამოაცხადებს თავისი ახალი პროგრამის შესახებ, რომელიც ამ სარბოლო სერიის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას ითვალისწინებს. თუ გერმანელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, გუნდის ბიუჯეტი სპორტის ამ სახეობისთვის მაქსიმუმი - 100 მილიონი ევრო იქნება.

ამ ინფორმაციას უკვე გამოეხმაურა რალიში ბოლო წლების ლიდერის - „სიტროენის" ხელმძღვანელი **ოლივიე კესნელი**. ის აცხადებს, რომ ფრანგული ავტოკონცერნს არ აშინებს რალიში „ფოლკსვაგენის" მოსვლა.

*„ისინი უკვე მონაწილეობდნენ ასეთი ბიუჯეტით „დაკარში", მაგრამ წააგეს „მიცუბიშისთან", რომელსაც ფული საერთოდ არ ჰქონდა. ასე რომ, არ ვღელავთ „ფოლკსვაგენის" მოსვლის გამო. პირიქით, ეს კარგია სპორტისთვის და რალის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის",* - ამბობს „სიტროენის" შეფი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ოდ გრენლანდი-ლილესტრიომი | 3:0 |
| რანჰაიმი-ალტა | 1:1 |
| ბოდო გლიმტი-მიონდალენი | 3:0 |
| ბრინი-სტრომენი | 1:0 |

| | |
|---|---|
| ბრეშა-ინტერი | 1:1 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ელჩე-კორდობა | 2:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| კიოლნი-ჰანოვერი | 4:0 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ფრანქფურტი-ინგოლშტადტი | 1:2 |
| კარლსრუე-დუისბურგი | 3:1 |
| ობერჰაუზენი-აუე | 1:2 |

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბაიერნი A-ზანდჰაუზენი | 0:1 |
| ვერდერი A-ბაბელსბერგი | 1:0 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| დარმშტადტი-მიუნხენი A | 1:1 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი A-კიოლნი A | 0:0 |
| ბოხუმი A-კაიზერი A | 2:3 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| რენი-მარსელი | 0:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ევიანი-კლერმონი | 1:1 |
| ისტრი-სედანი | 5:3 |
| ლავალი-ანჟერსი | 1:1 |
| ჰავრი-ბულონი | 2:0 |
| მეცი-ტური | 1:0 |
| ნანტი-აიაჩო | 2:0 |
| რეიმსი-შატორუ | 1:1 |
| ტრუა-დიჟონი | 2:0 |
| ვანი-გრენობლი | 1:1 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| უტრეხტი-გრონინგენი | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვოლენდამი-ვაალვიკი | 3:4 |
| კამბური-ომნივორლდი | 4:0 |
| ემენი-ვეენდამი | 0:1 |
| დენ ბოში-ტელსტარი | 3:0 |
| ცვოლე-დორდრეჰტი | 0:0 |
| ფორტუნა-სპარტა | 3:1 |
| ჰელმონდი-იგლზი | 0:0 |
| როსენდაალი-მაასტრიხტი | 0:2 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ბეირა მარი-ფერეირა | 3:1 |

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ტურკუ-ინტერი | 0:4 |

**ავსტრია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლუშტენაუ-ადმირა | 0:1 |
| გრატკორნი-ვენა | 1:1 |
| ჰარტბერგი-აუსტრია (ლ) | 1:1 |
| სტ. პოლტენი-გრიოდიგი | 1:2 |
| ალტახი-სტ. ანდრე | 3:3 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| მანიშა-ბეშიქთაში | 0:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-დროგედა | 1:0 |
| დანდალკი-გალვეი | 3:2 |
| სტ. პატრიკსი-ბრეი | 2:3 |
| უნივერსიტი-დერი | 0:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლიმერიკი-სოლტჰილი | 3:0 |
| მერვუ-კორკი | 1:2 |
| მონეგანი-უოტერფორდი | 2:0 |
| უექსფორდი-ლონგფორდი | 0:2 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ებერისტვიტი-ჰევერფორდვ. | 2:1 |
| ბალა-ეირბასი | 0:3 |
| ტნს-პრესტატინი | 4:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბრნო-სიგმა | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| იჰლავა-დუკლა | 0:0 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| დ.სტრედა-ჟილინა | 2:2 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| ობოლონი-მეტალურგი (ზ) | 1:0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| გურნიკი-არკა | 2:2 |
| ლეგია-შლიონსკი | 1:2 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივა-ინტერი | 2:4 |
| ზაგრები-ზადარი | 1:0 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| მტკ-დიორი | 0:0 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| პანდური-გლორია | 0:0 |
| ვიქტორია-სტიაუა | 0:1 |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| დაჩა-სტინტელი | 3:0 |

**ევრო 2011**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| იტალია-ჩეხეთი | 1:2 |
| შოტლანდია-სლოვაკეთი | 2:0 |

**კალათბურთი**

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ეფესი-ტრაბზონი | 89:77 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ვილერბანი-ვიში | 101:88 |
| როანი-შოლე | 64:71 |

**ჰოკეი**

**კხლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-მეტალურგი (მ) | 3:4 (ო) |
| აკ ბარსი-ს.იულიაევი | 1:3 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| შახტარი-გომელი | 9:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-მიუნხენი | 2:1 |
| აუგსბურგი-დიუსელდორფი | 0:3 |
| ჰამბურგი-ჰანოვერი | 3:5 |
| ინგოლშტადტი-შტრაუბინგი | 1:0 (ო) |
| იზერლონი-კიოლნი | 0:1 |
| კრეფელდი-ვოლფსბურგი | 3:1 |
| მანჰაიმი-ნიურნბერგი | 2:1 (ბ) |

**დანია**

| | |
|---|---|
| სონდერიისკი-ფრედრიკშავნი | 1:2 (ო) |
| ჰერნინგი-როდოვრე | 3:4 (ო) |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| კლადნო-ბოლესლავი | 4:3 |
| სპარტა-ბრნო | 4:0 |
| ვიტკოვიცე-ბუდეიოვიცე | 3:2 (ბ) |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ჰვ71-აიკ | 1:3 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| კუევასი-ანდუხარი | 7:5, 6:3 |
| მელო-რამირეს იდალგო | 6:4, 6:3 |
| რაონიჩი-ილჰანი | 6:2, 7:6 |
| შარდი-ჰარისონი | 7:6, 6:7, 3:6 |

**WTA. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| კვიტოვა-ბ. ზახვალოვა | 6:3, 2:6, 5: |
| კორნე-პირონკოვა | 7:5, 3:6, 6: |
| პავლიუჩენკოვა-სევასტოვა | 6:2, 7:5 |
| იანკოვიჩი-ვანდევეგე | 6:2, 6:1 |

## TV პროგრამა

### 12 მარტი, შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-მარსელი.
14:00 საფრანგეთის შოუ.
14:30 იტალიის ჩემპიონატი. ბრეშა-ინტერი.
16:30 იტალიის შოუ.
17:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:00 საფრანგეთის შოუ
18:30 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი (LIVE).
20:30 იტალიის შოუ
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი. (LIVE)
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ერკულესი (LIVE).
01:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ვალენსია (LIVE).

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-რომა.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ატლანტა.
14:00 კრივი.
16:30 კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა.
16:50 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ბიარიცი-რასინგი (LIVE).
18:30 რაგბი. ექვსი ერის თასი. იტალია-საფრანგეთი (LIVE).
20:30 რაგბი. ექვსი ერის თასი. მიმოხილვა.
21:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-ირლანდია (LIVE).
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ატლანტა.
01.00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**I არხი**

14:55 რაგბი. ერთა თასი. საქართველო-რუმინეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

18:25 გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი (LIVE).
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ატლეტიკო (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ერკულესი (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ვალენსია (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

12:55 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. შპინდლეროვი. ჩეხეთი (LIVE).
14:25 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. კვიტფიელი. ნორვეგია (LIVE).
15:55 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. შპინდლეროვი. ჩეხეთი (LIVE).
19:25 ფრენბურთი. EKB-ის თასი. მამაკაცები. ფინალი. ზაკსა-სისლეი (LIVE).
21:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სოშო-ლიონი (LIVE).
06:00 პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. მ. კოტო-რ. მაიორგა. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი (LIVE).
20:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბორუსია (მ) (LIVE).
23:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჩეზენა-იუვენტუსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

14:40 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ანჟი-კრასნოდარი (LIVE).
17:00 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ნალჩიკი-კრილია სოვეტოვი (LIVE).
19:15 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-დინამო (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

23:55 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ვეიკფილდი-უორინგტონი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

18:45 რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-ხიმკი (LIVE).
00:30 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-მემფისი (LIVE).
05:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-იუტა (LIVE).

**SPORT+**

18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი (LIVE).
23:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-მონრეალი (LIVE).

**EUROSPORT**

13:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. შპინდლეროვი. ჩეხეთი (LIVE).
14:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. HS130. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
14:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
15:15 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მას-სტარტი. ქალები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
16:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. რბოლა გამოდევნებით. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
17:15 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მას-სტარტი. კაცები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
18:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS130. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

14:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. კვიტფიელი. ნორვეგია (LIVE).
16:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. შპინდლეროვი. ჩეხეთი (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ტირენო ადრიატიკო. IV ეტაპი. იტალია (LIVE).
19:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კაცები. XXIII ტური (LIVE).
22:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. V ტური. ნავარა (ესპანეთი)-კრიმი (სლოვენია) (LIVE).
00:00 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).

### 13 მარტი, კვირა

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ერკულესი.
13:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ვალენსია.
15:00 იტალიის შოუ.
15:30 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ბარი (LIVE).
17:30 საფრანგეთის შოუ
18:00 იტალიის ჩემპიონატი. რომა-ლაციო (LIVE).
20:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ვალანსიენი (LIVE).
22:00 არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენცო-ბოკა.
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა (LIVE).

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-უდინეზე.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ლეიკერსი.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
19:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-შოტლანდია (LIVE).
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
00:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფინიქსი-ორლანდო (LIVE).
02:30 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

18:25 გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი.
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ატლეტიკო (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ერკულესი (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ვალენსია (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

12:55 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. შპინდლეროვი. ჩეხეთი (LIVE).
14:25 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. კვიტფიელი. ნორვეგია (LIVE).
15:55 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. შპინდლეროვი. ჩეხეთი (LIVE).
19:25 ფრენბურთი. EKB-ის თასი. მამაკაცები. ფინალი. ზაკსა-სისლეი (LIVE).
21:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სოშო-ლიონი (LIVE).
06:00 პროფესიული კრივი. სატიტულო ბრძოლა. მ. კოტო-რ. მაიორგა. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი (LIVE).
20:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბორუსია (მ) (LIVE).
23:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჩეზენა-იუვენტუსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

14:40 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ანჟი-კრასნოდარი (LIVE).
17:00 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ნალჩიკი-კრილია სოვეტოვი (LIVE).
19:15 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ლოკომოტივი-დინამო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

18:45 რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-ხიმკი (LIVE).
00:30 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-მემფისი (LIVE).
05:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-იუტა (LIVE).

**SPORT+**

18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი (LIVE).
23:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-მონრეალი (LIVE).

**EUROSPORT**

13:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. შპინდლეროვი. ჩეხეთი (LIVE).
14:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. HS130. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
14:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
15:15 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მას-სტარტი. ქალები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
16:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. რბოლა გამოდევნებით. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
17:15 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მას-სტარტი. კაცები. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
18:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS130. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

14:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სწრაფდაშვება. კვიტფიელი. ნორვეგია (LIVE).
16:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. შპინდლეროვი. ჩეხეთი (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ტირენო ადრიატიკო. IV ეტაპი. იტალია (LIVE).
19:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კაცები. XXIII ტური (LIVE).
22:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. V ტური. ნავარა (ესპანეთი)-კრიმი (სლოვენია) (LIVE).
00:00 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბოლო შუმახერმა მოიგო



გუშინ, ბარსელონაში შვიდმა გუნდმა დაასრულა ზამთრის სატესტო პროგრამა. უკან დარჩა თვეობით ნაყოფიერი მუშაობა და დაძაბული ტესტები. გუნდებმა ყველაფერი გააკეთეს სეზონის პირველი გრან-პრისთვის უკეთ მოსამზადებლად. კიდევ ხუთი გუნდი - „უილიამსი“, „მაკლარენი“, „მერსედესი“, „ფერარი“ და HRT დღეს დაასრულებს ტესტებს.

ბოლო დღეს ტრიბუნებზე ხალხმრავლობა შეინიშნებოდა - „ფერარის“ საჭესთან **ფელიპე მასა ფერნანდო ალონსომ** შეცვალა. „სკუდერიამ“ ყველა ტექნიკური სიახლე გამოიყენა და საბოლოოდ, ესპანელი მეორე იყო საბოლოო ოქმში.

აეროდინამიკური სიახლეები ჰქონდა „მერსედესს“, რომლის საჭესთან თავიდან **მიხაელ შუმახერი** იჯდა. გერმანელმა კვალიფიკაციისა და რბოლის იმიტაცია ჩაატარა და საბოლოოდ, დღის საუკეთესო დრო დააფიქსირა, რომელიც ამ ტესტების რეკორდიც აღმოჩნდა. საღამოს მიხაელი **ნიკო როსბერგმა** შეცვალა - მეორე გერმანელი მესამე დროის მფლობელი გახდა.

„ლოტუს რენოს“ ახალწვეულმა **ნიკ ჰაიდფელდმა** ზამთრის სატესტო პროგრამა მეოთხე ადგილზე დაასრულა - გერმანელმა წრეების რამდენიმე მოკლე და გრძელი სერია სერიოზული პრობლემების გარეშე გაიარა.

„უილიამსმა“ დროებით უარი თქვა KERS-ის სისტემის გამოყენებაზე - ამის მიზეზი გახდა ოთხშაბათის პრობლემები. გუნდმა მუშაობა რეკუპერაციის სისტემის გარეშე გააგრძელა, ხოლო KERS-ის გამოყენება პირველ რბოლებში მომხდარის მიზეზებზე იქნება დამოკიდებული - სისტემა ბაზაზე დიაგნოსტიკისთვის არის გაგზავნილი.

„მაკლარენმა“ წინა დღეს გამოტოვა ტესტები, გუშინ დილით კი წინა და უკანა ანტიფრთების ახალი ვერსიები და განახლებული დიფუზორი გამოსცადა. საჭესთან **ჯენსონ ბატონი** იჯდა, მაგრამ ბრიტანელის პროგრამა შესამცირებელი შეიქნა - ძრავა გამოვიდა მწყობრიდან და მექანიკოსებს მისმა შეცვლამ მოუწიათ.

**მეოთხე დღის შედეგები**

| | |
|---|---|
| 1. შუმახერი („მერსედესი“) | 1:21.249 (67 წრე) |
| 2. ალონსო („ფერარი“) | +0.365 (141) |
| 3. როსბერგი („მერსედესი“) | +0.539 (22) |
| 4. ჰაიდფელდი („ლოტუს-რენო) | +0.824 (67) |
| 5. ბარიკელო („უილიამსი“) | +0.984 (89) |
| 6. კობაიაში („ზაუბერი“) | +1.066 (98) |
| 7. ალგერსუარი („ტორო როსო“) | +1.426 (72) |
| 8. ფეტელი („რედ ბული“) | +1.684 (64) |
| 9. კოვალაინენი („ლოტუსი“) | +2.188 (138) |
| 10. დი რესტა („ფორს ინდია“) | +2.404 (42) |
| 11. სუტილი („ფორს ინდია“) | +2,672 (26) |
| 12. მალდონადო („უილიამსი“) | +2.859 (11) |
| 13. ბატონი („მაკლარენი“) | +4.588 (57) |
| 14. დ'ამბროზიო („ვირჯინი“) | +6.126 (46) |

■ ■ ■

გუშინდელი ტესტების შესვენებაზე ახალი ბოლიდის პრეზენტაცია მოაწყო ესპანურმა საჯინიბომ - „ისპანია რეისინგმა“. მანქანის ინდექსია - HRT 111.

მანქანა შემუშავებულია **ჯეფ უილისის** ხელმძღვანელობით. HRT-ს პრაქტიკულად ორი დღე ექნება მის გამოსაცდელად, ასე რომ, გუნდმა ბოლიდის დახვეწაზე უკვე სეზონის მსვლელობისას უნდა იმუშაოს.

F111-ის ფერთა გამა ჰოლივუდის მხატვარმა **დანიელ საიმონმა** შექმნა, მანქანის კონსტრუქციაში გამოიყენება „უილიამსის“ შარშანდელი გადაცემათა კოლოფი და „კოსუორტის“ ძრავა.

კონსტრუქტორთა თასი



# ვის რამდენი ეკუთვნის?

კონსტრუქტორთა თასის საბოლოო ცხრილი თვალნათლივ გვიჩვენებს ამა თუ იმ სეზონში გუნდებს შორის ძალთა თანაფარდობას, თუმცა ამ აღრიცხვას სხვა დატვირთვაც აქვს - ის ერთგვარი „სახელფასო უწყისია“, რომლის მიხედვითაც ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობა გუნდებს ტელეტრანსლაციებისგან მიღებულ მოგებას უნაწილებს. ბრიტანული ყოველკვირეული „ავტოსპორტი“ იკვლევს - როგორ იყოფა ეს ჰონორარი და რატომ ცდილობენ დებიუტანტები საუკეთესო ათეულში მოხვედრას.

ფორმულა 1-ის ტრადიციულ გუნდებს, რომლებიც დიდი ხანია წარმატებით გამოდიან „დიდ ცირკში“, შეუძლიათ სტაბილურად გამოიმუშაონ 16 მილიონი ფუნტი. ლიდერებისთვის ასეთი ჰონორარი ბევრს არაფერს ნიშნავს, სამაგიეროდ საშუალო გუნდებისთვის და განსაკუთრებით კერძო საჯინიბოებისთვის ეს თანხა ბიუჯეტში სერიოზულ დანამატს წარმოადგენს. „ისტორიული და ტრადიციული გუნდის“ სტატუსის მიღება მარტივია - აუცილებელია ბოლო სამ სეზონში მინიმუმ ორჯერ მოხვდე კონსტრუქტორთა თასის პირველ ათეულში.

ფორმულა 1-ის წელვანდელი ჩემპიონატის მონაწილეებს შორის ამ კრიტერიუმს მხოლოდ სამი დებიუტანტი ვერ აკმაყოფილებს. თუმცა „ლოტუსის“ ანგარიშზე უკვე არის მეათე ადგილი 2010 წლის ჩემპიონატში, ამიტომაც **ტონი ფერნანდესის** საჯინიბოს მხოლოდ ერთი ნაბიჯი აშორებს სოლიდურ თანხამდე - ამისთვის ახალ სეზონში მას „ვირჯინისა“ და HRT-ის დამარცხება სჭირდება.

■ ■ ■

საუკეთესო ათეული პროპორციული სქემის მიხედვით იღებს ჰონორარს. ჩემპიონატის გამარჯვებულს ერგება დაახლოებით 30 მილიონი ფუნტი, დანარჩენებს თანხები დაღმავალი შკალის მიხედვით გადაეცემათ. მაგალითად, მეშვიდე ადგილი 11 მილიონი „ღირს“, მეცხრესთვის ექვს მილიონს იხდიან.

■ ■ ■

მხარდაჭერაა გათვალისწინებული ფორმულა 1-ის დებიუტანტი გუნდებისთვის. ახალბედა საჯინიბოებს, მათ მიერ ნაჩვენები შედეგების მიუხედავად, სეზონის შემდეგ 6 მილიონი ფუნტი ეძლევათ. რამდენ ხანს დარჩებიან „ლოტუსი“, „ვირჯინი“ და HRT დებიუტანტის სტატუსით რთული სათქმელია, მაგრამ 2011 წელს ისინი ამ დახმარებას ისევ მიიღებენ.

ასე რომ, ჩემპიონატის ორგანიზატორები სოლიდურ თანხას იმეტებენ გუნდებისთვის. მსოფლიოს ჩემპიონმა „რედ ბულმა“ 2010 წლის შედეგების მიხედვით 60 მილიონი ფუნტი მიიღო, იმ დროს, როცა ორმა ყველაზე სუსტმა გუნდმა ათჯერ ნაკლები თანხა გამოიმუშავა.

# მილიარდერები დიდი ცირკიდან

ჟურნალმა „ფორბსმა“ ორი დღის წინ ტრადიციულად მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების სია გამოაქვეყნა. ისევე როგორც ერთი წლის წინ, პირველი ადგილი ტელესაკომუნაკაციო კორპორაცია „ტელმექსის“ მფლობელმა, მექსიკელმა **კარლოს სლიმმა** დაიკავა. მისი ქონება 74 მილიონ დოლარად არის შეფასებული. წელს „ტელმექსი“ ფორმულა 1-ის გუნდის - „ზაუბერის“ სპონსორი გახდა და ამ საჯინიბოში მიიყვანა მექსიკელი **სერხიო პერესი**. ამ პილოტს სწორედ კლიმის კომპანია აფინანსებს.

„ტელმექსის“ სასპონსორო კონტრაქტი 15 მილიონ ევროდ არის შეფასებული. გერმანული „მოტორსპორტის“ ინფორმაციით, ფორმულა 1-ის პადოკებში უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანმა ასე მცირე თანხაზე დადო ხელშეკრულება. ზოგიერთი გუნდი შიშობს, რომ ამან შეიძლება ფორმულა 1-ში სპონსორული კონტრაქტების ფასი დააგდოს.

სლიმის გარდა „ფორბსის“ სიაში მოხვდნენ „დიდი ცირკის“ სხვა წარმომადგენლები. მაგალითად, 208-ე ადგილზე აღმოჩნდა კორპორაცია „რედ ბულის“ ბოსი **დიტრიხ მატეშიცი**. ავსტრიელის ქონება 5 მილიარდ დოლარს შეადგენს. როგორც იცით, ამ კომპანიას ჩემპიონატში ორი გუნდი ეკუთვნის - „რედ ბული“ და „ტორო როსო“. გარდა ამისა, ბევრმა პილოტმა გაიარა ახალგაზრდა ავტომბროლთა დახმარების პროგრამა, რომელსაც „რედ ბული“ აფინანსებს.

ფორმულა 1-ის კომერციული ბოსი **ბერნი ექლსტოუნი** მხოლოდ 254-ე პოზიციაზე აღმოჩნდა. ბრიტანელი 4.2 მილიონი დოლარის მფლობელია. ასეთივე თანხა აქვს **რიჩარდ ბრენსონს** - კორპორაცია „ვირჯინის“ დამაარსებელს, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ორი გუნდის - „ბრაუნ გრან-პრისა“ და „ვირჯინ რეისინგის“ განვითარებაში. დღეისთვის საჯინიბო „ვირჯინი“ რუსული კომპანია „მარუსიას“ მფლობელობაში გადავიდა, თუმცა ბრენსონის კომპანია მის ერთ-ერთ სპონსორად რჩება.

სიის 879-ე ნომერი ეკუთვნის ავიაკომპანია „კინგფიშერის“ მფლობელ **ვიჯეის მალიას** - ის პარალელურად გუნდ „ფორს ინდიას“ მეპატრონეცაა. ინდოელი ბიზნესმენის ქონება 1.4 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. ასეთივე თანხას ფლობს საავტომობილო გუნდის კიდევ ერთი მფლობელი - **როჯერ პენსკე**. გასული საუკუნის 70-იანი წლების შუაში „პენსკე“ ფორმულა 1-შიც კი გამოდიოდა, თუმცა უფრო დიდ წარმატებას ამერიკის სხვადასხვა სარბოლო სერიაში მიაღწია.

მატეშიცი და ექლსტოუნი



# ალეზი რედ ბულს ირჩევს



ჟან ალეზი

ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი **ჟან ალეზი** დიდი ინტერესით ელოდება 2011 წლის ჩემპიონატის დაწყებას - ლეგენდარულ ფრანგს მიაჩნია, რომ ტექნიკური სიახლეების სიმრავლე და „პირელის“ საბურავების თავისებურებანი სერიოზულ გავლენას იქონიებს მსოფლიოს ჩემპიონატში ძალთა გადანაწილებაზე.

*„შარშანდელი ჩემპიონატი შესანიშნავი იყო, - ამბობს ალეზი. - ფეტელმა დამსახურებულად მოიგო ტიტული, რადგან მთელი სეზონი დომინირებდა. რა თქმა უნდა, „ფერარის“ გამოსვლამ ბოლო რბოლაში დიდი იმედგაცრუება დატოვა, მაგრამ ეს ჩრდილს არ აყენებს სებასტიანის ტრიუმფს.*

*იმედია, 2011 წელს არანაკლებ საინტერესო ჩემპიონატს ვნახავთ, შესაძლოა, უკეთესსაც. ახალი ტექნიკური რეგლამენტის პირობებში გუნდებს შორის იერარქია შეიძლება შეიცვალოს. ასე რომ, უნდა დაველოდოთ პირველ რბოლებს და გავიგოთ, სინამდვილეში ვინ არის ყველაზე სწრაფი. თუმცა ეჭვი მაქვს, რომ საერთო სურათი შარშანდელთან შედარებით ბევრად არ უნდა შეიცვალოს“.*

ტიტულის პრეტენდენტებზე ლაპარაკისას ალეზიმ განაცხადა, რომ „რედ ბულის“ დომინირება ამ სეზონშიც შენარჩუნდება, „ფერარის“ მეტად დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს, თუმცა გასულ წელს **ფელიპე მასასთვის** რთული იყო **ფერნანდო ალონსოს** უპირატესობასთან შეგუება, რაც შეეხება „მაკლარენს“, ის ყოველთვის შედის ფავორიტთა რიცხვში, მიუხედავად იმისა, რომ მის ახალ მანქანას ჯერჯერობით სერიოზული პრობლემები აქვს.

აგრეთვე ფრანგს ეჭვი ეპარება იმაში, რომ **მიხაელ შუმახერი** დიდ წარმატებებს მიაღწევს „მერსედეს გრან-პრის“ შემადგენლობაში: *„გასულ წელს რთული იყო იმაზე მსჯელობა, რა უნდა მოჰყოლოდა მიხაელის დაბრუნებას, რადგან მანქანა სისწრაფით ვერ გამოირჩეოდა.*

*„მერსედესს“ არ უნდა ამის გამეორება და დარწმუნებული ვარ, მიხაელსაც ბევრი შეუძლია, მაგრამ შეზღუდული ტესტების პირობებში მას წარმატების მიღწევის ნაკლები შანსი აქვს“.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**